# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 8 ივნისი 1999 №105 (878) | ფასი 50 თეთრი


**6** ოჯალანი ფეხბურთსაც გადასწვდა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი გადამწყვეტ ფაზაში შედის

**8** კოჭუაშვილი: დღესვე წავალ საქართველოში...

ლატვიამ მეორედ წააგო, მეორედაც სლოვენიასთან

ნორვეგიამ კი ქვემეხთა სიჩუმეში ალბანეთს სძლია

**9** ბოსკამპი უკვე მაგალითია

კოლხთა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ, ნაკრებელი კოლეგის მსგავსად, ორი მოთამაშე უდისციპლინობისთვის გუნდიდან დაითხოვა

**14** უმარკოო პელოტონში ივანე გაუშროსდა



**15** თასი — დალასი?!

STANLEY CUP PLAYOFFS

ტეხასელების სამი წელიწადი

# მწვრთნელი გვყავს, გუნდიც გვეყოლება!



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

საქართველო — საბერძნეთი 1:2. ბერძენთა ამ ჩაწოდებისას ბურთმა დავით გვარამაძის კარს ჩაუქროლა

*იოჰან ბოსკამპმა საქართველოს ნაკრებიდან ზაზა ჯანაშია დაითხოვა. ბერძნებთან მატჩამდე საფეხბურთო ნაკრები უკალაძეოდ, უყაველაშვილოდ, უდემეტრაძეოდ და უარველაძეებოდ დარჩა.*

*ბოსკამპმა გარისკა. შანსი და, რაც მთავარია, სწორი მითითებები, სრულიად უცნობ, გამოუცდელ ფეხბურთელებს მისცა და ცოტა დააკლდა, შაბათს საბერძნეთის ნაკრები დაემარცხებია.*

*საქართველოს ნაკრებმა ისევ წააგო. წააგო და, თითქოს მარცხის მიზეზები უნდა გვეძია, მაგრამ ასე არ მოხდა.*

*ჩვენი ნაკრების ნათამაშებით უკმაყოფილონი ცოტანი თუ დარჩნენ, ერთი სიტყვით, ეს არ იყო უბრალო, მხოლოდ წაგება, იმედგაცრუება რომ მოსდევს და ნაგროვები ბოლმის ბოლჩას პირს რომ ხსნის.*

*არსებობს ძველი და დაწუნებული გამონათქვამი: მოგების ტოლფასი წაგება. მარცხი მარცხია და გამარჯვებას როგორ გადასწონის, როგორ გაუტოლდება. ასეა, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა შაბათს მატჩი წააგო, სამაგიეროდ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვებისკენ წააბიჯა.*

*შაბათს ქართველმა ფეხბურთელებმა უსახურ მატჩთა ასე გახანგრძლივებული სერია წარსულს ჩააბარეს. ბევრს, და პირველ რიგში საკუთარ თავს, დაუმტკიცეს, რომ გამართული, სწორი ფეხბურთის თამაში მათაც შეუძლიათ, ჯერჯერობით, მხოლოდ ტაიმნახევარს, მაგრამ უბედურება არც ესაა. ცხადლივ ჩანს, ამის გამოსწორებაც შესაძლებელია.*

*შაბათს გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრებს კარგი მწვრთნელი ჰყავს, მცოდნე, გაბედული, რისკიანი თავკაცი. იოჰან ბოსკამპმა ჩვენს ნაკრებს წლობით დავიწყებული ორ კვირაში დაასწავლა, ოსლოდან მოყოლებული თბილისამდე, თამაში ტაიმ-ტაიმ დაახვეწინა.*

*დასანანი ერთია, ძვირფასი დრო დაგვიკარგავს. ევროპის ჩემპიონატიც ალბათ, ნამდვილად უჩვენოდ ჩაივლის. მაგრამ ამას შეგუებულნიც ვიყავით და ისე სადარდო აღარაა. მთავარია, საქართველოს ნაკრებს კარგი მწვრთნელი ჰყავს, ეს კი საიმისო იმედია, რომ კარგი გუნდიც გვეყოლება.*

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

# პირველი და უკანასკნელი

გასულ უქმეებზე როლან გაროსის ცენტრალურ კორტზე თითქმის იმდენი ცრემლი დაიღვარა, რამდენიც წვიმის წვეთი ბოლო დღეების თავსხმისას. თუ ქართველი ქომაგები წყვილებში გამარჯვებით ირაკლი ლაბაძემ გაგვახარა, ორკვირიანი მარათონი თვალებაცრემლებულმა დაასრულა წარმატებისგან ენადაბმულმა ანდრე აგასიმ, იმედგაცრუებულმა და დედის მხრებზე მოქვითინე მარტინა ჰინგისმა, სიხარულისგან ატირებულმა შტეფი გრაფმა. ჩვენი ქებათა-ქება სწორედ დიდ გერმანელს ერგება, უბერებელ და მჯობნის მჯობნ რკინის ქალბატონს, რომელმაც არაჩვეულებრივად დრამატულ ფინალში დროის უკან დატრიალებაც კი მოახერხა.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



REUTERS პარიზიდან

შტეფი გრაფი



ანდრე აგასი



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ირაკლი ლაბაძე

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. VII ტური
5 ივნისი. 21 საათი. თბილისი. ეროვნული. 15 000 მაყურებელი

# საქართველო 1:2 საბერძნეთი

1:0 ქეცბაია (55), 1:1 ფრანცესკოსი (86), 1:2 მახლასი (89)

# გახსოვდეთ სიკვდილი!

ბადრი ძამაშვილის ფოტო



ისე, როგორც ძველად: თემურ ქეცბაიას შეჩერებას ერთბაშად ოთხი მეტოქე ცდილობს

**საქართველო**

1. გვარამაძე

3. ხიზანეიშვილი 5. წერეთელი 2. ჰიჰვეიშვილი 6. ცქიტიშვილი

7. ნემსაძე

11. კობიაშვილი

4. ახვლედიანი

8. ჯამარაული

9. ქეცბაია

10. აშვეთია

9. მახლასი

11. გეორგატოსი 8. კონსტანტინიდისი

10. ნინიადისი 7. ზაგორაკისი

6. პურსანიდისი

3. კასაპისი 4. უზუნიდისი 2. მავროგენიდისი

5. ანატოლაკისი

1. ატმაციდისი

**საბერძნეთი**

შეცვლა: ჰიჰვეიშვილი — 16. დიდავა (10), კონსტანტინიდისი — 17. ფრუსოსი (46), ცქიტიშვილი — 18. ალექსიძე (56), გეორგატოსი — 16. ანასტასიუ (61), ახვლედიანი — 15. ხიზანიშვილი (65), ზაგორაკისი — 18. ფრანცესკოსი (81)

გაფრთხილება: წერეთელი (4), დიდავა (22), კასაპისი (33), ზაგორაკისი (34), ნემსაძე (53), ფრუსოსი (75), პურსანიდისი (78)

მსაჯები: ვ. იანგი; ჯ. მაკბრაიდი, დ. დოიგი; მ. მაკარი (ყველა შოტლანდია)

უეფას დელეგატი: ჟ. კინიუ (საფრანგეთი)

**საქართველოს** ეროვნულმა ნაკრებმა ისევ წააგო, წააგო და გულიც დაგვწყვიტა. მაგრამ ეს არ იყო სამარცხვინო წაგება. ქართველებმა იბრძოლეს. იყო მომენტები, როცა პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე. იმ დღეს იღბალი რომ შინდისფერების მხარეზე ყოფილიყო, ვეჭვობთ, ბერძნები აგრერიგად გახარებულნი წასულიყვნენ შინისკენ. მაგრამ მეკარე ილიას ატმაციდისისა და საფეხბურთო იღბალის გამო ქართველებმა ერთის მეტი ვერ გაიტანეს და...

საქართველოს ნაკრებმა ისევ წააგო.

ჩვენდა სამწუხაროდ, ბერძნებმა სამშობლოში წინასწარ დაგეგმილი სამი ქულა წაიღეს. საქმე სწორედ ამ დაგეგმვაშია — რაკი „პაიჭაძეზე“ ევროპის სრულიად საშუალო გუნდიც კი მოგებაზე ფიქრობს და ამაზე საკმაოდ რიხიანად აცხადებს, ეტყობა მართლა ცუდი პერიოდი გვიდგას.

თუმცა გვირაბის ბოლოს გამოჩნდა სინათლის სხივი. ამ სხივს იოჰან ბოსკამპი ჰქვია და იგი ქრისტე ღმერთი არ არის, ერთ ან ორ თვეში ლატვიასთან ვერმომგები გუნდიდან ბერძნებთან მომგები გუნდი დააყენოს.

იოჰან ბოსკამპი ამას ვერც ექვს თვეში შეძლებს. მკითხველი მიხვდება, გამგები გაიგებს საითკენ მიმყავს საუბარი და ეგებ, იქამდეც მიაღწიოს ამ ნათქვამმა, სადაც ჯერ არს.

5 ივნისის მატჩის შესახებ ამ ნაწერში რაც შეგვეძლება იშვიათად ვახსენებთ ხოლმე იოჰან ბოსკამპს, არც წაგებული მატჩის შემდეგ მწვრთნელის ქება გვჩვევია, მაგრამ... უნახავმა რა ნახაო, ხომ გაგიგიათ?

მის მთავარ ღირსებად კი ის მიგვაჩნია, რომ იოჰან ბოსკამპმა იცის გუნდის გაკეთება იმით, რაც გააჩნია. მას არც ხუთ ივნისს ჰყოლია უძლიერესი შემადგენლობა (საქართველოს პირობებშიც კი), მაგრამ ნაკრებმა მაინც ითამაშა და ჩვენ ძველებურად არ შეგვრცხვენია ამ თამაშის გამო.

გული დაგვწყდა კი.

რა თქმა უნდა, ჰოლანდიელს ოპონენტებიც მრავალი გამოუჩნდება. მატჩის დასასრულს, იქვე საპრესკონფერენციოსთან გაისმა ბევრი ცნობილი საფეხბურთო პირის ნათქვამი — ეს რა მოსაგები მატჩი წავაგეთო, მაგრამ...

რამდენიც არ უნდა ვუძახოთ ბოსკამპს — ელია, მელია — ჩიტი მოგვიწველიაო, ბევრით ვერაფრით გავაკვირვებთ ჩვენი „კალათის“ გადამკიდე.

ამიტომ ვაკრიტიკოთ, მაგრამ ვაცადოთ ამ კაცს...

სულ მეორე მატჩია, მის ნამოქმედარს ვუყურებთ და...

არა, არა იოჰან ბოსკამპი მართლა მწვრთნელია.

## ბოსკამპ თუ ვარსკვლავომანია?

ჩვენი თანამედროვე ეროვნული გმირის ერთი ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, ასეთი რამ გამოვა — გიყვარდეთ საქართველოს ნაკრები და არა თქვენი თავი საქართველოს ნაკრებში.

ვხედავდი ტრიბუნაზე უბრალო მაყურებელთა შორის ჩამჯდარ ქინქლაძეს, არველაძეს, ალბათ, სხვებიც იქ იქნებოდნენ სადმე, ვხედავდი მინდორზე მეომარ საქართველოს ნაკრების ერთბაშად ოთხ დებიუტანტს (ერთიორი გამონაკლისის გარდა არც სხვებს მოუჭრიათ ეროვნულში ჭიპი) და ვხვდებოდი, მჯეროდა, იმედი მქონდა, რომ ეს არ იყო ბოლო.

საქართველოს ნაკრები სწორ გზას ადგას.

ვარსკვლავომანიას მწვრთნელომანია სჯობს, ამ შემთხვევაში ბოსკამპმანია. გავა დრო, ღმერთმა ქნას და, ალბათ, ჩვენებური ვარსკვლავებიც დაუბრუნდებიან ეროვნულ გუნდს და ვეღარც „საშუალო გუნდი ვინმე“ დაგეგმავს თბილისიდან წასაღებ სამ ქულას იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრები სწორ გზას ადგას.

ყველაზე სასიხარულოდ ის მიგვაჩნია, რომ ხალხი, ქომაგიც ხვდება ამას. ამის დასტური კი ის რეაქციაა, რომელიც დიქტორის მიერ იოჰან ბოსკამპის გვარ-სახელის გამოცხადებას მოჰყვა.

## მატჩი

შეხვედრის პირველმა წუთებმა საქართველოს ნაკრების სტიქიური შეტევებით ჩაიარა. ეტყობა, ბერძნები ჯერაც არ იყვნენ გამოსული ათენური მატჩის შთაბეჭდილებიდან და ქართველების მსგავს სწრაფ ტემპს არ ელოდნენ. ამიტომ იყო ამ სტიქიური შეტევების დროსაც კინაღამ გაიტანეს ჩვენებურებმა.

დროდადრო ბერძნებიც აჩენდნენ ბრჭყალებს. ეს განსაკუთრებით მათი ფლანგური გარღვევების შემდეგ ხდებოდა თვალსაჩინო. მოგეხსენებათ, ქართველი მეკარეები გამოსვლაზე სუსტად ირჯებიან და სტუმრების ყოველ ჩაწოდებას გვარამაძის კართან ხიფათი მოჰქონდა.

ამას დაემატა ისიც, რომ ქართველთა დაცვაში ერთბაშად სამ ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი (თუკი ჭიჭვეიშვილის ნორვეგიასთან შეცვლაზე ჩატარებულ წუთებს გამოვრიცხავთ), გასაგებია, რომ ბიჭები ნერვიულობდნენ და არც მაყურებელი იჯდა მშვიდად. ყველანი თითქოს რაღაცას ველოდით.

საბედნიეროდ, ფეხბურთელებმა დაიჭირეს გამოცდა. განსაკუთრებით სასიამოვნო თვრამეტი წლის ხიზანეიშვილის დამაჯერებელი გამოსვლა გახლდათ, რომელმაც ათიოდე წუთში დაძლია სასტარტო მღელვარება და ისე ითამაშა, ბევრ გამოცდილს შეშურდებოდა. ამ ბიჭის მთავარი ღირსება პოზიციურად სწორი თამაშია და ეს ერთხელაც გამოჩნდა.

ბადრი ახვლედიანმა ისე ითამაშა, კარგ სიზმარში თვითონაც რომ ვერ წარმოიდგენდა. იგი არა მარტო თანაგუნდელებს აზღვევდა დაცვაში, თავდასხმასაც ეხმარებოდა და პირდაპირ „დახნა“ მარჯვენა ფრთა. ვერ გეიტყვით, რამდენად დაიღალა „ტორპედოს“ მცველი, მაგრამ სწორედ მისი შეცვლის მერე გაშიშვლდა ჩვენი ნაკრების დაცვის მარჯვენა ფრთა, რატი ალექსიძე ბევრს კი ეცადა, მაგრამ ფრთის კონტროლს მთლიანად თავი ვერ გაართვა და ნინიადისმაც გაივაკა. აკი გადამწყვეტი გოლიც ნინიადისის ფრთაზე გარღვევის შემდეგ გაიტანა მახლასმა.

საქართველოს ნაკრების კარგი თამაში პირველი ტაიმის შუა წელში და თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში თემურ ქეცბაიას თავგამოდების შემდეგ იყო. ქეცბაია იმ დღეს ყველა საქებარ სიტყვაზე მაღლა იდგა, მოძრაობდა, ბურთსაც იჭერდა, პასებსაც ანაწილებდა — ერთი სიტყვით, გუნდის სული და გული იყო.

შეხვედრის მსვლელობისას ჩვენი ბერძენი კოლეგები ჯამარაულით მოიხიბლნენ („ვერი გუდ პლეიერ“) — ასე ამკობდნენ გოჩას ისინი, მაგრამ ჯამარაულის თამაშმა მაინც დაგვიტოვა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა — ბოლო ორი მატჩია, გოჩა ჯამარაული ჩვეულად ველარ თამაშობს.

სამი ნომინალური ნახევარმცველით კი ითამაშა ჩვენმა ნაკრებმა, მაგრამ ასე თუ ისე, თავი გაართვეს ბიჭებმა თავის საქმეს (ეგ იყო, ხანდახან გუნდი ორად წყდებოდა), რასაც ვერ ვიტყვით თავდასხმაზე. შეიძლება ბევრს მობეზრდა კიდეც მასზე ლაპარაკი, მაგრამ ახლა გამოჩნდა, რას წარმოადგენს გუნდისთვის ზაზა ჯანაშია — მიხეილ აშვეთიას აშკარად გაუჭირდა ბერძენი მცველების დაჩაგვრა და ოფსაიდშიც იმდენჯერ მოხვდა, იტალიის ჩემპიონატი და სალვატორე სკილაჩი გამახსენდა.

რაც შეეხებათ ბერძნებს, მათ დასაწყისში ინდივიდუალური გარღვევების ხარჯზე მოინდომეს ფონს გასვლა. მით უმეტეს, სისწრაფეში აშკარად სჯობდნენ ჩვენს ფეხბურთელებს და არც ტექნიკასთან არიან მწყრალად. ამან სასურველი შედეგი რომ ვერ გამოიღო, სტუმრებმა ხელი ქართველი მცველების ზურგს უკან გადაცემებს მიჰყვეს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ნინიადისი და მახლასი სისწრაფის ხარჯზე დაასწრებდნენ ქართველებს და მეკარესთან პირისპირ გავიდოდნენ, მაგრამ გვარამაძე ფხიზლად იდგა და საჯარიმოს ხაზთან გამოსული ან იღებდა ბურთს, ანაც აუტში იგერიებდა.

შინდისფერების კოზირი ამ შეხვედრაში პირველი ბურთის ხშირი მოპოვება იყო. ეს უმნიშვნელოვანესი საფეხბურთო კომპონენტია და შეტევების სიხშირეს, ბურთის ფლობაში უპირატესობას განაპირობებს. პირველ ტაიმში კიდევ ჰო, ახერხებდა მეტოქე ხუთიდან ერთი ან ორი პირველი ბურთის მოპოვებას, მაგრამ მეორეში ქართველები თითქმის ასი პროცენტით უკეთესნი იყვნენ და ეს თამაშსაც დაეტყო.

ახვლედიანის აქტიურობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ჩვენები ძირითადად მარჯვნიდან უტევდნენ. კობიაშვილი — ცქიტიშვილის ფრაიბურგული დუეტი აშკარად გადაღლილი ჩანს და მათი შედარებითი პასიურობაც თვალსაჩინო იყო. შესაბამისად, მარცხენა ფრთიდან შეტევები იშვიათად ხორციელდებოდა-ხოლმე.

საქართველოს ნაკრების ყველაზე სუსტი წერტილი სტანდარტული სიტუაციებია. სულ მცირე სამი საგოლე ჯარიმა დანიშნა მსაჯმა სტუმართა კართან, მაგრამ ქეცბაიას ვერც ერთი დარტყმული კედელს ვერ გასცდა. არადა, იმ დღეს მინდორზე იყო ლევან კობიაშვილი, რომელიც „ფრაიბურგის“ მთავარი „მესაჯარიმოეა“.

პრესკონფერენციაზე შინდისფერთა მეორე მწვრთნელმა თქვა, რომ სერიოზული მუშაობა მიდის სტანდარტულების დამუშავებაზე. ვნახოთ...

მთელი ორმოცდაათი წუთი ისე ჩანდა, თითქოს პირველი გოლის გამტანი გუნდი მოიგებდა. ამიტომაც გასაგები გახლდათ ქეცბაიას გოლის შემდეგ აფეთქებული ტრიბუნების რეაქცია. თემურის გოლი სისწრაფის, ტექნიკის და სიზუსტის ნაზავი გახლდათ — საჯარიმოში ოუენივით შეჭრილმა ქეცბაიამ ერთი მცველიც „დააწვინა“ და პირდაპირ ლურსმანივით ჩააჭედა ატმაციდისის კარის კუთხეში ბურთი. გოლი 55-ე წუთზე გავიდა. მერე კი მთელი ნახევარი საათი ქართველებმა ბურთი აგორეს და საფეხბურთო გაკვეთილიც ჩაუტარეს ბერძნებს.

განსაკუთრებით მაშინ უჭირდათ სტუმრებს, როცა ცენტრში ბურთს კარგავდნენ და ჯამარაული ანაც ქეცბაია შეტევას წამოიწყებდნენ. დიდი ხანია არ მინახავს ჩვენებურები ასე სწრაფად გადასულიყვნენ შეტევაზე, არც ასე მწვავე კონტრშეტევები მახსენდება საქართველოს ნაკრების შესრულებით.

ნორმალური დებიუტი გამოუვიდა ზურაბ ხიზანეიშვილსაც. მისი რეიდის ნახვა კი ერთი სიამოვნება იყო.

თითქოს ჩვენს ნაკრებს უნდა გაემარჯვა. საგოლე მომენტები, სათამაშო, ტერიტორიული უპირატესობა ამას ამტკიცებდნენ, მაგრამ ბერძნებმა შეხვედრის ბოლოს მოახერხეს სწორი ტაქტიკის გამოძებნა. ისინი მოეშვნენ ცენტრში ინდივიდუალურ გასვლებს და ყველა შეტევას მარჯვნიდან ან მარცხნიდან ჩაწოდებით ამთავრებდნენ.

არც ეს მოუტანდა მათ იმ შედეგს, რითაც მორჩა მატჩი, მაგრამ ბოლო ათი წუთი აშკარად დაიღალა საქართველოს ნაკრები — დაიღალა ყველა, მცველიც, ნახევარმცველიც, თავდამსხმელიც... ვერც შეტევაზე გამოსულმა ახალგაზრდებმა იკისრეს ლიდერობა და...

ფრანცესკოსის დარტყმული და ქართველი მცველიდან ასხლეტილი ბურთი უკვე კარგა ხნის დაწოლილი გვარამაძის კარში ნება-ნება შეხტუნდა.

...ეს „მემენტო მორი“ იყო — დავიწყებული სიკვდილი.

ნიკოს მახლასის თავური გოლი კი უბრალო საჩუქარი იყო, ბერძენთათვის ფორტუნის მიერ ბოლო წუთზე ნაჩუქარი, ქართველთა სხეულზე საკონტროლო გასროლა.

უეცარი სიკვდილი კი ოთხი წუთით ადრე დადგა, ოთხმოცდამეექვსეზე, როცა ფრანცესკოსის დარტყმული და ქართველი მცველიდან ასხლეტილი ბურთი უკვე კარგა ხნის დაწოლილი გვარამაძის კარში ნება-ნება შეხტუნდა.

**კონსტანტინე გოგიაშვილი**



გოჩა ჯამარაული (№8) გეორგიოს ანატოლაკისი ებრძვის

## მატჩის სტენოგრამა

3 წუთი. თემურ ქეცბაიას ჯარიმიდან დარტყმული ბერძენთა ცოცხალ კედელს მოხვდა. ასხლეტილი ბურთი კობიაშვილმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, იქ მარჯვნიდან შეჭრილმა ახვლედიანმა ცრუმოძრაობა გააკეთა და მეკარის ბაქანში ბურთი გაგზავნა. მცველმა უზუნიდისმა თავით კუთხურზე მოიგერია.
10. ქეცბაიას დარტყმული კარს ზემოდან გადასცდა.
14. ქეცბაიამ დიდებულად ითამაშა და ბურთი მარცხნივ ცქიტიშვილს გააყოლა, ლევანის საჯარიმოში ჩაწოდებულს მეკარე ატმაციდისი გამოსვლაზე იოლად დაეუფლა.
19. ისევ ქეცბაიამ ითამაშა ჩინებულად, ბერძენთა დაცვას საჯარიმოს მისადგომებთან ჩაურბინ-ჩამოურბინა და ბურთი ნემსაძეს გადასცა, კაპიტანმა კი თავის მხრივ შეტევაში მცველი ახვლედიანი ჩართო. ბადრიმაც შეუჩერებლივ უძლიერესად დაარტყა. ბურთი მცირედით ასცდა სტუმართა კარს.
20. ქართველთაგან საუკეთესო თემურ ქეცბაიამ მოედნის ცენტრიდან ბურთი საჯარიმომდე მიიტანა და მერე აშვეთიას გაატანა. მიხოს საგოლე მომენტი შეექმნა. ბერძენმა მცველმა ხიფათი განმუხტა.
24. მავროგენიდისმა მახლასი მოძებნა, ვიტესელი კი რატომღაც მარტო დარჩა გვარამაძესთან. მეკარემ კარი დატოვა და მას ბურთი ფეხებიდან აართვა.
25. გოჩა ჯამარაულმა ბურთი აშვეთიას გადასცა, მიხომ საჯარიმოში ცრუმოძრაობა გააკეთა და ძლიერადაც დაარტყა, ატმაციდისმა ბურთი ნახტომში, ძელის დახმარებით, კუთხურზე გადააგდო.
37. გეორგატოსმა სახიფათო ჯარიმა უხეიროდ შეასრულა. ბურთი კარს საკმაოდ ასცდა ზემოდან.
39. აშვეთია-კობიაშვილი-ჯამარაულის სამსვლიანი კომბინაცია — გოჩამ ბურთი საპირისპირო ფლანგზე გადაიტანა, შეტევაში ჩართულმა ბადრი ახვლედიანმა შეუჩერებლივ, უძლიერესად დაჰკრა ფეხი ბურთს, რომელსაც ბერძენი მცველი გადაეღობა და ხიფათი განმუხტა.
44. ბერძნებმა ნინიადისი მეკარეს შეატოვეს, გვარამაძემ კარი დატოვა და ბურთი აუტში ფეხით გადააგდო.
45. გრიგორის გეორგატოსმა უძლიერესად დაარტყა. მცველისგან ასხლეტილი რიკოშეტით გვარამაძისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში მიდიოდა, გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ გვარამაძემ იყოჩაღა, რთული ბურთი ნახტომში აილო.
48. ნიკოს მახლასი საჯარიმოში მარჯვნიდან შევიდა და უძლიერესად დაარტყა. გვარამაძემ ნახტომში ცალი ხელით ბურთი კუთხურზე გადააგდო, იქიდან მოწოდებულს, გვარამაძე გამოსვლაზე ვერ მისწვდა. ბურთს, ბედად, ვერც მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული ფრუსოსი შესწვდა თავით.
51. მცველმა მავროგენიდისმა ქართველების დაცვა გაარღვია, დარტყმით კი მეკარისაგან მარჯვენა მახვილ კუთხეში დაარტყა, მიზნამდე ცოტა დააკლდა.
55. ჯამარაულმა თემურ ქეცბაიას მიაწოდა, ამან კი ბერძნებს თავგზა აუბნია და მეკარისგან შორეულ კუთხეში გოლი — შედევრი გაიტანა 1:0.
59. მახლასის დარტყმულს წერეთელი გადაეღობა და ბურთი კუთხურზე გადააგდო.
60. ალექსიძემ ბურთი თავისი საჯარიმოდან წაილო. გზად ქეცბაიამ ნემსაძეს მიაწოდა, ნემსამ კი მარჯვნიდან შეტევაში ახვლედიანი ჩართო. იგიც საჯარიმოში შევიდა, ცრუმოძრაობა და მარცხენა ფეხით კარში დარტყმა — ილიას ატმაციდისი ბურთს ადგილზე დახვდა.
67. ფრუსოსი გვარამაძესთან პირისპირ გადიოდა, კოშკამ კარი დატოვა და ხიფათი ფეხით განმუხტა.
69. ქართველებმა ჯარიმა გაითამაშეს. ჯამარაულის სახიფათოდ, ძლიერად დარტყმული ატმაციდისმა კუთხურზე გადააგდო.
75. ქართველთა საჯარიმოში ფრუსოსი წაიქცა, არბიტრმა ვილი იანგმა სიმულაციისთვის იგი გააფრთხილა.
77. ჯამარაულის შორიდან ძლიერად დარტყმული მეკარეს ხელიდან გაუვარდა. დამატებისას აშვეთიას მცველმა დაასწრო და... კუთხური.
86. დიმიტრიოს მავროგენიდისი საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა, ჩაწოდებული ბურთი ანასტასიუმ თავით ფრანცესკოსს დაუგდო. ამის დარტყმისთანავე გვარამაძე წაიქცა, ბურთი კი ხიზანეიშვილმა აისხლიტა და იგი რიკოშეტით ჩაეშვა ჩვენს კარში 1:1.
88. გადავრჩით. ნინიადისის კარის წინ დაბალ ჩაწოდებულს ერთბაშად ორი ბერძენი ვერ მისწვდა.
89. ვერცხლისწყალივით მოძრავმა ანდრეას ნინიადისმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა. მეკარე შეცდა, ბურთზე უნდა გამოსულიყო, ნიკოს მახლასმა კი თავით მიწაზე დაშვებით ყველაფერს წერტილი დაუსვა 1:2.
90. ბოლოს ჯამარაულმა დაარტყა. ატმაციდისმა ნახტომში მოიგერია, დამატებაზე კი ჩვენებურთაგან არავინ იყო და ბურთსაც მეკარე დაეუფლა.



ბერძენთა კარს მიხეილ აშვეთია (ბურთით) და ლევან კობიაშვილი უტევენ

## მატჩის შემდეგ



ვასილიოს დანიელი

*საბერძნეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვასილიოს დანიელი:*

— მოგება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ და, ალბათ, იმიტომ, რომ უფრო იღბლიანები აღმოვჩნდით. შეხვედრის მიწურულს გამოიკვეთა საბერძნეთის ნაკრების სიძლიერე მეტოქესთან შედარებით. სწორედ იმ დროს მოვახდინეთ მოწინააღმდეგეზე ზეწოლა და შევძელით ჩვენთვის სასურველი შედეგის მიღწევა. რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებსაც ძალუძდა ამ მატჩის მოგება, ოღონდ ამისთვის ერთი მაინც უნდა გამოეყენებინა იმ მომენტებიდან, რომლებიც დაწინაურების შემდეგ შექმნა. მინდა გამოვარჩიო ქეცბაიას და ჯამარაულის თამაში. ამ ფეხბურთელებმა ძალიან ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს. მოედანზე ფრანცესკოსის გამოყვანით ბოლო კოზირი გამოვიყენეთ, თუმცა ვიმეორებ, შედეგის მიღწევაში იღბალი დაგვეხმარა.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრებს რომ უფრო ძლიერი ფორვარდები ჰყოლოდა, შეძლებდა ამ შეხვედრის იოლად მოგებას?**

— თუ თქვენები უფრო დიდ ძალებს მოახმარდნენ იერიშებს და შეტევაშიც მეტ თავდამსხმელს დააყენებდნენ, მაშინ ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზში შეექმნებოდათ პრობლემები. ჩვენ კი გავრისკეთ, რადგან აშკარა საფრთხის წინაშე დავდექით.

**— თუ გაიხსენებთ, კიდევ როდის მოახერხა საბერძნეთის ნაკრებმა თითქმის წაგებული თამაშის ბოლო წუთებზე მოგება?**

— მე შემიძლია მხოლოდ ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარებულ შეხვედრებზე ვისაუბრო. თუ ნაკრების ისტორიაზე ვილაპარაკებ, მაშინ სხვა მწვრთნელები იყვნენ და არ მსურს იმ გუნდების თამაშებზე მსჯელობა.

**— რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის II ჯგუფის დღევანდელი სხვა მატჩების შედეგები?**

— როგორც შევიტყვეთ, ნორვეგიამ და სლოვენიამ სტუმრად იმარჯვეს. ჯერ ყველაფერი წინაა და წინასწარი დასკვნების გამოტანისგან თავს შევიკავებ. ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა კი 9 ივნისის შეხვედრის შედეგს ენიჭება. ორშაბათს ხომ ლატვიის ნაკრებს ვმასპინძლობთ და ის მატჩი ბევრ რამეს გაარკვევს.

**— რატომ არ მიმართეთ პრესინგს?**

— მე არ ვიცოდი, თუ როგორი ტაქტიკით ითამაშებდა საქართველოს ნაკრები. ამიტომაც წინასწარ არაფერი დაგვიგეგმავს. ჩვენს ჩვეულ სტილში დავიწყეთ თამაში, მაგრამ შეხვედრის მსვლელობამ და არასასურველმა ანგარიშმა გვაიძულა, ტაქტიკური გადაადგილებებისთვის მიგვემართა.

**— ასეთი სუსტი გუნდის პატრონი მომავალშიც იღბლის იმედად იქნებით?**

— მინდა აღვნიშნო, რომ ორივე გუნდმა კარგი თამაში აჩვენა. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, ეს იყო ჩემი მეორე ოფიციალური შეხვედრა და, რა თქმა უნდა, ახლა თანდათან უკეთესობა უნდა დაგვეტყოს. საბერძნეთის ნაკრების მომავალი ბედი კი ოთხშაბათის თამაშზე ჰკიდია და სწორედ ლატვიასთან პაექრობა იქნება გადამწყვეტი. ამასთან ერთად, საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობა გადახალისდება.

ამის შემდეგ შედეგით აშკარად კმაყოფილმა ვასილიოს დანიელმა პრესკონფერენციის დარბაზი დატოვა. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი შეუძლოდ გამხდარა და მის თანაშემწე *გია გეგუჩაძესთან* მოგვიხდა გასაუბრება.

— მოკლე კომენტარს გავაკეთებ. ვფიქრობ, ჩვენმა გუნდმა პირველი 70 წუთი კარგად ჩაატარა, მერე რამდენიმე ფეხბურთელს დაღლა დაეტყო, რაღაც რაციონალური დაიკარგა გუნდის თამაშში... თუმცა ფორტუნა ოდნავ ჩვენს მხარეზე რომ ყოფილიყო, ანგარიშის შენარჩუნება არ გაგვიჭირდებოდა. ჩემი აზრით, წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით.

**— მაინც რა მოხდა ბოლო 20 წუთში?**

— ამას ცოტა უფრო ღრმა ანალიზი სჭირდება. რთული ამოცანის წინ ვდგავართ. ჯერ ერთი, აუცილებლად უნდა მოგვეგო, მეორეც, საჭიროა გუნდის განახლება, ახალი სისხლი და ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოცდა. ეს ყოველივე კი ერთად არ ხდება. ახალბედებს გამოცდილება არ ჰყოფნით, ამას ფსიქოლოგიური მომენტიც ემატება და სასურველი დონის მიღწევა მეტად ძნელდება. თუმცა მოავალს იმედიანად ვუყურებ.

**— შეხვედრის მსვლელობისას იოჰან ბოსკამპმა ნაკრების მარცხენაფლანგელებისკენ რაღაც დავალებით გაგზავნათ. თუ საიდუმლო არაა, რა მითითება გადაეცით ფეხბურთელებს?**

— თამაშის დროს ბევრი რამ იცვლება. დასამალი არაფერი მაქვს. მარცხენა ფლანგზე რაღაც იყო დასალაგებელი და ამიტომაც გავიქეცი იქით. თუ გახსოვთ, ტაქტიკურ გადაადგილებას მივმართეთ. ცქიტიშვილი გამოვცვალეთ, იგი დაშავებული იყო, კობიაშვილი უკან დავწიეთ. ეს კი თავიდან გათვალისწინებული არ გვქონდა.

**— დემეტრაძეზე რას იტყვით?**

— ამის შესახებ ყველას კარგად მოგეხსენებათ... მას მუხლი სტკივა და ნაკრებიდან გავუშვით.

**— ქართველმა ფეხბურთელებმა ვერცერთი საჯარიმო ვერ დაარტყეს სახიფათოდ.**

— სტანდარტული მდგომარეობის შესრულებას უდიდეს ყურადღებას ვუთმობთ, თუმცა ამაზე სამუშაოდ დიდი დრო არ გვქონია.

**— ხვდება თუ არა ბოსკამპი, რომ ზაზა ჯანაშიას გარეშე საქართველოს ნაკრების თავდასხმა უსუსურია?**

— არ მგონია, რომელიმე თქვენგანი ამართლებდეს ჯანაშიას საქციელს, როგორი ვარსკვლავიც უნდა იყოს იგი. მოდით, ასე დავსვათ საკითხი. ჯანაშიას თუ აპატიებ, მაშინ სხვა ვარსკვლავებსაც უნდა დაუთმო. ასეთი დამოკიდებულებით კი გუნდს საბოლოოდ დავკარგავთ.

**— ჯანაშიამ ხომ მოიბოდიშა.**

— მე ასეთი ინფორმაცია არ მაქვს.

**— კარგად მოთამაშე ახვლედიანი რატომ გამოცვალეთ?**

— ახვლედიანმა მართლაც კარგად ჩაატარა თამაში, მაგრამ ცოტათი დაიღალა და შეცვლა ითხოვა...

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრებს ჰყავს აშკარა ფორვარდი?**

— კვლავ ვიმეორებ, გუნდი ხელახლაა ჩამოსაყალიბებელი. დღევანდელ შეხვედრაში ყველამ მოინდომა, ზოგს გამოუვიდა თამაში, ზოგს — არა, მაგრამ ყველა ბოლომდე დაიხარჯა... გუნდში ახალგაზრდები უნდა ჩავრთოთ. ეს არის ხანგრძლივი პროცესი. მერე კი ყველა რგოლში გვეყოლება ძლიერი ფეხბურთელები.

**— ფოცხვერიას გამოუძახებლობას როგორ აფასებთ?**

— ჩვენი შეცდომა იყო.

**— მეკარის თამაში თუ მოგეწონათ?**

— გვარამაძის მოქმედებით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვართ...

ხვიჩა სანიკიძე

# რა გვებადა და რა შევიძინეთ

ᲣᲙᲕᲔ საბოლოოდ გაირკვა ყველაფერი. იოჰან ბოსკამპს აწი შეუძლია ნერვების მოუშლელად გააგრძელოს თავისი საქმე. საქართველოს ეროვნული ნაკრები მორიგი შესარჩევი ციკლის ჩაგდებას გლოვობს. ახლა იმედად მომავალი ციკლისთვის მზადებაღა დარჩა.

ბოსკამპი მხოლოდ ერთხელ შეცდა. თამაშამდე საქართველოს ეროვნულ გუნდს მეორე ადგილზე გასვლის შანსი ჰქონდა. სავალდებულო და სასურველი იყო, მწვრთნელსა და ნაკრებს შანსი შეენარჩუნებინათ. თითქმის გამოუვიდათ ჩანაფიქრი, რომ არა ქართველთათვის საბედისწერო ხუთი წუთი...

მხოლოდ ამას ვსაყვედურობთ ჰოლანდიელს. სხვა მხრივ, ბოსკამპმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მწვრთნელია. შაბათს ეროვნულის გაზონზე სულ სხვა ნაკრები იბრძოდა, ძველს სრულიადაც არ ჰგავდა.

არა, ევროპამდე მაინც შორია. არადა, ბოსკამპს ათიოდ დღეში რა უნდა მოესწრო, მან ხომ ორი, არასრულფასოვანი შეკრების დროს დააწყო გუნდი. დაცვა აზრზე მოდის, ნახევარდაცვა ბრძოლას ეჩვევა, შეტევაც დაემსგავსა შეტევას.

რაც ყველაზე მთავარია, ნაკრებს გაუჩნდა ტაქტიკა. ფეხბურთელები ცდილობენ, მწვრთნელის მითითებები შეასრულონ, იბრძვიან, მეტოქეს ძნელად თუ უთმობენ მონაპოვარს. ეს უკვე მიღწევაა წაგებებს ჩვეული გუნდისთვის.

ბერძნებთან მარცხის ერთადერთი მიზეზიც ეს იყო. დამარცხებულის ფსიქოლოგიის მქონე ეროვნულმა ნაკრებმა თავისი შესაძლებლობებისა ბოლომდე ვერ ირწმუნა, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა იმიტომ წააგო, რომ გამარჯვებისთვის მზად არ აღმოჩნდა თუმცა ეს მოურჩენელი სენი ნამდვილად არ არის.

შაბათ საღამოდან მოყოლებული, იოჰან ბოსკამპს ბევრი მტერ-მოყვარე გამოუჩნდა. ამათგან მტრები უფრო მრავლად ეყოლება ჰოლანდიელს. კიდევ კარგი, მწვრთნელმა ქართული არ იცის, თორემ ამდენი გინებისა და შეურაცხყოფის შემყურე, შაბათსვე ჩაალაგებდა ჩემოდნებს და „კეთილი" სურვილებით დაგვემშვიდობებოდა.

ბოსკამპის წასვლა ქართულ ფეხბურთს მხოლოდ დააზარალებს, თორემ დარწმუნებულები ბრძანდებოდეთ, ბატონი იოჰანი უმუშევარი არ დარჩება.

ქართველი გულშემატკივარი მოგებას ითხოვდა. 85-ე წუთამდე ჰქონდათ კიდეც გამარჯვების იმედი, მაგრამ ბერძნებმა რომ გაიტანეს, ფეხბურთელთა გინების გარდა სხვა ვერაფერი მოიფიქრეს. არადა, შაბათს არ იყვნენ ჩვენი ბიჭები საგინებლები. საერთოდ, გინება რა საკადრისია, თანაც მალულად, ზურგსუკან. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ ჩვენებურს პირში ვერავინ შეაგინებდა, პირიქით, თაფლივით დაუტკბებოდნენ ბიჭებს. გინებას და ლანძღვას ის სჯობს, თუ რაიმე არასწორი შენიშნე, თავაზიანად მიუთითო. თუმც გულშემატკივრის საქმე ქომაგობაა და არა ფეხბურთელის კრიტიკა, მაგრამ ნებისმიერი ქართველი ხომ ჩინებულად ერკვევა ფეხბურთში, ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობთ.

დროებით თავი დავანებოთ ბოსკამპს და ფეხბურთელებს და იმაზე ვთქვათ, რაც უშუალოდ თამაშის შემადგენელი ნაწილიცაა. თითქმის ყველა ქვეყანაშია სტადიონი, სადაც ინდივიდუალური სკამი სანთლით საძებარი არ არის. მხოლოდ ქართველები წვალობენ. აქ ღირს ბილეთი 10 ლარი, როცა უმრავლესობის საშუალო შემოსავალი 12 ლარია თვეში. ერია თუ ბერი, ძალლია თუ კაცი, ყველა სტადიონზე მოსულს პრესლოჟაში სურს მოკალათება. მერე ჟურნალისტს უხდება ალმა-დალმა წანწალი და პოლიციელებთან ხვეწნა-მუდარა — შენი ჭირიმე, ჩვენს ადგილებზე უცხოები დამსხდარან და იქნებ მეორე იარუსს შემაფარებინო თავიო.

მხოლოდ ქართველები გადავყვებით უცხოტომელებს თავზე ბოლო ლუკმას გავიმეტებთ სხვისთვის და როცა იმ სხვის ქვეყანაში მოვხვდებით სტუმრად, ყურადღებას არავინ მოგვაქცევს.

ასეთი უმნიშვნელო ამბები ერთმანეთს ემატება და მოვარდება უდიდეს ტალღად, რომელიც მოუმზადებელს და გულარხეინს წალეკვას უქადის. მერე ბევრს უკვირს, რატომ წავაგეთო.

სწორედ ამიტომ ვუცხადებთ ნდობას იოჰან ბოსკამპს. ამ კაცმა დააპირა, ქართული საფეხბურთო ცხოვრება წესრიგს დაუმორჩილოს. ჯერჯერობით არც ღალატობს პრინციპებს. თუ გადაუხვია, კრიტიკა არც მას დააკლდება. ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეს.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

იოჰან ბოსკამპი და ფრანსუა დე იონგი წაგებით გაოგნებულნი არიან

### ᲪᲠᲔᲛᲚᲘ...

თამაშის შემდეგ თუ ვინმე იყო ჩვენებიდან შესაცოდი, პირველ რიგში ოთარ ხიზანეიშვილი. მსაჯის საფინალო სასტვენი და ბიჭს ცრემლები წასკდა.

რატომ ტიროდა ნაკრების დებიუტანტი? ის გამონაკლისია, რომელიც წარუმატებლობას ჩვეული არ არის. იგი ოთარი კოპალეიშვილის ნაკრებიდანაა, რომელიც ორი წელია, არ დამარცხებულა.

ტიროდა ბიჭი, თავს ადანაშაულებდა, მაგრამ ამაოდ. პირიქით, ხიზანეიშვილს შეუძლია თავაწეულმა, ამაყად იაროს. მინდორზე კარგის მეტი არაფერი უკეთებია. რამდენიმე წუთში დაძლია სასტარტო მღელვარება და მთელი თამაშის მანძილზე გამოცდილი მცველივით ირჯებოდა. ისიც კარგია, ჯერაც ნორჩს პასუხისმგებლობის გრძნობა რომ გააჩნია. რომელ მცველს არ მოხვედრია ბურთი, ოთარი რომ არა, იმწამს იქ სხვა იქნებოდა. ეგრე სურდა განგებას და იმიტომ. ხიზანეიშვილი კი, თუ ასე გააგრძელა, ჩინებული მცველი დადგება.

სტადიონზე კიდევ ერთმა პატარამ იტირა, მაგრამ ის აცრემლებული ნორჩი გოგონა ტრიბუნებზე მოკალათებულიყო. დედისა და ბებიის გარემოცვაში თავსაც მშვიდად გრძნობდა და ტირილს სულაც არ აპირებდა. უცბად თემურ ქეცბაიამ ჩინებული გოლი გაიტანა, გახარებული თანაგუნდელთა ალყაში მოექცა. ხალხიც აყვირდა და...

პატარა ლინდამ უცბად ვერ გაიგო, რა მოხდა, რატომ დასდევდა ათი ხელშემართული ქართველი ფეხბურთელი მამამისს და რატომ ღრიალებდა სტადიონი. ლინდა მალევე გაერკვა სიტუაციაში, დამშვიდდა. მერე ისიც თავისებურად გამოხატავდა ამ სიხარულს.

თემურ ქეცბაიას ქალიშვილის, პატარა ლინდას და ოთარ ხიზანეიშვილის ცრემლები სხვადასხვა ემოციების გამომხატველი იყო. ერთი გულგატეხილობას ვერ გაუმკლავდა, მეორე კი ბავშვურმა შიშმა დაძლია.

თავისებურად ორივე ცრემლი ნანატრი და ტკბილი იყო. ცრემლი, რომელიც უმწიკვლო გახლდათ, გულიდან გადმოხეთქილი ემოციების გამომხატველი.

სტადიონზე ატირებული კიდევ ორიოდ კაცი ვნახე, მაგრამ მათ ცრემლებს ლინდასა და ოთარისას ვერ შევადარებ, უბრალოდ, მათ გვერდით ვერც მოვიხსენიებ, რადგან ისინი ძალად, მოჩვენებით, სხვების დასანახად ტიროდნენ. გულში კი, ეტყობოდათ, სხვას ფიქრობდნენ. რას იზამ, ესეც შეგვიძლია ქართველებს.



გურამ ცეცხლაძის ფოტო

ოთარ ხიზანეიშვილმა თეოდოროს ზაგორაკისს (№7) ბურთი არ დაანება

### ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ

ბებერი ხარისა რქანიცა ხნავენო. არა, თემურ ქეცბაიას სიბერემდე ბევრი უკლია, სულ ცოტა, სამი წელი თემური კიდევ ითამაშებს მაღალ დონეზე, მაგრამ ქეცბაია ვეტერანია, ყოჩი და რაღა გასაკვირია, რომ მისმა რქებმა ბერძენთა დაცვის ხაზი ისე გადახნა, ვასილის დანიელს დაფარცხვა გაუჭირდება, ძალიან გაუჭირდება.

შაბათს ქეცბაია დიდებული იყო. სტუმრებმა თითქმის ყველა ქართველს მოუძებნეს გასაღები, მხოლოდ ის ვერ შეაჩერეს. თემური ბოლოსკენ თავისით გაჩერდა, უსაშველოდ დაიღალა, თავს ზემოთ ძალა არ იყო. სტადიონზე შეკრებილ ქომაგს მის მიმართ სამდურავი ერთხელაც არ წამოსცდენია.

რა ხანია, ნაკრებში მისი ასეთი თამაში არ გვინახავს. გაგვახსენდა ადრინდელი ქეცბაია, თავდაუზოგავად მებრძოლი, შემსრულებელი. თემური ემოციური კაცია, მინდორზეც ბოლომდე იხარჯება, მერე ემოციებს აჰყვება და... ახლაც ვიტყვი, არ ვტყუოდით, როცა მას კრიტიკა შევკადრეთ, ჩვენ ძველი თემურის ხილვა გვსურდა, რომელსაც არაერთი მეტოქე გაუკრავს ბეჭებზე. ბოლოს და ბოლოს ვიხილეთ.

მისი უფლებაა, როგორც სურს, ისე განსაჯოს, შეუძლია, გაიბუტოს კიდეც, რაც პირველ რიგში მას არ უნდა აძლევდეს ხელს. მაგრამ ფაქტი ერთია, ქეცბაია მართლაც კარგი ფეხბურთელია.

### ᲓᲐᲚᲚᲘᲚᲘ

თითქმის ასეთი იყო მთელი ჩვენი ნაკრები. განსაკუთრებით მატჩის ბოლოს გამოჩნდა ქართველთა ულონობა, მაგრამ ერთს, გოჩა ჯამარაულს მაინც გამოვარჩევდი.

ვერავინ დაიჩემებს, მან არ იშრომაო, პირიქით, ისეთ მომენტებში ვნახეთ მებრძოლი, ადრე რომ არ სჩვეოდა. ჯამარაულმა ყველაფერი გაიღო, მაგრამ ამდენი ხარვეზიც არასდროს ჰქონია გოჩას.

არ ვიცი, სხვას როგორ ჰგონია, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი ლოგიკურია. ჯამარაული, თავისი უიღბლობის გადამკიდე, ორი წელი ფაქტობრივად უთამაშებელი ეწვია ციურიხს. გაცდენილი დროის შემდეგ მაშინვე დიდმა დატვირთვებმა უწიეს. ორთვიანმა მუდმივმა ჯაფამ გოჩა გადაწვა, დამძიმებული ფეხები, მტკივანი წელი ერთიმეორეს გადაება და ხარვეზებიც ამის შედეგი მგონია.

რიტმში ჩამდგარი და ფორმაში მყოფი ჯამარაული კი ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელია.

### ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

ბერძნებთან მოსაგები მატჩი წავაგეთ, ესე იგი, საქმეს რაღაც დააკლდა. ყველამ ისე ვერ იმუშავა, როგორც ბოსკამპს ჰქონდა დაგეგმილი.

დავით გვარამაძემ ვერ გადაგვარჩინა, ლევან ცქიტიშვილმა ვერ გაამართლა იმედები, ნაავადმყოფარ ლევან კობიაშვილს სისუსტე ეტყობოდა, გიორგი ნემსაძეს გაცილებით მეტი მოეთხოვება, მიხეილ აშვეთიამ გასატანი ვერ გაიტანა, რატი ალექსიძე კი თამაშში სასურველად ვერ ჩაერთო.

ამდენი ხარვეზები ჩამოვთვალეთ. წუნი თვალშისაცემი იყო, მაგრამ ქართველები დანაკლისის კომპენსაციას ბრძოლით ცდილობდნენ. ისევ ფიზმომზადებამ გვიმტყუნა და მაინც ბერძნები კინაღამ ბეჭებზე გავაკარით. მართალია, „კინაღამ" სათვალავში ჩასაგდები არაა, მაგრამ არც ის გამიკვირდება, ის დაწყევლილი „კინაღამ" ბოსკამპმა ერთშაბად მოგვაშოროს.

მაშინ აუცილებლად გავიმარჯვებთ. ჰოლანდიელს კი დღეიდან, ახალი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე თამამად შეუძლია, თავის ექსპერიმენტებს მიმართოს, ოღონდ ვილაცამ ხომ უნდა უთხრას, რომ მის ხელში გაცილებით უფრო დიდი კონტიგენტია, ვიდრე მწვრთნელს ჰგონია.

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

# ინგლისს მიზანი შეეცვალა

ლონდონი
5 ივნისი
უემბლი
75 804 მაყურებელი

**ინგლისი 0:0 შვედეთი**

ინგლისი: სიმენი, ფ. ნევილი, კიოუნი (რ. ფერდინანდი 35), კემპბელი, ლე სო (გრეი 46), ბექემი (პარლოუ 76), ბეტი, სქოულზი, შერვუდი, შირერი, კოული
შვედეთი: ჰედმანი, ნილსონი, ბიორკლუნდი, კამარკი, ანდერსონი, დიუნგბერგი, შვარცი, მილდი (ალექსანდერსონი 7), მიოლბიუ (დ. ანდერსონი 83), ლარსონი (სვენსონი 70), კ. ანდერსონი
გაფრთხილება: კოული, ბეტი, შირერი, ჰედმანი, შვარცი, კ. ანდერსონი
გაძევება: სქოულზი (51)

### ზოგადად

„უემბლიზე“, „ფიცხელ“ ბრძოლაში მოპოვებულმა ქულამ ევრო 2000-ის მეხუთე შესარჩევი ჯგუფის ლიდერს შვედეთის ნაკრებს, კიდევ უფრო განუმტკიცა მდგომარეობა. სკანდინაველები არც მალავდნენ, რომ ფრე მათთვის დიდად ხელსაყრელი შედეგი იქნებოდა, ხოლო ინგლისელებს ყოველ მიზეზს გარეშე უნდა გაემარჯვათ. თამაშის მსვლელობაზე გავლენა, ბუნებრივია, პოლ სქოულზის გაძევებამაც (მეორე ტაიმის დასაწყისში) იქონია. საბოლოოდ, ხუთი ტურის მერე შვედები ოთხი ქულით უსწრებენ მდევარ პოლონეთს, ხოლო ინგლისი პოლონელებს ერთი ლიდერს კი ხუთი ქულით ჩამორჩება.

### შვედები მატჩის სადავეებს ფლობდნენ

„უემბლიზე“ საათნახევრის განმავლობაში ძალიან დაძაბული შეხვედრა მიმდინარეობდა, ფეხბურთელებს, ფაქტობრივად, ამოსუნთქვის საშუალებაც არ ჰქონიათ. სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლეს. ერთხელ ბურთი ინგლისის ნაკრების კარის ძელმა აისხლიტა, იყო შემთხვევები, როდესაც მასპინძელთა გოლკიპერმა, დევიდ სიმენმა გამოავლინა ოსტატობა, მაგრამ, აკი ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ფრე შვედთათვის ერთობ გასახარი შედეგი გახლდათ.



იოახიმ ბიორკლუნდი თვით ალან შირერისთვისაც გადაულახავ ზღუდედ იქცა

სხვა თუ არაფერი, სტატისტიკა მეტყველებს, რომ მათ ინგლისელებთან 1968 წლის მერე არ წაუგიათ. ეს კი, დაგვეთანხმებით, ერთობ საამაყო მაჩვენებელია.

სტუმართა დაცვა საგანგებოდაა აღსანიშნავი. მის შეუვალობას მნიშვნელოვნად განაპირობებდა პატრიკ ანდერსონისა და იოახიმ ბიორკლუნდის თამაში, რასაც ნახევარმცველთა დიდი მუშაობაც ზედ ერთვოდა და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ შვედები უფრო იყვნენ გოლის გამტანი, ვიდრე ინგლისელები.



პატრიკ ანდერსონი (მარჯვნივ) ენდი კოულთან ორთაბრძოლისას

მასპინძლებს კი ამ თამაშმა მხოლოდ სადარდებელი შემატა. ქულის დაკარგვა ერთია და ხვალ, ბულგარეთთან თამაშის წინ, სქოულზის დისკვალიფიკაცია, ზედაც მარტინ კიოუნის, გრემ ლე სოს და დევიდ ბექემის სხვადასხვა ხარისხის ტრავმები მეორე.

### რა ხდებოდა?

სქოულზმა წითელი ბარათისკენ გეზი შეხვედრის დასაწყისშივე აიღო, როდესაც ჰაკან მილდს ეძგერა. მაშინ მსაჯმა ჟლალ მანჩესტერელს ყვითელი ბარათი არ ამოუღო, მაგრამ რაც მოხდა დაიმახსოვრა. 27-ე წუთზე კი სქოულზის მეორე უხეშობა ყველანაირი ლოგიკით უნდა აღნიშნულიყო და აღინიშნა კიდეც გაფრთხილებით.

სქოულზს კიდევ დავუბრუნდებით, აი, შოტლანდიური „სელტიკის“ თავდამსხმელი, ჰენრიკ ლარსონი კი ველარ დაიბრუნებს იმ ეპიზოდს, როდესაც ფრედრიკ ლიუნგბერგის ჩაწოდებულ ბურთს თავური დაარტყა, მაგრამ მიზანს ააცილა. ოთხი წუთი რომ გამოხდა ფილ ნევილის დროულმა ბლოკმა მასპინძელთა გუნდი იოჰან მიოლბიუს დარტყმისგან იხსნა.

შემდეგ არსენალელი მარტინ კიოუნი დაშავდა და კევინ კიგანი იძულებული შეიქნა ის შეეცვალა. კიოუნის ნაცვლად მოედანზე რიო ფერდინანდის გამოჩენამ ინგლისელებს ბევრი ვერაფერი შეუცვალა. რაკი სიტყვამ დაშავება მოიტანა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მომენტამდე გაცილებით ადრე, მთლად დასაწყისში, ასეთი რამ შვედებსაც შეემთხვათ: მილდი რომ ვახსენეთ, სქოულზთან შეტაკების შემდეგ ტკივილი ველარ დაიამა და კენეტ ალექსანდერსონით შეცვალეს.

პირველი ტაიმის საუკეთესო შანსი, მაინც, 36-ე წუთმა მოიტანა. კენეტ ანდერსონმა, ახლოდან, თავურით, კვლავ ვერ დაუმიზნა სწორად — ბურთი კარს გადასცდა.

მასპინძლებს მე-40 წუთზე ჰქონდათ შანსი: ალან შირერმა და ენდი კოულმა კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც მანჩესტერელის ოდნავ უზუსტო დარტყმით დასრულდა. გამოხდა სულ ცოტა ხანი და საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა კენეტ ანდერსონმა ბურთი ვერ დაიმორჩილა და შესაბამისად, ხიფათიც არ შედგა.

შესვენების წინ კი, საჯარიმოს კიდიდან, შირერმა ვერ დაარტყა ზუსტად.

შესვენების შემდეგ, 51-ე წუთზე, ინგლისის მიზანს სერიოზულად შეექვეცა ფრთები — შვარცის წინააღმდეგ უხეშობისთვის სქოულზი გააძევეს მოედნიდან. სხვათაშორის, შვარცი, შვედთა მხრივ ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მოთამაშე გახლდათ. სტუმართა იერიშების, ხშირად, სწორედ მისი წამოწყებული კომბინაციების შემდეგ მწვავდებოდა.

ამრიგად, სქოულზმა, რომელიც შესარჩევი კამპანიის წინა შეხვედრაში ბულგარეთის ნაკრების წინააღმდეგ მოედნიდან ჰეთ-თრიკის ავტორად გავიდა, ამჯერად თანაგუნდელები უმცირესობაში დატოვა.

ისტორიისთვის: პოლ სქოულზი გახდა პირველი ინგლისელი, რომელიც „უემბლის“ მოედნიდან გააძევეს.

მანჩესტერელის მოკვეთამ შვედებს კიდევ უფრო გაუხსნა ხელ-ფეხი, თუმცა ეს სახიფათო მომენტების სიხშირით არ გამოხატულა. მომენტებს შორის ხანგრძლივი პერიოდები იყო. 63-ე წუთზე სიმენს კენეტ ანდერსონის დარტყმულის უკუგდებამ მოუწია. 77-ზე კი ლიუნგბერგმა (ისიც ლონდონის „არსენალში“ თამაშობს) 35 მეტრიდან დარტყმული ჯარიმით ინგლისელთა კარის მცველს გული გაუხეთქა — ბურთი ძელს მოხვდა. და კიდევ, მე-80 წუთზე კენეტ ანდერსონისა და სიმენის მორიგი დუელი ისევ გოლკიპერის წარმატებით დასრულდა.

### ვინ რა თქვა

კევინ კიგანი, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი: „პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, მთელი მატჩის განმავლობაში კი, ერთადერთი, რაც მომეწონა ჩვენი თავდადება გახლდათ. როგორც ჩანს, ამიერიდან, პლეი-ოფში მოსახვედრადღა უნდა ვიბრძოლოთ. დღეს რომ მოგვეგო სხვა იქნებოდა.

მოკლედ, დღეს გულდასაწყვეტი ამბავი მოხდა, მაგრამ ამის გულისთვის გემიდან ზღვაში ჩახტომა და თავის დახრჩობა არ იქნებოდა სწორი“.

მაგნუს ჰედმანი, შვედეთის ნაკრების მეკარე: „დღეს დიდი ჯაფა არ დამდგომია. სასიხარულოა, რომ შვედეთის ნაკრები ჩინებულ გზას ადგას. ჩვენი შეჩერება შეუძლებელი ხდება. კიდევ ერთი გამარჯვება და ევრო 2000-ის საგზური მოპოვებული გვექნება“.

**მიხეილ სურგულაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| პოლონეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 9 |
| ინგლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| ბულგარეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:10 | 0 |

## EURO 2000
ახალგაზრდული საჩემპიონატო

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

**იტალია 6:2 უელსი**

1:0 ვენტოლა (8), 1:1 ჯინი (28), 2:1 პირლო (62), 2:2 ჯოუნსი (66), 3:2 ვენტოლა (72), 4:2 კომანდინი (75), 5:2 ვანუჩი (78), 6:2 ვენტოლა (90)

**დანია 2:0 ბელარუსი**

1:0 ლექტონენი (31), 2:0 რომედალი (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 5 | 0 | 0 | 15:5 | 15 |
| დანია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| უელსი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:11 | 2 |
| ბელარუსი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |

### II ჯგუფი

**საქართველო 1:1 საბერძნეთი**

**ალბანეთი 1:2 ნორვეგია**

1:0 სინანი (5), 1:1 კარეუ (64), 1:2 ნორმანი (71)

**ლატვია 1:1 სლოვენია**

1:0 კოლისნიჩენკო (44), 1:1 ლავრიკი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 7 | 5 | 1 | 1 | 15:5 | 16 |
| საბერძნეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:6 | 14 |
| საქართველო | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| ლატვია | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| ალბანეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:11 | 4 |
| სლოვენია | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | 3 |

### III ჯგუფი

**გერმანია 2:0 მოლდოვა**

1:0 რაიხი (56), 2:0 როსლერი (77)

**ფინეთი 0:0 თურქეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 11 |
| გერმანია | 5 | 3 | 0 | 2 | 6:3 | 9 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:4 | 6 |
| ფინეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:4 | 6 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 2 | 4 | 1:8 | 2 |

### IV ჯგუფი

**ირლანდია 2:0 სომხეთი**

1:0 გუდმუნსონი (15), 2:0 გუდნარსონი (30)

**საფრანგეთი 2:0 რუსეთი**

1:0 ტრეზეგე (5), 2:0 ბასილა (34)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:3 | 12 |
| უკრაინა | 4 | 3 | 0 | 1 | 14:5 | 9 |
| რუსეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| სომხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:14 | 3 |
| ისლანდია | 4 | 0 | 0 | 4 | 3:12 | 0 |

### V ჯგუფი

**ინგლისი 3:0 შვედეთი**

1:0 კორტი (30), 2:0 კრესვილი (45), 3:0 კორტი (80)

**პოლონეთი 3:3 ბულგარეთი**

0:1 ჩომაკოვი (13), 0:2 იელევი (14), 1:2, 2:2 ვლოდარჩუკი (59, 68), 2:3 ჩომაკოვი (69), 3:3 დავიდოვსკი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 5 | 5 | 0 | 0 | 16:0 | 15 |
| ბულგარეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 12:10 | 8 |
| შვედეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:16 | 0 |

### VI ჯგუფი

**ისრაელი 2:1 ავსტრია**

1:0 რევივო (2), 2:0 ბენაიუნი (81), 2:1 პლასინგერი (87)

**ესპანეთი 4:1 ჰოლანდია**

0:1 ბრიუგინკი (26), 1:1, 2:1 მარტინი (40, 43), 3:1, 4:1 ტამუდო (48, 60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 16:2 | 15 |
| ჰოლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 11:7 | 12 |
| ისრაელი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:9 | 7 |
| კვიპროსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| ავსტრია | 6 | 0 | 0 | 6 | 4:13 | 0 |

### VII ჯგუფი

**პორტუგალია 1:1 სლოვაკეთი**

0:1 სედლაკი (78), 1:1 ალმეიდა (89)

**რუმინეთი 2:1 უნგრეთი**

1:0, 2:0 ცერნატი (23, 74), 2:1 ფერენცი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 13 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| პორტუგალია | 5 | 2 | 2 | 1 | 10:3 | 8 |
| აზერბაიჯანი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| უნგრეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:13 | 0 |

### IX ჯგუფი

**ბოსნია 1:2 ლიტვა**

0:1 გარდიაუსკასი (50), 0:2 საულენასი (52), 1:2 დუმოვიჩი (74)

**ესტონეთი 0:3 ჩეხეთი**

0:1 ეინზი (5), 0:2 იანკოლოვსკი (15), 0:3 ლუკესი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:0 | 16 |
| ლიტვა | 6 | 3 | 1 | 2 | 10:4 | 10 |
| ბელგია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| შოტლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ბოსნია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:11 | 4 |
| ესტონეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:15 | 0 |

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

# ოჯალანი ფეხბურთსაც გადასწვდა



REUTERS საბ დენიდან

საფრანგეთი — რუსეთი 2:3. იური ჯორკაეფი ევგენი ვარლამოვსა და ალექსანდრ მოსტოვოის შორის (№6)

I ჯგუფი

### იტალია 4:0 უელსი

1:0 ვიერი (7), 2:0 ინძაგი (37), 3:0 მალდინი (41), 4:0 კიეზა (88)

იტალია: ბუფონი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კანავარო, ნეგრო, ფუზერი (დი ლივიო 69), კონტე, ინძაგი (კიეზა 81), ვიერი (მონტელა 46), დი ფრანჩესკო

უელსი: ჯონსი, რობინსონი (ჯენკინსი 78), ბერნარდი, პეიჯი, მელვილი, უილიამსი, ბილემი, სონდერსი (ჰარტსონი 46), გიგზი, ჰიუზი, სპიდი.

1988 წელს უელსმა იტალია ბრეშაში დაამარცხა. ბოლონიაში რომ იგივე არ განმეორდებოდა, ცხადზე უცხადესი იყო. იტალია შესამჩნევად სჯობდა მეტოქეს.

ბოლონიაში მარცხის შემდეგ უელსის ნაკრების მწვრთნელი ბობი გოულდი თანამდებობიდან გადადგა. უელსის ფეხბურთის ასოციაციამ გოულდის შემცვლელებად მარკ ჰიუზი და ნევილ საუთჰოლი დაასახელა.

რაც დინო ძოფი იტალიის რჩეულ ფეხბურთელთა გუნდს წვრთნის, „სკუადრა აძურა" აგერ უკვე ზედიზედ ცხრა მატჩია, დაუმარცხებელია, მთლიანობაში კი იტალიელთა წაუგებელი სერია 14 თამაშს ითვლის.

ძალიან დიდი სხვაობა იყო. მასპინძლები სტუმრებს, რომელთა შორისაც ერთადერთი რაიან გიგზი ცდილობდა რაიმეს შეცვლას, აშკარად ჩაგრავდნენ. ცხადია, უელსის ნაკრების სხვა ფეხბურთელებსაც უნდოდათ რაიმეს გაკეთება, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. არ აძლევდნენ ამის საშუალებას და იმიტომ.

იტალიელთა მოგება მოსალოდნელიც იყო. რატომ? უმთავრესი მიზეზი ძალთა შეფარდებაა, რომელზეც უკვე ვთქვით. მეორე მიზეზი ისაა, რომ შემოდგომაზე, როცა უელსს იტალიამ ლივერპულში მოუგო, ბრიტანელებს პროგრესი ნამდვილად არ განუცდიათ, აპენინელებმა კი შედარებით წინ წაიწიეს. ახლა უელსელებს 2:0-ის ნაცვლად 4:0 მოუგეს. ისე, „სკუადრა აძურას" ერთ მატჩში ოთხი გოლი, თუ მსოფლიოს ნაკრებთან დაპირისპირებას არ ჩავთვლით, თითქმის სამი წელიწადია, არ გაუტანია.

სტუმრები თამაშის დასაწყისშივე ჩამორჩნენ — დიეგო ფუზერის ჩაწოდებული კუთხურიდან „ლაციოს" სუპერთავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ თავით უძლიერესად დაარტყა — 1:0. გოლის მერე იტალიელები ცოტათი დაწყნარდნენ, თუმცა შესვენებამდე კიდევ ორჯერ გაიტანეს — ფილიპო ინძაგიმ და პაოლო მალდინიმ სხვაობა სამ ბურთამდე გაზარდეს. მეორე ტაიმი, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველთან შედარებით ცუდი სანახავი გამოდგა. ეს აპენინელთა დიდმა უპირატესობამ განაპირობა. თუმცა, საუკეთესო გოლი სწორედ მეორე ტაიმში გავიდა — შეცვლაზე შესულმა ენრიკო კიეზამ ჯონსს დაახლოებით 25 მეტრიდან თავზე გადაუგდო ბურთი.

მეორე ტაიმი დინო ძოფმა ექსპერიმენტებისთვის გამოიყენა. ეს თავად მწვრთნელმაც აღნიშნა:

— უელსი ჩვენი მომგები არ იყო. მეორე ნახევარში ძირითადი ფეხბურთელები დავასვენე, რაც უნდა იყოს, შვეიცარიასთან პრინციპული მატჩი გველის. რაც შეეხება ახალბედებს, გაამართლეს. იმავე მონტელამ და ნეგრომ რიგიანად ითამაშეს — თქვა ძოფმა.

უელსის ნაკრების მწვრთნელი სულ სხვა თემაზე საუბრობდა.

— მინდა, რომ უელსი ევროპის ჩემპიონატზე მოხვდეს, მაგრამ ვგრძნობ ჩემს ხელში გუნდი ამას ვერ შეძლებს. ამიტომ გუნდიდან მივდივარ. იმედია, ჩემი შემცვლელი მიზანს მიაღწევს — გოულდმა გუნდიდან წასვლის შესახებ პირველად სწორედ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ბოლონიაში მოგებული თამაშის შემდეგ იტალია ჯგუფს ერთპიროვნულად ლიდერობს. თუ მოხდა და იტალიელებმა შვეიცარიაში მოიგეს, „სკუადრა აძურა", ალბათ, გაინაღდებს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს.



REUTERS ბოლონიიდან

იტალია — უელსი 4:0. ფილიპო ინძაგი (№9) უელსელთა კარისკენ იკაფავს გზას

### დანია 1:0 ბელარუსი

1:0 ჰაინცე (22)

დანია: შმაიხელი, კოლდინგი, ჰენრიკსენი, ჰოგი, ჰაინცე, გოლდბეკი, ნილსენი, ტოფტინგი (სტენ ნილსენი 67), გრონკიაერი, იორგენსენი, სანდი (მოლნარი 78).

ბელარუსი: ტუმილოვიჩი, იახიმოვიჩი, ლავრიკი, ლუკვიჩი, ოსტროვსკი (რომაშჩენკო 46), გურენკო, ხაცკევიჩი (კულჩი 70), ორლოვსკი, ბელკევიჩი, მაკოვსკი (რადჩუკი 85), ბარანოვი

კიდევ კარგი, ფეხბურთში ყველაფრის გათვლა-გაანგარიშება არ შეიძლება. კურიოზი, რომელმაც დანია — ბელარუსის დაპირისპირების ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, სტუმართა გუნდისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ბელარუსებმა, რომლებმაც იტალიაში ქულა მოიპოვეს, სკანდინავია გულნატკენებმა დატოვეს.

ვინ რჯიდა გენადი ტუმილოვიჩს, სტუმართა მეკარეს, კარიდან რომ გამორბოდა? მან იფიქრა, ტანმაღალ დანიელებს ჭკუას ვასწავლი, ბურთს ზედ თავიდან ავართმევო, მაგრამ ისეთი რამ შეემთხვა, ახლა ჭკუა თავად აქვს სასწავლი — იან ჰაინცეს ჩაწოდებული კუთხურიდან ბურთმა კარში ჩაუხვია და გოლი გავიდა. წამიერად ყველა შეცბა, დანიელებიც დაიბნენ, მაგრამ მერე მიხვდნენ, რაც მოხდა და...

— მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 1:0 მოვიგეთ, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ახლა უელსსაც თუ ვძლიეთ, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსები კვლავ მოგვეცემა — განაცხადა დანიელთა მწვრთნელმა ბო იოჰანსონმა.

ევროპის 1992 წლის ჩემპიონი დანია უელსს კარდიფში კი არა, ლივერპულში „სტუმრობს".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| შვეიცარია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| უელსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:11 | 6 |
| დანია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ბელარუსი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |

III ჯგუფი

### გერმანია 6:1 მოლდოვა

1:0 ბირჰოფი (2), 2:0 კირსტენი (27), 3:0 ბოდე (38), 4:0 ბირჰოფი (55), 5:0 შოლი (71), 5:1 შტრატულატი (76), 6:1 ბირჰოფი (82)

გერმანია: კანი, მათეუსი (ბაბელი 74), შტრუნცი, ნოვოტნი, იერემისი (შოლი 46), ჰამანი, ჰაინრიხი, ნოივილი, ბოდე, კირსტენი (რამელოვი 54), ბირჰოფი

მოლდოვა: დინოვი, ფისტიკანი, სტროენკო, მაიევიჩი (შტრატულატი 54), გუზუნი, რებეჟა, კურტიანუ, ეპურეანუ, ოპრია, გაიდამაშჩუკი (ბელოუსი 74), კლეშჩენკო (შიშკინი 81)

გამოცანა: სამი გოლიდან რამდენი გაიტანა ფეხით ოლივერ ბირჰოფმა?

შესაძლო პასუხები: ა) ერთი, ბ) მაქსიმუმ ორი. გ) სამივე.

სწორი პასუხი: ერთი.

ჩვეულებრივი ამბავია — თუ ბირჰოფს გოლი გააქვს, მხოლოდ თავური დარტყმით და არავითარ შემთხვევაში (ცხადია, იშვიათი გამონაკლისის გარდა) ფეხით. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასეა. „მილანის" თავდამსხმელმა ახლაც სამი ბურთი შეაგდო და აქედან ორი კვლავ თავურით. ახლაცო, იმიტომ ვამბობთ, რომ იტალიის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში, როცა „მილანმა" „ემპოლის" 4:0 მოუგო, ბირჰოფმა სამი გოლი გაიტანა და მაშინაც ორი თავურით.

ალბათ, უფრო სტატისტიკოსების საქმეა, მაგრამ არა მგონია, გულშემატკივრებს თავით მოთამაშე უფრო შედეგიანი ფეხბურთელი ახსოვდეთ.

ბირჰოფმა სტუმრები უკვე მეორე წუთზე დაამწუხრა. მერე რაც იყო, ალბათ, ანგარიშიც მიგახვედრებთ. აზრი, ვფიქრობ, არც გოლების აღწერას აქვს. ლევერკუზენის „ულრიხ ჰაბერლანდ შტადიონზე" შეკრებილი 21 ათასი გულშემატკივარი თითქმის ყოველ ათ წუთში ხარობდა. სხვათა შორის, ევროპის წინა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გერმანიამ მოლდოვას, დღევანდელის დარად, 6:1 მოუგო.

— გუნდი პირველივე წუთიდან იმას აკეთებდა, რაც სურდა. ჩვენ გვინდოდა გამარჯვება, ვიცოდით, როგორც მიგვეღწია წარმატებისთვის და მოვიგეთ კიდეც — განაცხადა ერიხ რიბეკმა, რომლის ხელმძღვანელობითაც გერმანიის ნაკრებმა საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

რიბეკი იერემისის ტრავმამ დაამწუხრა — მიუნხენის „ბაიერნის" გამრჯე ნახევარმცველმა მხარი დაიშავა და შესვენებისას ამიტომაც შეცვალეს. ბუნდესნაკრების ექიმების განცხადებით: შესაძლოა იერემისმა 12 ივნისს ვერც გერმანიის თასის ფინალში ითამაშოს.

### ფინეთი 2:4 თურქეთი

1:0 ტიჰინენი (10), 2:0 პაატელაინენი (14), 2:1 ტაიფური (25), 2:2 შუქური (34), 2:3 ტაიფური (84), 2:4 შუქური (87)

ფინეთი: ნიემი, ილონენი, კუივასტო, ჰიპია, ტიჰინენი, რიიჰილაჰტი, კოლკა, ვალაკარი, პაატელაინენი, ლიტმანენი, იოჰანსონი

თურქეთი: რექბერი, ბესერლერი, ფათიხი, აქბასი, ოზალანი, აბდულა (ჰაქანი 90), ტაიფუნი, ტაიფური, შუქური, იალჩინი (დავალი 89), აქმა (ქერიმოღლუ 74)

ქურთთა ლიდერ აბდულა ოჯალანს და თურქეთს ამ ბოლო თვეებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა ერთად მოიხსენიებენ. თურქებს ეს, ცხადია, არ სიამოვნებთ, მაგრამ რა ქნან? ხელოვნება გნებავთ, მეცნიერება თუ სხვა დარგი, ოჯალანი თითქმის ყველგან ყურადღების ცენტრშია. პოლიტიკაზე გასაგები მიზეზების გამო არაფერს ვამბობთ. თითქოს სპორტი აკლდა და ოჯალანის სახელი ახლა თურქულ ფეხბურთსაც დაუკავშირდა — ჰელსინკში ფინელებთან დაპირისპირებისას მისი ფანატები სტადიონზე შეიჭრნენ და თამაში დროებით შეწყვიტეს.

თურქთათვის ეს საწყენი ფაქტია, მაგრამ წყენა გამარჯვებისგან გამოწვეულმა სიხარულმა დაჩრდილა — სტამბოლში 1:3 მარცხისთვის თურქებმა სრულფასოვანი რევანში აიღეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 4 | 0 | 1 | 14:3 | 12 |
| თურქეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| ფინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | 6 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:8 | 5 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 2 | 4 | 6:16 | 2 |

IV ჯგუფი

### საფრანგეთი 2:3 რუსეთი

0:1 პანოვი (40), 1:1 პეტი (48), 2:1 ვილტორდი (54), 2:2 პანოვი (75), 2:3 კარპინი (85)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, კანდელა (პირესი 88), დეშამპი, პეტი, ჯორკაეფი (ბოგოსიანი 90), დუგარი (ვიეირა 59), ანელკა, ვილტორდი

რუსეთი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, ონოპკო, სმერტინი, ვარლამოვი, სემაკი (ბესჩასტნიხი 60), კარპინი, მოსტოვოი (ხოხლოვი 26), ტიტოვი, ტიხონოვი (ციმბალარი 71), პანოვი

... თერთმეტი თვის წინ საფრანგეთმა ზუსტად ამ სტადიონზე მსოფლიოს თასი აღმართა. ახლა რუსეთმა მოუგო.

... 1993 წელს, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საფრანგეთი შინ ბულგარეთთან 1:2 დამარცხდა, ფრანგები ოფიციალურ შეხვედრებში უძლეველნი იყვნენ. მათ წაუგებლად განვლეს ევროპის 1996 წლის პირველობა და მისი შესარჩევი ეტაპი, მსოფლიოს ჩემპიონატი. ახლაც დაუმარცხებლად მიდიოდნენ და თითქოს თავაწეულებს უნდა განეგრძოთ გზა, მაგრამ რუსეთთან ხელი მოეცარათ.

... 1997 წლის ზაფხულში საფრანგეთმა ინგლისს უმასპინძლა და დამარცხდა. მას შემდეგ ფრანგები შინ არავის ეჩაგვრინებოდნენ. ისევ რუსეთთან წაგება გვახსენდება.

... ბოლო გუნდი, რომელმაც საფრანგეთს მოუგო, რუსეთი იყო — 1998 წლის გაზაფხულზე, მოსკოვში, მასპინძლებმა 1:0 იმარჯვეს. მას შემდეგ დაუმარცხებელ და მსოფლიოს უძლიერეს გუნდად შერაცხულ საფრანგეთს კვლავ რუსებმა შეურყიეს თავდაჯერება.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რუსეთმა მსოფლიოს ჩემპიონი მისსავე მოედანზე დაამარცხა. ამით ყველაფერია ნათქვამი.

— ძალიან ცუდი რამ მოხდა. შეცდომების გამო დავისაჯეთ. წაგებამ ძალიან, ძალიან დამწყვიტა გული — თქვა როჟე ლემერმა, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა.

— უმნიშვნელოვანესი მატჩი მოვიგეთ. ახლა ბევრად გაგვეზარდა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი. ვეცდებით, კიდევ წინ წავიწიოთ — რუსეთის ნაკრების თავკაცი ოლეგ რომანცევი.

ალექსანდრ პანოვი — აი, ფეხბურთელი, რომელმაც სტუმართა მოგება განაპირობა. სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" თავდამსხმელმა ოთხჯერ გაილაშქრა ბარტეზის კარისკენ და ორი გოლი შეაგდო. ფორვარდიც ამას ჰქვია.

...ზინედინ ზიდანის არყოფნა შესამჩნევი იყო. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისა და გენიალური გამთამაშებლის ფანტაზია საფრანგეთის ჭალარაშეპარულ ნაკრებს აშკარად აკლდა.

### უკრაინა 4:0 ანდორა

1:0 პოპოვი (38), 2:0 რებროვი (41), 3:0 დმიტრულინი (56), 4:0 გუსინი (89)

# ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

უკრაინა: ვორობიოვი, ლუჟნი, მიკიტინი (მიზინი 72), გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი (მაქსიმიუკი 78), ციხმეისტრუკი, პოპოვი, გუსინი, შევჩენკო (სკაჩენკო 67), რებროვი
ანდორა: ალვარესი, პოლი, მარტინ გარსია (ლუსენდო 53), მანუელ გარსია, ტ. ლიმა, ი. ლიმა, გონსალესი, სონეხო, რამირესი, სანჩესი, რუისი

უცნაური შესარჩევი ჯგუფია — ექვსი ტურის შემდეგ ორი გუნდი კვლავ დაუმარცხებელია. საფრანგეთს რუსეთთან ფეხი რომ არ დასცდენოდა, ისიც უძლეველი იქნებოდა.

უკრაინას არ წაუგია და ჯგუფის ლიდერიცაა. იგი ევროპის ჩემპიონატზე, ალბათ, მოხვდება და დიდი შანსია, ბელგია — ჰოლანდიის საგზური ჯგუფის გამარჯვებულის რანგში მოიპოვოს.

ანდრეი შევჩენკოს ამჯერად არ გაუტანია — კიევის „დინამოს" თავდამსხმელი კიკო ალვარესის კარის დალაშქვრას კი ცდილობდა, მაგრამ ისე არ მოინდომა, როგორც, ვთქვათ, საფრანგეთთან ან რუსეთთან. ალბათ, ამიტომაც ვერ გაიტანა.

მასპინძელთა შორის კვლავ გამოჩნდა იური დმიტრულინი, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო ნახევარი წელიწადი გაუცდა.

## ისლანდია 2:0 სომხეთი

1:0 დადასონი (30), 2:0 რ. კრისტინსონი (46)
ისლანდია: ბ. კრისტინსონი, ჰელგასონი (კოლვიდსონი 72), ჰრიდარსონი, იონსონი, მარტინსონი, გუნარსონი, რ. კრისტინსონი, სვერისონი, სიგურდსონი (დანიელსონი 81), გუდიონსონი, დადასონი (ელგუსონი 69)
სომხეთი: ბერეზოვსკი, სუკიასიანი (ნკრჩიანი 65), ხაჩატრიანი, ოვსეპიანი, ვოსკანიანი (გრიგორიანი 84), ვარდანიანი, პეტროსიანი (აირაპეტიანი 75), არუთიანიანი, სარქისიანი, შაჰგელდიანი, მიქაელიანი.

— ხალხს ჰგონია, რომ ჩვენ დაცვითი თამაში გვიყვარს. ეს რომ ასე არაა, ვფიქრობ, დავამტკიცეთ — განაცხადა ისლანდიის ნაკრების მცველმა პეტერ მარტინსონმა.

რა უნდა ვთქვათ? ვერ დავიჩემებთ, ისლანდიელებს დაცვა უყვართო, მაგრამ ვერც იმის მტკიცებას დაიწყებ კაცი, მზე და მთვარე თავდასხმაზე ამოსდითო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 6 | 4 | 2 | 0 | 12:3 | 14 |
| ისლანდია | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 12 |
| საფრანგეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| რუსეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 16:10 | 9 |
| სომხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |
| ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 2:19 | 0 |

### V ჯგუფი

## პოლონეთი 2:0 ბულგარეთი

1:0 ჰაიტო (15), 2:0 ივანი (62)
პოლონეთი: მატისეკი, ვალდოხი, ლაპინსკი, სიადაცკა, ზელინსკი, ჰაიტო, მიხალსკი, ივანი, ვიხნიარეკი (ფრანკოვსკი 64), ნოვაკი (ბრჟეჩეკი 73), ტრჟეჩაკი
ბულგარეთი: ივანკოვი, კიშიშევი, ზაგორიცი, პეტკოვი, მარკოვი, კირილოვი, პეტროვი, სტოიჩკოვი (ივანოვი 80), იოვოვი (ბაჩევი 62), პეტკოვი, სტოილოვი

ბევრი რამ გაირკვევა ოთხშაბათს — პოლონელები ლუქსემბურგს სტუმრობენ, ინგლისელები კი ბულგარეთს ეწვევიან. რადგან ჯგუფის გამარჯვებული შვედეთი, პრაქტიკულად ცნობილია, მეორე ადგილის ბედი დარჩა გასარკვევი.

პოლონეთს ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე, ოფიციალურ ტურნირში 1986 წლის შემდეგ არ უთამაშია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| პოლონეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 9 |
| ინგლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| ბულგარეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:10 | 0 |

### VI ჯგუფი

## ესპანეთი 9:0 სან მარინო

1:0 იერო (8პ), 2:0 ლუის ენრიკე (23), 3:0, 4:0 ეჩებერია (25, 45), 5:0 რაული (56), 6:0, 7:0 ლუის ენრიკე (65, 67), 8:0 ჯენარი (87 ს.კ.), 9:0 მენდიეტა (90)
ესპანეთი: კანისარესი, მიჩელ სალგადო (მუნიტისი 60), არანსაბალი, მარსელინიო, იერო, ლუის ენრიკე, გვარდიოლა, გერერო (მენდიეტა 74), რაული (ურსაისი 60), ეჩებერია, მორიენტესი
სან მარინო: გასპერონი, ჯენარი (ვანუჩი 88), მარინი, დელა ბალდა, გობი, გუერა, ბაკიოჩი, დელა ვალე, მონტანა (გოლინი 56), მანძაროლი (ვალენტინი 75), ძონძინი

სანმარინოელთა მეკარე ფრედერიკო გასპერონი კმაყოფილი გახლდათ.

— ჩემი მთავარი მიზანი იყო, 14 გოლი არ გამეშვა. ასე რომ მომხდარიყო, ესპანელებთან თამაშს კიდევ დიდხანს მომიგონებდნენ — თქვა გასპერონიმ. საოცარია — თითქოს მან ცხრა კი არა, ერთი გოლი გაუშვა.

ხოსე ანტონიო კამაჩოს ნაკრებმა ბოლო სამი შესარჩევი მატჩი საერთო ჯამში 25:0 მოიგო.

რაც შეეხება ესპანელთა რეკორდს, 1933 წელს მათ ბულგარელებს 13:0 მოუგეს და ეს დღემდე სარეკორდო მიღწევაა.

## ისრაელი 5:0 ავსტრია

1:0 ბერკოვიჩი (23), 2:0 რევივო (45), 3:0 ბერკოვიჩი (47), 4:0 მიზრახი (52), გრაები (75)
ისრაელი: დავიდოვიჩი, ხარაზი, გრაები, შელაჰი, ბენადო, ჰაანი, ბანინი, რევივო, აბუკსისი (ტალი 80), ბერკოვიჩი (ტიკვა 77), მიზრახი (რივილია 76)
ავსტრია: ვოლფარტი, ჩერნი, კოგლერი, ბარისიჩი, ფინკლოფერი, მაელიხი, ჰერცოგი, ნოიკირხნერი, ვასტიჩი (გლიდერი 54), მეირლიბი (ჰაასი 68), ამერჰაუზერი

— მას შემდეგ, რაც 1993 წლის ოქტომბერში საფრანგეთს 3:2 მოვუგეთ, საუკეთესო შეხვედრა ვითამაშეთ — განაცხადა ისრაელის ნაკრების თავდამსხმელმა ეილ ბერკოვიჩმა. მართლაც ასეა.

ავსტრია კი... რა შთაბეჭდილება უნდა დარჩეს — მოიგებენ 7:0-ს, წააგებენ 0:5-ს... მოდი და გაიგე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 28:4 | 12 |
| ისრაელი | 5 | 3 | 1 | 1 | 15:3 | 10 |
| ავსტრია | 6 | 3 | 1 | 2 | 15:16 | 10 |
| კვიპროსი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1:36 | 0 |

### VII ჯგუფი

## პორტუგალია 1:0 სლოვაკეთი

1:0 ნუნუ კაპუჩო (62)
პორტუგალია: ბაია, სავიერი (კონსეისაო 31), კოუტუ, მადეირა, დიმაში, სოუზი, ბენტო, კოშტა, ფიგუ (ბარბოსა 89), პინტუ (ნუნუ კაპუჩო 61), სა პინტუ
სლოვაკეთი: კონიგი, ტიმკო, კარჰანი, კრატოჩვილი, ვარგა, ლაბანტი, ზვარა (ვალაჩოვიჩი 30), ტომაშეკი, პინტუ (სლიჩო 64), დუბოვსკი, მაიოროსი (კოსუჩი 83)

ნუნუ კაპუჩო მოედანზე შეხვედრის დამთავრებამდე 29 წუთით ადრე შევიდა. მისი შესვლა და სლოვაკთა კარში გოლის გატანა ერთი კი ალმოჩნდა. ამრიგად პორტუგალიის ნაკრები მეშვიდე შესარჩევი ჯგუფის ცხრილში კვლავ ლიდერობს.

გოლი ასე გავიდა: ლუიშ ფიგუ რომელიც „სპორტინგიდან" „ბარსელონაში" 1995 წელს გადასვლის შემდეგ „ალვალადეს" სტადიონზე პირველად თამაშობდა, მარცხენა ფრთიდან გაიჭრა



პორტუგალია — სლოვაკეთი 1:0. ლუიშ ფიგუ მიროლსლავ კარჰანს იოლად გასცდა

და ბურთი ნუნუ კაპუჩოს გადააწოდა, რომელმაც ღონიერი დარტყმით იგი მიროსლავ კონიგის კარში შეაგდო.

მასპინძლები მთელი შეხვედრის მანძილზე უტევდნენ, მაგრამ ფიგუს და რუი კოშტას დარტყმებს სლოვაკთა გოლკიპერი ართმევდა თავს.

„სლოვაკეთი კარგად მომზადებული, დისციპლინირებული გუნდი ყოფილა. ძალიან ძნელად მოსაგები შეხვედრა გამოდგა, რომელშიც მხოლოდ ჩვენსავით კარგი გუნდი თუ იმარჯვებდა" — თქვა მატჩის შემდეგ პორტუგალიელთა მწვრთნელმა უმბერტო კოელჰომ.

## აზერბაიჯანი 4:0 ლიხტენშტაინი

1:0 ყ. ყურბანოვი (16), 2:0 ლიჩკინი (42), 3:0 ტაგიზადე, 4:0 ისაევი (73)
აზერბაიჯანი: კრამარენკო, აგაევი, იაგულაევი, ახმედოვი, ლიჩკინი, მერიმოვი, მ. ყურბანოვი, ტაგიზადე (ისაევი 68), ყ. ბურბანოვი, ვასილევი (ხანკიშევი 61), სირაევი
ლიხტენშტაინი: იელე, რიტერი, მარტინ სტოკლასა, ლინგი, ზეჩი, მიხაელ სტოკლასა (ვოლვენდი 74), ფრიკი, ბიკერი (მ. ბეკი 59), ჰესლერი, ტელსერი, ბენცი (თ. ბეკი 45)

აზერბაიჯანმა შესარჩევ კამპანიაში პირველი ქულები მოიპოვა. გუნდმა, რომელსაც ხუთ გასულ შეხვედრაში ერთადერთი გოლი ჰქონდა გატანილი (ლიხტენშტაინში, სადაც 1:2 წააგო), ამჯერად ერთბაშად ოთხი შეაგდო. ამ მარცხის შემდეგ 26 გოლგაშვებული ლიხტენშტაინი ცხრილის ფსკერზეა.

## რუმინეთი 2:0 უნგრეთი

1:0 ილიე (2), მუნტეანუ (15)
რუმინეთი: ლობონტი, პეტრესკუ, ნანუ, ფილიპესკუ, გალკა, პოპესკუ, პეტრე, მუნტეანუ, მოლდოვანი (განეა 64), ჰაჯი (ლუპესკუ 46), ილიე (კრაიოვეანუ 86)
უნგრეთი: კირალი, ჰრუტკა, კორსოში, მატიასი, ვ. სებოკი, ჰალმაი, ი.სებოკი, დარდაი, ფეჰერი (პისონტი 46), ილეში (პრეისინგერი 81), ეგრეში

საინტერესო ამბები მატჩის დამთავრებიდან ერთი ხნის შემდეგ, ბუქარესტის ცენტრალურ მოედანზე მოხდა: დაახლოებით 8 ათასმა გულშემატკივარმა, ეროვნული დროშებით ხელში, დიდი მანიფესტაცია მოაწყო. ისინი ყვიროდნენ: „ჰაჯი! ჰაჯი! ჰაჯი ნამდვილი მეფეა".

მართლაც, სანამ მხრის ტრავმის გამო შეცვლიდნენ, რუმინული ფეხბურთელის ვეტერანმა ვარსკვლავმა დიდებულად ითამაშა. 34 წლის ფეხბურთელს საფრანგეთი 98-ის განცხადებული ჰქონდა ნაკრების ფორმას აღარ ჩავიცმევო, მაგრამ ერთ შეხვედრაში მონაწილეობას მაინც დათანხმდა.

„ეს დიდებული გამარჯვება გახლდათ. ჩვენ გვინდოდა ისტორიული ნაბიჯის გადადგმა და გადავდგით კიდეც. რაც შემეხება მე, საკმარისია" — განუცხადა რუმინეთის რადიოს ჰაჯიმ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 6 | 5 | 0 | 1 | 19:2 | 15 |
| რუმინეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:1 | 14 |
| უნგრეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:6 | 8 |
| სლოვაკეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:4 | 8 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:17 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:26 | 3 |



რუმინეთი — უნგრეთი 2:0. გეორგ ჰაჯის შემჩერებელი (№10) არც პალ დარდაი იყო და არც სხვა უნგრელი

### VIII ჯგუფი

## მაკედონია 1:1 ხორვატია

0:1 შუკერი (19), 1:1 ჰრისტოვი (80)
მაკედონია: მილოშევსკი, შაინოვსკი, სტავრევსკი, სტოიანოვსკი, ბაბუნსკი (ზაჰარევსკი 61), ტრაიჩევი (ჰრისტოვი 80), მიცევსკი, ტრენევსკი, ბოჟინოვი (46), შაჩირი, ჩირიჩი
ხორვატია: ლადიჩი, შიმიჩი, იურიჩი, სოლდო, შარიჩი, ასანოვიჩი (ბიშჩანი 85), ბობანი, ვუგრინეცი(ვლაოვიჩი 64), იარნი, ბოკშიჩი (რაპაიჩი 19), შუკერი

შეცვლაზე შესულმა თავდამსხმელმა, გეორგი ჰრისტოვმა, თამაშის მიწურულს მოახერხა ანგარიშის გათანაბრება — მასპინძლებს გარჯა დაუფასდათ.

წამების შესული იყო ჰრისტოვი როდესაც ხორვატთა საჯარიმოში ბურთი იხელთა და დრაჟენ ლადიჩისგან მარჯვენა კუთხეს ზუსტად დაუმიზნა ბურთი. ამრიგად, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნებმა 1999 წელს პირველი გამარჯვების შანსი გაუშვეს ხელიდან.

ანგარიში კი მე-19 წუთზე გაიხსნა, როდესაც ხსენებული მსოფლიოს პირველობის საუკეთესო ბომბარდირმა დავორ შუკერმა სეხნია ვუგრინეცის შორიდან ჩაწოდებულს შედეგიანი თავური დაარტყა.

ახლა ხორვატებსა და მაკედონიელებს შვიდ-შვიდი ქულა აქვთ და ერთ და ორ თამაშნაკლულ ირლანდიელებსა და იუგოსლავიელებს უსწრებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაკედონია | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| ხორვატია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:1 | 6 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 2:18 | 0 |

### IX ჯგუფი

## ბოსნია 2:0 ლიტვა

1:0 კოდრო (26პ.), 2:0 ბოლიჩი (90)
ბოსნია: დედიჩი, სმაჯიჩი, კაპეტანოვიჩი, ვარესანოვიჩი, ჰობიჩი, ბეზირევიჩი, რეპუში (ბოლიჩი 87), საბიჩი, კოდრო (მუიცინი 49), სალიჰამიჯიჩი, ტოპიჩი (ტურკოვიჩი 90)
ლიტვა: ლეუსი, სკერლა, მარიუსი, დარიუსი, კანჩელსკისი, ზვერგჟდაუსკასი, მიკალაიუნასი, ივანიუსკასი, პრეკშაიტისი, შემბერასი (გროზვიდოსი 78), მატიულევიჩუსი

ბოსნიამ ღირსეულად გაიმარჯვა და ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა. ანგარიში გუნდის კაპიტანმა მეჰო კოდრომ გახსნა: ლიტველმა ტომას კანჩელსკისმა სეად კაპეტანოვიჩი წააქცია საჯარიმოში, რისთვისაც სწორედ ის პენალტი დაინიშნა კოდრომ შედეგიანად რომ დააგვირგვინა.

მასპინძლები ამის შემდეგაც დაჟინებით უტევდნენ ყოფილი საბჭოელების კარს, თუმცა გოლის გატანა მხოლოდ მსაჯის დამატებულ დროში მოახერხეს — თურქული „ფენერბაჰჩეს" თავდამსხმელმა, მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე შესულმა ელვინ ბოლიჩმა, ახლოდან თავური დარტყმით მიაღწია მიზანს. სტუმრებმა, გაძევებათა გამო, შეხვედრა ცხრა ფეხბურთელით დაასრულეს.

## ესტონეთი 0:2 ჩეხეთი

0:1 ბერგერი (45), 0:2 კოლერი (84)
ესტონეთი: პოომი, ლემსალუ, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი, სავიაუკი, ალონენი (სმირნოვი 65, ოკონელ-ბრონინი 68), ტერეხოვი (სვეტსი 80), ოპერი, კრისტალი, რეიმი, ვიკმაე
ჩეხეთი: სრნიჩეკი, რეპკა, სუხოპარეკი, ნედვედი (გალაშეკი 86), ჰორნიაკი, ჰაშეკი, ნემეცი, პობორსკი, ლოკვენტი (კოლერი 71), შმიცერი, ბერგერი

„გულწრფელად გეტყვით, რომ ძნელი გამარჯვება გვერგო" — თქვა მატჩის შემდეგ ჩეხეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა იოჟეფ ხოვანეცმა.

„ვგონებ კარგად ვითამაშეთ, როგორც თავდასხმაში ასევე დაცვაში" — კმაყოფილი გახლდათ დამარცხებულთა თავკაცი პეიტურ ტორდარსონიც — „ვიცოდით, რომ გოლი მხოლოდ კონტრშეტევას თუ მოჰყვებოდა, რადგან ჩეხებს ძალიან კარგი ნახევარდაცვა ჰყავთ."

თავიდან, პირველი ტაიმის მიწურულს, ლივერპულელმა პატრიკ ბერგერმა საჯარიმოს მარჯვენა მხრიდან ძლიერი დარტყმით, ესტონელ გოლკიპერს, მარტ პოომს, განძრევის შანსიც არ დაუტოვა, ხოლო შესვენების შემდეგ, მოედანზე 13 წუთის შესულმა იან კოლერმა მეორე და მატჩის უკანასკნელი გოლი გაიტანა.

## ფარერები 1:1 შოტლანდია

0:1 ჯონსტონი (38), 1:1 ჰ. ფ. ჰანსენი(90)
ფარერები: მიკელსენი, იოჰანსენი, ჰ. ფ. ჰანსენი, ტორსტეინსონი, ო. ჰანსენი (ჯ. ჰანსენი 87), ჯ. იონსონი, ჯ. იონსენი (ბორგი 73), ს. იონსენი, მოერკოერე, ტ. იონსონი, პეტერსენი (არგე 82)
შოტლანდია: სალივანი, უეირი, ბოიდი, კალდერვუდი, ელიოტი, დევიდსონი, დოდსი, ლამბერტი, გალაჰერი, დარანტი (კამერონი 46), ჯონსტონი (ჯემილი 88)

თავიდან ყველაფერი ლოგიკურად იყო, „სანდერლენდის" თავდამხმელმა ალან ჯონსტონმა ახლო მანძილიდან თავური დარტყმით ანგარიში გახსნა და სქოთები დაწინაურდნენ, მაგრამ, შემდეგ, მათმა მცველმა მეტ ელიოტმა, მასპინძელთა კაპიტანს ტოდი იონსონს, ბურთისთვის ბრძოლაში მუჯლუგუნი უთავაზა, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს და... ბოლო წთზე, ჰანს ფროე ჰანსენმა გაქვითა.

„ელიოტის საქციელს გამართლება არ აქვს. იგი ორ ქულად დაგვიჯდა. ამ ინცინდენტამდე კი ყველაფერი რიგზე იყო, ფარერებზე ვარმოგება იმას ნიშნავს, რომ პლეი ოფში მოხვედრისთვისლა უნდა ვიბრძოლოთ. ჩეხეთთან პრალაში ფრედ მაინც უნდა ვითამაშოთ, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება" — განაცხადა შოტლანდიელთა მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 14:3 | 18 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ესტონეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:11 | 7 |
| ბოსნია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| ლიტვა | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| ფარერები | 6 | 0 | 2 | 4 | 2:10 | 2 |

ტირანა
5 ივნისი
20.30 საათი
ქემალ სტაფა
16 000 (ტევადობა 18 000)

**ალბანეთი 1:2 ნორვეგია**

0:1 ივერსენი (3), 1:1 ტარე (16), 1:2 ფლო (85)
ალბანეთი: სტრაკოშა, ლალა, შულკუ, ჯუმბა, ვატა, ფაკაი (ბელაი 63), ჰაჯი, ბუში, კოლა (დურო 70), რაკლი (ბოგდანი 81), ტარე
ნორვეგია: ოლსენი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, პედერსენი (ბრაგსტადი 63), ჰალანდი, ივერსენი, მიუკლანდი, სოლბაკენი (რისეტი 89), ტ. ა. ფლო, რეკდალი, რუდი (დალუმი 78)
გაფრთხილება: პედერსენი (47), შულკუ (69), მიუკლანდი (84), ჰაჯი (89)
მსაჯი: ლ. ბაცოლი (იტალია)

# ასტრიტ ჰაფიზი: ნორვეგიასთან წაგება იძნევოდა?..

მიქელე იანკუ ტირანადან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

ასეთი ტირანას ქემალ სტაფას“ სტადიონს არ ახსოვს, რამდენიმე ათეული ავტომატიანი, რამდენიმე ჯავშანტრანსპარტიორი, ასეულობით პოლიციელი, მოკლედ, რა ვიცი... მის მიმდებარე ტერიტორიაზეც ამბავი იყო, ნუ იკითხავთ. პროვოკაციის მოლოდინში ვითარება იმდენად დაიძაბა, ზოგიერთს არც კი ეფეხბურთებოდა, რამდენიმე კილომეტრში, საზღვარს გაღმა, თანამემამულეები იხოცებიან, რა დროს თამაშიაო, ამბობდნენ.

ფეხბურთი კი, სწორედაც რომ დროული იყო, ხალხს ცოტა სანახაობაც სჭირდება, თვალის გახარებაც, თორემ ყოველდღე ტანკებსა და ავტომატებს მტერმა უცქირა.

თამაშიც ისეთი გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. მხოლოდ მატჩის შემდეგ ჩამოსტიროდათ ალბანელ ქომაგთ თავ-პირი. ტაბლოზე ის ანგარიში არ ეწერა, გულშემატკივრებს რომ გაახარებდა და ლოგიკური ეთქმოდა. არა, წასაგები მატჩი ნაღდად არ იყო. ჰა, ჰა და, ფრეს მაინც ვიმსახურებდით, ფლოს თავური რომ არა, 85-ე წუთზე ბურთს რომ დაარტყა და ისედაც ჯგუფში პირველებს, ნორვეგიელებს, ამჯერადაც გაამარჯვებინა.

მატჩი ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო. ნორვეგიელები თავიანთ ნახევარზე აგორებდნენ ბურთს, ჩვენებიც — საკუთარზე. შეტევებით არც ერთი გუნდი იკლავდა თავს. ის გოლიც, მე-3 წუთზევე „ტოტენჰემში“ მოთამაშე ივერსენმა რომ გაიტანა, თითქმის მოედნის ცენტრში დანიშნულ ჯარიმას მოჰყვა, დიდი-დიდი ათიოდ მეტრი ყოფილიყო ბურთი ცენტრს იქით: მიუკლანდმა გაუგორა ივერსენს და ამანაც ისეთი დაარტყა, თანაც გაიტანა, რომ იშვიათი სილამაზისა გამოდგა. ასეთი გოლები ათ წელიწადში ერთხელ თუ გადის. მართლაც ფანტასტიკური რამ იყო.



სტალე სოლბაკენი ერვინ ფაკაის (№6) ბურთს ეცილება

თამაშიც ჩვეულებრივ გაგრძელდა, ბევრიც არაფერი შეცვლილა, თუმც ჩვენებურები უფრო ხშირად აკონტროლებდნენ ბურთს, ცდილობდნენ, მეტოქე გამოეტყუებინათ და კონტრშეტევაზე გამოეჭირათ. ნორვეგიელები ანკესს არ წამოეგნენ. ისინი კვლავაც საკუთარ ნახევარზე განლაგებულიყვნენ, მხოლოდ ფლო აწუხებდა ალბანელ მცველებს, ცენტრს გადაცდენილ მასპინძლებს კი ერთბაშად სამი სტუმარი ეძგერებოდა და ბურთს ართმევდნენ.

მე-16 წუთზე ერთ-ერთი ასეთი შემთხვევისასაც იტალიელმა მსაჯმა საჯარიმო დანიშნა. კარიდან დაახლოებით ოც მეტრში, თავისუფალი იყო, თუმცა ტარემ მსაჯის აღმართულ ხელს ყურადღება არ მიაქცია, გამოქანდა და პირდაპირ კარში დაარტყა. გაუმართლა, მართალია, ბურთი, როცა კარისკენ მიფრინავდა არავის შეხებია, მაგრამ ხარიხას მიენარცხა, იქიდან დაშვებული კი მეკარე ფროდე ოლსენს ზურგზე მოხვდა და კარშიც შეგორდა. აბა, მაშინ გენახათ, „ქემალ სტაფაზე“ რა ხდებოდა, ერთი ავტომატის კაკანი არ ყოფილა, თორემ სხვა ყველაფერი. ხალხი ყირაზე გადადიოდა. მეორე გოლის მოლოდინშიც ვიყავით, მაგრამ შანსების მიუხედავად არაფერი გამოვიდა. ხან ჩვენი თავდამსხმელები სცოდავდნენ, ხანაც ნორვეგიელი მცველები ყოჩაღობდნენ. თამაშიც პირველი ტაიმის მიწურულამდე და 85-ე წუთამდე ასევე გაგრძელდა, ალბანელების სრული უპირატესობით და დადგა საბედისწერო 85-ე — მიუკლანდის კუთხური და ტორნ ანდრე ფლოს თავური. ანგარიშის ხელახლა გათანაბრება უკვე შეუძლებელი იყო. თუმცა ავადმყოფობის შემდეგ ბოლომდე გამოუშუშებელ ჰაჯის გოლიდან ოთხ წუთში კი ჰქონდა რეალური საგოლე მომენტი — კარიდან ორიოდ მეტრში მდგომმა ბურთი ოლსენს დაუმიზნა.



არიან ჯუმბას (№4) ჰაერში ტორე ანდრე ფლომ აჯობა

**მატჩის შემდეგ**

ნორვეგიელთა მწვრთნელმა *ნილს იოჰან სემბმა* თავი დიდად არ შეგვაწყინა:

— ალბანელებმა, ჩემთვის მოულოდნელად, ძალიან კარგად ითამაშეს. ფრე უფრო ლოგიკური შედეგი კი იქნებოდა, მაგრამ მიხარია, რომ ასე არ მოხდა და ამ გამარჯვებით, ფაქტობრივად, თავი ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრილად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

მაინცდამაინც ენაწყლიანი არც ჩვენი მწვრთნელი *ასტრიტ ჰაფიზი* ყოფილა:

— მეტად სამწუხაროა, მოსაგები მატჩი რომ წავაგეთ. ამაში არავის ვამტყუნებ, ყველა ფეხბურთელით კმაყოფილი ვარ. ჩემით დაწყებული და გუნდის ნებისმიერი მოთამაშით დამთავრებული, ახლა ერთზე უნდა ვიმუშაოთ, როგორმე უნდა ვისწავლოთ ჩვენი კარის მიმართულებით დანიშნული კუთხურ-ჯარიმების გაუვნებელყოფა. აქაც კუთხურის შემდეგ დავისაჯეთ და ნორვეგიაშიც, თანაც ორჯერვე ბოლო წუთებზე.

რიგა
5 ივნისი
20.30 საათი
დაუგავა
2 800 (ტევადობა 5 000)

**ლატვია 1:2 სლოვენია**

1:0 პახარსი (18), 1:1, 1:2 ზაჰოვიჩი (26, 43პ)
ლატვია: კოლინკო, ლუკაშევიჩსი, ასტაფიევსი (რუბინსი 44), ზემლინსკისი, ლობანოვსი (კორაბლიოვსი 45), შარანდო (ბლეიდელისი 60), ი. ლაიზანსი, შტოლცერსი, პახარსი, ბაბიჩევსი, მიხოლაპსი
სლოვენია: სიმეუნოვიჩი, რუდონია (ისტერცი 88), მილინოვიჩი, კარიჩი, გალიჩი, ქნავსი, ნოვაკი, ჩეჰი, უდოვიჩი (აჩიმოვიჩი 66), ზაჰოვიჩი, პავლინი (ისტენიჩი 79)
გაფრთხილება: კარიჩი (17), ზემლინსკისი (38), მიხოლაპსი (48), რუდონია (55), გალიჩი (74), პახარსი (77)
მსაჯი: ჟ. ბრიტო არსეო (პორტუგალია)

# რევაზ ძოძუაშვილი: მითხარით, რომ პენალტი იყო და დღესვე წავალ საქართველოში

აშკოლდს ულდრიკისი რიგიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

სლოვენიელთა ნაკრების მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი მატჩამდე რომ ამბობდა, ჩემთვის მთავარია, შეგირდებმა კარგად ითამაშონ, ანგარიშს კი დიდი მნიშვნელობას არ ვანიჭებო, მთლად ასეც როდი ყოფილა — მატჩისშემდგომ უსაზღვროდ გახარებულმა მწვრთნელმა ფეხბურთელებს ჩამოუარა და არა მგონია, ლამაზი ფეხბურთისთვის, უფრო გამარჯვებისთვის მადლობა გადაუხადა, თითოეული მოთამაშე ჩაკოცნა და ასევე გახარებულმა პრესკონფერენციაზე ადრინდელისგან განსხვავებით ეს განგვიცხადა:

— ძალიან მინდოდა, ლატვიიდან სამი ქულა წაგველო, დღევანდელი მასპინძლები ხომ ჩვენი კონკურენტები არიან ჯგუფში მეორეობისთვის. დაგეგმილიც ასე გვქონდა. ლატვიაში და ალბანეთში სტუმრობის შემდეგ შინ მინიმუმ სამი ქულით უნდა დავბრუნებულიყავით. ახლა კი ტირანაში მშვიდად ჩავალთ, თუმცა იქაც თუ მოვიგეთ, ხომ მთლად კარგი. ისე, სიმართლე ვთქვა, ალბანეთში მოგების მეტი იმედი მქონდა, ვიდრე რიგაში, ლატვიელები ხომ დაცვით ფეხბურთს თამაშობენ და მათთვის გოლის გატანა ერთობ რთული საქმეა...

პრესკონფერენციაზე კატანეცის ნათქვამს ქვემოთ კიდევ წაიკითხავთ, მანამდე კი მატჩზე გეტყვით, რომელიც მოგებული გვეგონა, სამი ქულის მოლოდინში თითებსაც ვიფშვნეტდით, პახარსის გოლმაც ამაში თითქმის დაგვარწმუნა, მაგრამ...

როგორც იქნა, ველირსეთ! ლატვიის ნაკრებს აქამდე 538 წუთი გოლი ვერ გაეტანა. შარშან, 10 ოქტომბერს, შტოლცერსმა მატჩის დასაწყისშივე საქართველოს ნაკრებს კუთხურიდან რომ ჩაუხვია, მას შემდეგ ჩვენებურთა გოლი აღარც გვინახავს. შაბათს კი ნავსი გატყდა. 538-ის შემდეგ 18 წუთი კიდევ მიილია და დაახლოებით 25 მეტრიდან ინგლისურ „საუთჰემპტონში“ მოთამაშე მარიან პახარსმა ჯარიმიდან იმგვარად დაარტყა, ბურთმა კინაღამ კარის ბადე გახია და ჩვენებმა რომ გაიხარეს, სტუმართა მეკარე სიმეუნოვიჩი მაშინღა გამოფხიზლდა. 556 წუთის შემდეგ გავიხარეთ და თავიც ქუდში გვეგონა, თანაც ლატვიელები ისე უტევდნენ მეტოქეს, ისიც ვიფიქრეთ, სლოვენიელთა კარი გოლებით ამოივსებოდა. თუმცა, გოლიდან სულ ხუთ წუთს იყო ჩვენი უპირატესობა თვალშისაცემი. მერე თამაშიც გათანაბრდა და, სამწუხაროდ, სტუმართა უმთავრესმა მეგოლე ზაჰოვიჩმა, რომელიც ახლახანს „პორტუდან“ ესპანურ „ვალენსიაში“ გადავიდა, ისეთი გოლი გაიტანა, ნახევარ სტადიონს პირი ღია დარჩა: რუდონიამ ფლანგზე რამდენიმე მცველი გააპამპულა და საჯარიმოში სრულიად უმეთვალყუროდ დარჩენილ ზაჰოვიჩს ჩაუწოდა, მასაც აღარ გასჭირვებია ანგარიშის გათანაბრება. გასაკვირიც ეგ იყო, მცველები, ყოველთვის რომ ჩინებულად თამაშობდნენ, იმ ეპიზოდში რატომღაც დაიბნენ. ზონა ყველამ მიატოვა, ზაჰოვიჩის ახლომახლო არავინ აღმოჩნდა. ეს იყო დაცვის უხეში შეცდომა. თავდამსხმელის ასე დატოვება არ შეიძლებოდა.

სლოვენიელები დამშვიდნენ, უმეტესად ბურთსაც ისინი აკონტროლებდნენ, თუმცა ცენტრის ხაზს ვერ სცილდებოდნენ, თავიანთ ნახევარზე დარბოდნენ. ჩვენები კი დასდევდნენ, მატჩიც კატათაგვობანას დაემსგავსა, მეტად ცუდი საცქერი შეიქმნა და ტაიმის დამთავრების მოლოდინში ვიყავით, მსაჯმა ჩვენს სასარგებლოდ აშკარა პენალტზე რომ წაუყრუა, ვითომაც არაფერიო, ისე გაშალა ხელები. არადა, ერთ-ერთმა მცველმა ლობანოვსი ისეთი კისრულით დასცა მინდორზე, უეჭველი პენალტი გვეგონა. ამის შემხედვარე, იქამდე წყნარად მყოფი რევაზ ძოძუაშვილიც კი აღშფოთდა. ცოტა დააკლდა და არბიტრს მინდორზე შეუვარდებოდა. მეოთხე მსაჯმა დააშოშმინა. დაკარგული ბურთი კი სლოვენიელებმა წაიღეს ჩვენი კარისკენ, საჯარიმოში ლუკაშევიჩსი ებრძოდა უდოვიჩს და... პენალტი სლოვენიელთა სასარგებლოდ. ძოძუაშვილი გადაირია. მისი გასაგებიც იყო. როგორია, წუთის წინ ლატვიელებს აშკარა პენალტი არ დაუნიშნეს. თუმცა, შორს ვარ მსაჯის გადაწყვეტილების კომენტარისგან, მინდორზე ის გახლდათ და, ალბათ, სლოვენიელთა საჯარიმოშიც ვერაფერი შენიშნა ისეთი, თერთმეტმეტრიანის დანიშვნად რომ ღირდა. ის პენალტი კი, ზაჰოვიჩმა იდეალურად შეასრულა. სტუმრები დაწინაურდნენ და ორიოდ წუთში გუნდებიც შესვენებაზე წავიდნენ. თუმცა ამ ორ წუთში ძოძუაშვილმა ორი შეცვლის გაკეთებაც მოასწრო. აშკარად უჩვეულოდ, ცუდად მოთამაშე მცველი ასტაფიევსი ახალგაზრდა თავდამსხმელ რუბინსით შეცვალა, წუთის შემდეგ კი ნახევარმცველ ლობანოვსს ასევე ახალგაზრდა, გამოუცდელი კორაბლიოვსი ამჯობინა.

მეორე ტაიმზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ჩვენმა გუნდმა მოლოდინი გაგვიცრუა, მთელი 45 წუთის განმავლობაშიც სულ სამჯერ დაემუქრნენ სიმეუნოვიჩის კარს, ორჯერ მიხოლაპსმა დაარტყა, ერთხელაც რუბინსმა იყოჩაღა, პახარსის ჩაწოდებულ ბურთს თავით შესწვდა, მაგრამ კარს ველარ დაუმიზნა. მართალია, მატჩის მიწურულს სლოვენიელთა კართან შტურმიც იყო, მაგრამ ისეთიც არაფერი შექმნილა, ქართველ ქომაგს დააინტერესოს. ტრავმირებულ ბლაგონადეჟჩინსის, ისაკოვსის, ივანოვსისა და სტეფანოვსის არყოფნა ძლიერ ეტყობოდა ჩვენს ნაკრებს. აღარაფერს ვამბობ მეკარე კარავაევსზე... ჯამში რაც მივიღეთ, ანგარიშიდანაც ჩანს, ყველაზე სამწუხარო კი ისაა, თქვენებმაც რომ წააგეს და ახლა ლატვიელებს ჯგუფში მეორეობის მცირე შანსიღა დაგვრჩენია.

**მატჩის შემდეგ**

*სრეჩკო კატანეცი:* ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ. თამაში თავიდან ცუდად დავიწყეთ, გაშვებული ბურთის შემდეგ უარესადაც გამოვიყურებოდით, მაგრამ, ბედად, თამაში მალევე გამოვასწორეთ და გოლებიც გავიტანეთ. მატჩის ბოლოს უხეშობას კი ფეხბურთელთა დაღლილობით ავხსნიდი.

*რევაზ ძოძუაშვილი:* ვინმე თუ მეტყვის, ლატვიის კარში პენალტი სამართლიანად დაინიშნაო, მაშინ ახლავე დავიხურავ ქუდს და შინ დავბრუნდები, საქართველოში წავალ. არავინ იფიქროს, წაგებას მსაჯს ვაბრალებდე, ყველაფერი ლატვიის ჩემპიონატის გადატვირთული კალენდრის ბრალია, შესარჩევ მატჩამდე გუნდებს ცოტა უნდა დაესვენათ. ტრავმებიც ამისი შედეგია. დღეს ხომ ხუთი ძირითადის ფეხბურთელი გვაკლდა. რამდენიმემაც ივაჟკაცა, დაშავებულებმა მაინც ითამაშეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

**გადათამაშება**
**პირველ ჯგუფში**
**გადასასვლელი მატჩი**

გორი. ცენტრალური. 8 ივნისი. 18 საათი

## ლარწყალი — დინამო 2

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; სფფ-ის დელეგატი: მ. ლაცაბიძე

# პრეზიდენტმა დაგვიბარა...

თავდაპირველად ამ მატჩის გამართვა რუსთავში იყო დაგეგმილი, მაგრამ ბოლო მომენტში ფედერაციამ შეხვედრის მასპინძლად გორის „ცენტრალური" დაასახელა და საამმატჩო ფაციფუცში მყოფ „ფოლადზე", რუსთაველი გულშემატკივრის კომპენსაციის მიზნით, მომდევნო ორი შეხვედრის გამართვა ბრძანა („ლარწყალი" — „დინამო 2"-ს შორის დამარცხებული ვანის „სულორს" შეხვდება, ხოლო მათ შორის გამარჯვებული თსუ-ს დაუპირისპირდება და პირველ ლიგაში დამრჩენი მესამე გუნდის ვინაობას გაარკვევს).

ასე რომ, დღეს გორში მეორე ჯგუფის აღმოსავლეთის ზონის ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები პირველი ლიგის დარჩენილი კენტი საგზურის მფლობელის ვინაობას გაარკვევენ — „ლარწყალი", თუ „დინამო 2"?

სასიამოვნო მოულოდნელობაო, თუ შეიძლება რაიმეს უწოდო ქართულ ფეხბურთში, ეს პირველ რიგში, ალბათ, ძველანაგელებზე ითქმის. კახური სოფლის ამ გუნდმა წლეულს მართლაც დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზა. სეზონის წინ ჩამოყალიბებულმა „ლარწყალმა" მეორე ჯგუფის გუნდის კვალობაზე საკმაოდ სოლიდურ შემადგენლობას მოუყარა თავი და 28 შეხვედრაში არ დამარცხებულა. მხოლოდ ათი ქულა დაკარგა (5 მატჩი ფრედ ითამაშა) და ქვეჯგუფის ფავორიტ „აკადემიას" ბოლო ტურში გამოსტაცა პირველობა. ფაქტია, ძველ ანაგაში სერიოზულად მოჰკიდეს ხელი გუნდის მშენებლობას, „ლარწყალს" არც საწვრთნელ-მოსამზადებელი ციკლები აკლია (ისევ მეორე ჯგუფის გუნდების კვალობაზე) და ამ გუნდის ფეხბურთელები არც ხელფას-პრემიების ნაკლებობას უჩივიან. (ბევრი პირველი ლიგის გუნდებისგან განსხვავებით). კახურ გუნდს ქომაგიც თავისებური ჰყავს. შინ თუ გარეთ ერთგულად მხარდამჭერი და შემგულიანებელ-დამკვალიანებელი. მათი გამორჩეული ქომაგობის მოწმე პირადად გახლდით (მაშინ, „აკადემიასთან" მატჩის დროს, დიდუბის მაუდ-კამვოლის სტადიონის ახლომდებარე ხეებს დაამჩნიეს თავიანთი კვალი ქიზიყელმა გულშემატკივრებმა). იმ დღეს ერთი ძველანაგელი ფეხბურთის გულშემატკივარი ამბობდა — ეს რა არის, შვილო, თქვენ ამბავი მერე ნახეთ, პირველ ლიგაში რომ გადმოვალთო. მართლაც „ლარწყალს" პირველლიგელობა დაუსახავს მიზნად და საამისოდ გამალებითაც ემზადება. გუნდი უკვე მეექვსე დღეა, შეკრებაზე იმყოფება წნორში და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. გუშინ ჩვენთან საუბარში ქიზიყური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ანზორ გძელიძემ განაცხადა, რომ უკლებლივ ყველა მოთამაშე ჯანმრთელად არის და სრულ საბრძოლო ფორმაში ხვდება დღევანდელ შეხვედრას. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტ შეხვედრაში ფავორიტად მაინც დინამოელები ითვლებიან. მეტოქისგან განსხვავებით, ქვეყნის უცვლელი ჩემპიონის ფარმ-კლუბმა საკმაოდ იოლად და უპრობლემოდ დაიკავა ჯგუფში პირველი ადგილი. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ კლუბის რამდენიმე მოთამაშე საქართველოს სხვადასხვა რანგის ნაკრებების ღირსებას იცავს და ბევრისგანაც მსმენია, ბორის სიჭინავას დამოძღვრილი „დინამო 2" კარგი, შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებსო. ერთიცაა, დღეს ბევრი ხმამაღლა საუბრობს, რომ „დინამო 2"-მა პირველი ლიგის საგზურის მოპოვების შემთხვევაში შესაძლოა, რჩეულთა შორის ადგილი ლანჩხუთის „გურიას" დიდსულოვნად დაუთმოსო. ამ შემთხვევაში, ასეთი მოსაზრების გასაბათილებლად „დინამო 2"-ის მეორე მწვრთნელის, რამაზ მუმლაძის კომენტარს მოვიყვანთ: — ასეთი რამ აბსურდულია. „დინამოს" პრეზიდენტისგან დავალება მივიღეთ, რომ ყველა ღონე ვიხმაროთ პირველ ჯგუფში გადასასვლელად. მეტსაც გეტყვით, დღეს გარკვეულწილად იმაზეც მიმდინარეობს მუშაობა, თუ რა სახით გამოვა „დინამო 2" პირველ ლიგაში გადასვლის შემთხვევაში საქართველოს ჩემპიონატში.

საამმატჩოდ „დინამო 2" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ემზადება და მეტოქის მსგავსად პრინციპულ შეხვედრას სრული შემადგენლობით ხვდება. ისე, ბევრი რამ სერგო კვარაცხელიას მარიფათზეც იქნება დამოკიდებული — ჯაფა უეჭველად შეხვედრის მთავარ არბიტრსაც დაადგება.

დღეს გორში მეთხუთმეტე პირველჯგუფელის ვინაობა გაირკვევა. „ლარწყალი" თუ „დინამო 2"?

**პაატა ძვანტალიანი**



„აკადემია" — „ლარწყალის" (თეთრ მაისურებში) თბილისურ ბრძოლას მაყურებელი მრავლად ჰყავდა

გაგა ციხელაშვილის ფოტო

# გია ტყებუჩავა იოჰან ბოსკამპის კვალზე

## კოლხეთმა ქობულაძე და კალანდაძე დაითხოვა

ასეა. როგორც ჩანს, ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის საქციელი ქართველთათვის სამაგალითო ხდება. ხომ გახსოვთ, ბოსკამპ — ზაზა ჯანაშიას ურთიერთობა, რომელსაც ამ უკანასკნელის საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთა მოჰყვა.

საქართველოს მეათე ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანს ფოთის „კოლხეთს"



გია ტყებუჩავა

გაგა ციხელაშვილის ფოტო

ხეირიანად ჯერ ვარჯიშიც არ დაუწყია და მისმა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ გუნდიდან უდისციპლინობისთვის ორი წამყვანი ფეხბურთელი — მცველი მიხეილ ქობულაძე და ნახევარმცველი ჯონი კალანდაძე დაითხოვა.

როგორც გია ტყებუჩავამ „სარბიელთან" სატელეფონო საუბრისას განაცხადა, მათი გუნდიდან გაშვების მიზეზი ზედმეტი თავნებობა ყოფილა.

— უდისციპლინობას არავის ვაპატიებ. მათ რეჟიმი დაარღვიეს, დილის ვარჯიშზე დააგვიანეს, საღამოს კი, როდესაც საკონტროლო თამაში გვქონდა ჯონი ჯანელიძის მოყვარულთა ნაკრებთან, საერთოდ არ გამოცხადნენ. ყველაზე მაღლა გუნდის ინტერესები დგას. ასე რომ, დღეიდან ქობულაძე და კალანდაძე ფოთის „კოლხეთში" არ ირიცხებიან — გვითხრა გუშინ გია ტყებუჩავამ.

ერთი სიტყვით ასეა. მწვრთნელმა გარისკა, როცა გუნდიდან წამყვანი ფეხბურთელები დაითხოვა, სამაგიეროდ კი...

მოგეხსენებათ, ფოთის „კოლხეთს" წლეულს ინტერტოტო ელის. გადაწყვეტილია, 19 ივნისს „კოლხეთი" მაკედონიურ „ცემენტარნიცას" სკოპიეში ეთამაშება. საპასუხო მატჩი უეფას დადგენილებით ფოთში 26 ან 27 ივნისს უნდა ჩატარდეს. კონკრეტული თარიღი მაკედონიაში მოლაპარაკების შედეგად გაირკვევა.

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან, ბუნებრივია, ვარჯიში ყველაზე ადრე ფოთელებმა განაახლეს. გუნდმა ხეირიანად დასვენებაც ვერ მოასწრო. 23 მაისს მეათე ჩემპიონატი დასრულდა, „კოლხეთმა" ორი დღე შეისვენა და სამზადისსაც შეუდგა. სრული შემადგენლობით ვარჯიში კი ახლახან დაიწყო, რადგან მისი ორი ფეხბურთელი — ჯონი შალამბერიძე და ლევან ანჯაფარიძე ახლახან ჩატარებულ აფხაზეთის ფეხბურთის აღორძინების ოთხგუნდა ტურნირში ჩემპიონის, ოჩამჩირის „ამირანის" რიგებში გამოდიოდნენ, ხოლო თავდამსხმელი ლევან შავგულიძე მურთაზ ხურცილავამ მიიწვია ახალგაზრდულ ნაკრებში.

გია ტყებუჩავა გუნდს დღეში ორჯერ ავარჯიშებს. დილით შეგირდებს თეორიულ მეცადინეობას უტარებს და ფიზიკურ კონდიციებში წვრთნის, საღამოს კი ბურთს ეჩვევიან — კვადრატი, კარში დარტყმები, ბურთის დაჭერა, დირ-დირი. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ტაქტიკური სქემის დამუშავებას უთმობს. მწვრთნელი ყურადღებას 4-4-2 ტაქტიკურ სქემაზე ამახვილებს, მაგრამ ამავე დროს სხვა მონახაზებსაც აკეთებინებს გუნდს.

მწვრთნელმა ქობულაძე და კალანდაძე გაუშვა გუნდიდან, სამაგიეროდ, შეიმატა კიდეც. აწ უკვე ყოფილი სიონელი ნახევარმცველი ბუბა ტყავაძე და საქართველოს თასის ფინალში წყალტუბოს „სამგურალის" რიგებში მოთამაშე თავდამსხმელი ივანე ჯუღელი „კოლხეთს" ინტერტოტოსთვის დაეხმარებიან. არაა გამორიცხული, ორივემ მეთერთმეტე ჩემპიონატშიც ფოთელთა გუნდში ითამაშოს. ზღვისპირელებს დაუბრუნდა ვეტერანი თავდამსხმელი ნუგზარ მიქაბერიძე.

მოგეხსენებათ, მიქაბერიძემ ფეხბურთს თავი დაანება, მაგრამ, როგორც ჩანს, „ტურას" გულმა ვერ მოუთმინა. სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარულმა თავისი გააკეთა. მიქაბერიძე „კოლხეთს" არამარტო ინტერტოტოზე, მეთერთმეტე ჩემპიონატშიც შეეშველება. სხვა მხრივ არავითარი ცვლილება არ არის. გუნდშია ფოთელთა საუკეთესო თავდამსხმელი, მეათე ეროვნულში 13 ბურთის გამტანი ელდარ გვასალიაც.

ფოთელებმა ორი საკონტროლო მატჩის გამართვა მოასწრეს. ზღვისპირელები ორჯერვე ჯონი ჯანელიძის მოყვარულთა ნაკრებს შეხვდნენ და 2:1, 4:2 დაამარცხეს.

„კოლხეთი" მაკედონიას 17 ივნისს, საღამოს, თბილისი — სკოპიეს ჩარტერული რეისით გაფრინდება, 18-ში „ცემენტარნიცას" სტადიონზე ივარჯიშებენ, 19 ივნისს კი ითამაშებენ. ტყებუჩავამ გვითხრა, საბედნიეროდ, ტრავმირებულები არ გვყავს, განწყობა საბრძოლოა, ყველანაირად ვეცდებით, შარშანდელი „ცრვენა ზვეზდასგან" ნაწნევი ფიასკო აღარ განმეორდესო.

„კოლხეთმა" განაცხადი უეფაში 9 ივნისისთვის უნდა წარადგინოს. მოგეხსენებათ, შეუძლიათ, 25 ფეხბურთელი შეიყვანონ. ტყებუჩავა კი უეფაში 22 კაცის სიას წარადგენს, ფეხბურთელებისთვის მუდმივნომრიანი მაისურები ჯერ ვერ შეურჩევიათ, ამას დღეს აპირებენ.

აქვე კი იმათ ვინაობას გაგაცნობთ, ვინც „კოლხეთის" ღირსებას დაიცავენ ინტერტოტოზე:

*მეკარეები: მამუკა გვასალია, ბიძინა ჩემია*

*მცველები: ვალერი ტორჩინავა, კახაბერ გოროზია, გია გიორგაძე, ლევან ანჯაფარიძე, ჯონი შალამბერიძე, გიორგი ჩადუნელი, ელგუჯა პაპავა, მამუკა ჩაგანავა*

*ნახევარმცველები: ზაველი ლალანიძე, ბესიკ ამაშუკელი, გოჩა ტრაპაიძე, ბუბა ტყავაძე, ზაზა ბურკვაძე, სპარტაკ ბაჩილავა*

*თავდამსხმელები: ელდარ გვასალია, ლევან შავგულიძე, ნუგზარ მიქაბერიძე, ივანე ჯუღელი, მამუკა ბულუხია, გიორგი კრასოვსკი*

„ცემენტარნიცა" — „კოლხეთის" 19 ივნისის მატჩს, უეფას გადაწყვეტილებით, მოლდოველი არბიტრი ვლადიმირ ანტონოვი განსჯის, საპასუხო მატჩის მსაჯობა კი ჩეხ კარელ ვიდლაკს დაევალა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# აჭარამ ბათუმში იმარჯვა

## საქართველოს ახალგაზრდობის თასი თბილისში იბუდებს

დასასრულს უახლოვდება „საქართველოს ახალგაზრდობის თასის" გათამაშება მინი-ფეხბურთში. 5 და 6 ივნისს ტურნირის ნახევარფინალები გაიმართა. დიდ ინტერესს იწვევდა ბათუმური შეხვედრა, რომელშიც რეგიონის „ახალგაზრდობის თასის" მფლობელი საზღვაო აკადემიის გუნდი თბილისის ჩემპიონს, დამოუკიდებელი ინსტიტუტის „აჭარის" კლუბს ეთამაშებოდა. მეტად დაძაბულ ბრძოლაში სტუმრებმა 1:0 იმარჯვეს და ფინალის საგზური მოიპოვეს.

მეორე ფინალისტის ვინაობა კი 6 ივნისს, თბილისში გაირკვა. დედაქალაქის ვიცე-ჩემპიონმა, საბურთალოს საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის გუნდმა, კახეთის რეგიონში გამარჯვებულ თელაველებს 3:1 მოუგო.

მაშ ასე, „საქართველოს ახალგაზრდობის თასი" თბილისში დაიდებს ბინას და სოლიდურ საპრიზო თანხასთან ერთად დ. ი. „აჭარა" — საბურთალოს სმაკ-ის წყვილში გამარჯვებულს ჩაბარდება.

**ხვიჩა სანიძიძე**

## ამხანაგური მატჩი

# ბრაზილია 2:2 ჰოლანდია

5 ივნისი. სალვადორი. 45 000 მაყურებელი

1:0 ამოროზო (27), 2:0 ჟოვანი (45), 2:1 კლუივერტი (64), 2:2 ვან ფოსენი (67)
ბრაზილია: დიდა, ევანილსონი, ანტონიო კარლოსი, ალდაირი, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ჟაირი, ლეონარდო (ჟუნინიო 75), რივალდო, ჟოვანი (დენილსონი 61), ამოროზო (რონი 84)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი (ოიერი 46), ფ. დე ბური, კონტერმანი, ვან ბრონკჰორსტი, რ. დე ბური (ზენდენი 47), ზეედორფი, დავიდსი, კოკუ (ვან ფოსენი 34), ვან ნისტელროი, კლუივერტი

REUTERS სალვადორიდან



ბრაზილიელი ემერსონი და ჰოლანდიელი ბუდევინ ზენდენი ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონატზეც ებრძოდნენ

ბრაზილიის უამრავ ქალაქთაგან ერთ-ერთი — სალვადორი 450-ე წლის იუბილეს ზეიმობდა და შეხვედრას სწორედ ამ მიზეზის გამო უმასპინძლა.

ძალიან კარგი თამაში იყო — დაძაბული და, რაც მთავარია, უხვგოლიანი.

ისევ ბრაზილია იგებდა, ისევ გაათანაბრეს ჰოლანდიელებმა, ისევ ფრედ დასრულდა დაპირისპირება. ვინ მოთვლის მერამდენედ.

თუ გახსოვთ, რას ვამბობდით შაბათის „სარბიელში“ ჰოლანდიელებზე? მაინც შეგახსენებთ — ფრენკ რაიკაარდის ხელში ჰოლანდიის ნაკრები იქცა გუნდად, რომელიც ძნელად ამარცხებს მეტოქეს და ასევე რთულია მისი დაჩოქება. ზემოთქმულის დასამოწმებლად სტატისტიკაც მოვიშველიეთ.

ჩვენი ნათქვამი კიდევ ერთხელ დადასტურდა — მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილია ევროპელ სტუმრებს უგებდა, მაინც ვერ გაიმარჯვა — ნარინჯისფერთა ცბიერმა თავდამსხმელებმა მარცხისგან თავი დაიძვრინეს.

პირველი ტაიმი ბრაზილიამ 2:0 მოიგო. იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, ამოროზოს გოლი რობერტო კარლოსის უძლიერეს საჯარიმო დარტყმას მოჰყვა — „რეალის“ მცველმა დაახლოებით 35 მეტრიდან ისურვა ვან დერ სარის კარის დალაშქვრა, მაგრამ მეკარე ბურთს ადგილზე დახვდა. ეს სულაც არ ნიშნავს, იმას, რომ ვან დერ სარმა ბურთი ხელებში მოიგდო. არა — გაუვარდა და ამოროზომაც ბოძებული შანსით ისარგებლა. ტაიმის ბოლო წუთზე ჟოვანიმ სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში 2:0 უკვე ჰოლანდიამ მოიგო. ჯერ იყო და პატრიკ კლუივერტმა, ისევე როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, კვლავ დაამწუხრა მასპინძლები, მერე კი პეტერ ვან ფოსენმა ულამაზესი გოლი გაიტანა — ვეტერანი თავდამსხმელი, რომელიც სამხრეთამერიკელთა კარს მარჯვენა ფლანგიდან უტევდა, ორ ბრაზილიელ მცველს გასცდა და მოჭრილი დარტყმით დიდასგან მარცხენა კუთხეში ჩაახვია ბურთი.

ბედს რა უთხრან ჰოლანდიელებმა, თორემ რუდ ვან ნისტელროის 81-ე წუთზე რომ გამართლებოდა, ნარინჯისფერნი დაამარცხებდნენ კიდეც მასპინძლებს — სამი მეტოქის გაბრუების შემდეგ, ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირმა დიდაც მოატყუა, მაგრამ ცარიელი კარის წინ მყოფს თავგზა აებნა და ანგარიში ველარ შეცვალა.

2:2 და მეგობრობა განა არის ამაზე უკეთესი რამ?

**ლაშა გოდუაძე**

## კირინის თასი

REUTERS ტოკიოდან



პერუ — იაპონია 0:0. პერუელი რობერტო ოლსენი (№17) ამაოდ უმიზნებს იაპონელთა კარს

სასეირო შედეგი: სამი ქვეყნის ტურნირზე, იაპონიაში რომ იმართება და „კირინის თასი“ ეწოდება, წლეულს ყველა შეხვედრა ფრედ დასრულდა. ტიტული პერუელებს და ბელგიელებს ერთდროულად ერგოთ. რამდენიმე დღის წინ მათი შეხვედრაც ფრედ დასრულდა — 1:1.

ბოლო თამაშში პერუ იაპონიას ხვდებოდა. სამხრეთამერიკელები ბევრს უტევდნენ, მეტადრე მეორე ნახევარში, მაგრამ ვერა და ვერ გაიტანეს გოლი. არც იაპონელებს დაულაშქრავთ მათი კარი.

განსაკუთრებით ცოცხალი შეხვედრის ბოლო თხუთმეტი წუთი გახლდათ, როდესაც პერუელთა ლამის ყოველი შეტევის შემდეგ ბურთი მცირედ ცდებოდა ტურნირის მასპინძელთა კარს, ერთხელ კი ძელსაც მოხვდა. გამოირჩეოდა თავდამსხმელი ფლავიო მაესტრი, რომელმაც ერთი და იმავე მდგომარეობიდან ორჯერ დაარტყა მიზნისკენ, მაგრამ პირველად რამდენიმე სანტიმეტრით ზევით მოუვიდა, მეორედ კი გოლკიპერმა, სეიგო ნარაზაკიმ აუღო.

პერუელთა უპირატესობაზე სტატისტიკაც მეტყველებს. მათ მეტოქის კარის მიმართულებით 14-ჯერ დაარტყეს, ხოლო იაპონელებმა ხუთჯერ.

## იტალია

სერია B
XXXVII ტური

**ბრეშა 0:1 რეჯანა**
0:1 მარჯოტა (30)

**ჩეზენა 2:2 ჯენოა**
0:1 როსინი (24), 1:1 გრაფიედი (47), 2:1 მონტიკელო (53), 2:2 ჩაპი (54)

**კრემონეზე 0:2 რავენა**
0:1 აცორი (13), 0:2 მეიონგი (46)

**ფ. ანდრია 1:4 ტორინო**
0:1 სომეზე (9), 0:2 ლენტინი (45), 1:2 მერსიერი (52), 1:3 ფერანტე (73), 1:4 არტისტიკო (85)

**ლეჩე 0:1 პესკარა**
0:1 სულო (10)

**ლუკეზე 0:0 კოზენცა**
**მონცა 0:0 კიევო**

**რეჯინა 1:1 ტერნანა**
0:1 ბორგობელო (37), 1:1 არტიკო (52)

**ტრევიზო 1:1 ატალანტა**
0:1 სივილია (46), 1:1 მონსკელი (58)

**ვერონა 1:0 ნაპოლი**
1:0 მარასკო (24)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორინო | 37 | 19 | 8 | 10 | 57:34 | 65 |
| ვერონა | 37 | 18 | 11 | 8 | 57:35 | 65 |
| რეჯინა | 37 | 15 | 16 | 6 | 43:31 | 61 |
| ლეჩე | 37 | 17 | 10 | 10 | 45:38 | 61 |
| პესკარა | 37 | 17 | 9 | 11 | 47:40 | 60 |
| ატალანტა | 37 | 13 | 19 | 5 | 42:27 | 58 |
| ბრეშა | 37 | 14 | 14 | 9 | 42:30 | 56 |
| ტრევიზო | 37 | 14 | 14 | 9 | 50:39 | 56 |
| ნაპოლი | 37 | 11 | 15 | 11 | 39:37 | 48 |
| კიევო | 37 | 11 | 15 | 11 | 36:38 | 48 |
| რავენა | 37 | 12 | 12 | 13 | 44:49 | 48 |
| ჯენოა | 37 | 10 | 15 | 12 | 50:50 | 45 |
| ჩეზენა | 37 | 10 | 15 | 12 | 36:39 | 45 |
| მონცა | 37 | 10 | 15 | 12 | 32:36 | 45 |
| ტერნანა | 37 | 9 | 15 | 13 | 37:49 | 42 |
| კოზენცა | 37 | 10 | 10 | 17 | 39:52 | 40 |
| ფ. ანდრია | 37 | 9 | 13 | 15 | 32:47 | 40 |
| რეჯანა | 37 | 8 | 14 | 15 | 37:47 | 38 |
| ლუკეზე | 37 | 8 | 13 | 16 | 33:42 | 37 |
| კრემონეზე | 37 | 3 | 11 | 23 | 29:67 | 20 |

## ესპანეთი

II დივიზიონი
XL ტური

**ეიბარი 2:0 ბარსელონა B**
1:0 გოლო (56), 2:0 აგუირი (92)

**კომპოსტელა 3:3 მალაგა**
0:1 კატანა (31), 0:2 როტეტა (37), 1:2 სალაპასიდისი (45), 1:3 გუედე (54), 2:3 ფაბიანო (67პ), 3:3 პასი (86)

**ლას პალმასი 1:0 ოსასუნა**
1:0 ბელიკა (79)

**ატლეტიკო B 1:1 ლეგანესი**
1:0 სეგუეროსი (39პ), 1:1 ტრუგიეროსი (46)

**რაიო ვალეკანო 1:0 მერიდა**
1:0 სემბრანოსი (61)

**სპორტინგი 2:0 ერკულესი**
1:0 მონჩუ (56), 2:0 ლედიახოვი (91)

**ლეიდა 2:1 ორენსე**
0:1 ესტებარანსი (26), 1:1 ვლადემირი (64), 2:1 როა (86)

**ლოგრონიესი 4:1 რეკრეატივო**
1:0 ნაიმი (32პ), 2:0, 3:0 მანელი (46, 58), 3:1 პუნტასი (73), 4:1 მანელი (87)

**მალიორკა B 3:3 ბადახოსი**
1:0 ტრისტანი (5), 1:1 სოლაუნი (43), 1:2 საბინო (54), 2:2 ტრისტანი (59პ), 3:2 ნოვო (60), 3:3 საბინო (63პ)

**ტოლედო 0:2 ალბასეტე**
0:1 ხესუსი (5), 0:2 დი კარლო (71)

**ნუმანსია 3:2 სევილია**
1:0 ხავი მორენო (21), 2:0 ბარბარინი (22), 2:1 ცარტასი (65პ), 2:2 გლუშევიჩი (70), 3:2 ბარბარინი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 40 | 21 | 13 | 6 | 71:45 | 76 |
| ატლეტიკო B | 40 | 19 | 11 | 10 | 67:50 | 68 |
| ნუმანსია | 40 | 19 | 10 | 11 | 63:40 | 67 |
| რაიო | 40 | 18 | 13 | 9 | 61:48 | 67 |
| ტოლედო | 40 | 18 | 11 | 11 | 53:44 | 65 |
| სევილია | 40 | 18 | 11 | 11 | 60:49 | 65 |
| ლას პალმასი | 40 | 15 | 17 | 8 | 51:37 | 62 |
| ლეიდა | 40 | 15 | 14 | 11 | 49:46 | 59 |
| კომპოსტელა | 40 | 15 | 13 | 12 | 56:48 | 58 |
| სპორტინგი | 40 | 15 | 11 | 14 | 43:41 | 56 |
| რეკრეატივო | 40 | 13 | 16 | 11 | 38:31 | 55 |
| ოსასუნა | 40 | 14 | 12 | 14 | 41:45 | 54 |
| მერიდა | 40 | 13 | 14 | 13 | 44:38 | 53 |
| ბადახოსი | 40 | 12 | 14 | 14 | 33:36 | 50 |
| ალბასეტე | 40 | 12 | 14 | 14 | 36:38 | 50 |
| ლოგრონიესი | 40 | 12 | 11 | 17 | 47:55 | 47 |
| მალიორკა B | 40 | 12 | 10 | 18 | 49:58 | 46 |
| ლეგანესი | 40 | 10 | 16 | 14 | 36:42 | 46 |
| ეიბარი | 40 | 11 | 8 | 21 | 38:56 | 41 |
| ბარსელონა B | 40 | 12 | 5 | 23 | 46:65 | 41 |
| ერკულესი | 40 | 9 | 10 | 21 | 35:63 | 37 |
| ორენსე | 40 | 7 | 6 | 27 | 35:77 | 27 |

*„მალაგა“ პრიმერა დივიზიონშია*

# ვან გაალი კმაყოფილია

ორშაბათს „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებს თავისი ახალი შენაძენი, პორტუგალიელი სიმაო საბროსა წარუდგინა, რომელშიც კატალონიურმა კლუბმა ლისაბონის „სპორტინგს“ 15 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა.

ამ დღეებში გუნდს ფრანგი — ფრედერიკ დეუ და ფინელი — იარი ლიტმანენიც შეუერთდებიან. საბროსასგან განსხვავებით, კატალონიელები მათში არაფერს გადაიხდიან, რადგან, ბოსმანის წესის თანახმად, ისინი თავისუფალი აგენტები არიან.



ლუის ვან გაალი

ლუის ვან გაალი ახალი შენაძენით ძლიერ კმაყოფილია. მან განაცხადა, რომ ჟოვანის გარდა „კამპ ნოუს“ კიდევ ექვსი ფეხბურთელი დატოვებს.

# გერმანელებს ბირჰოფი გამოაკლდებათ



ოლივერ ბირჰოფი

გერმანიის ეროვნული ნაკრები კონფედერაციის თასზე (რომელიც 24 ივლისს დაიწყება და 17 დღეს გასტანს) ოლივერ ბირჰოფის გარეშე იასპარეზებს. გერმანელი თავდამსხმელი „მილანს“ მიჰყვება საერთაშორისო ტურნეში.

გერმანელთა კაპიტანმა მწვრთნელ ერიხ რიბეკს სთხოვა, ნაკრებიდან გაეთავისუფლებინა და თანხმობაც მიიღო.

— ცხადია, ოლივერი გუნდისთვის ბევრს ნიშნავს, მაგრამ მილანურ შეკრებაზე გამგზავრება მას უფრო წაადგება — განაცხადა რიბეკმა.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 08.06 | იუგოსლავია —მალტა | 1,02 | 9,0 | 17,0 |
| | 0:4 | 1,9 | 4,7 | 2,0 |
| 09.06 | უელსი — დანია | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| | შვეიცარია — იტალია | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| | ალბანეთი — სლოვენია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | საბერძნეთი — ლატვია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,6 |
| | მოლდოვა — ფინეთი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | ანდორა — საფრანგეთი | 20,0 | 10,0 | 1,01 |
| | რუსეთი — ისლანდია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | სომხეთი — უკრაინა | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| | ლუქსემბურგი — პოლონეთი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | ბულგარეთი — ინგლისი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | პორტუგალია — ლიხტენშტაინი | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 0:5 | 1,9 | 4,7 | 2,0 |
| | უნგრეთი — სლოვაკეთი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | რუმინეთი — აზერბაიჯანი | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 0:4 | 1,9 | 4,7 | 2,0 |
| | ესტონეთი — ლიტვა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | ფარერები — ბოსნია | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | ჩეხეთი — შოტლანდია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | **ამხანაგური მატჩი** | | | |
| 08.06 | ბრაზილია — ჰოლანდია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | **შვედეთის ჩემპიონატი. IX ტური** | | | |
| 08.06 | აიკ — გიოტებორგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | ფრიოლუნდა — ჰამარბი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 09.06 | ელფსბორგი — იურგარდენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | იორგრიტე — კალმარი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ჰალმსტადი — იორებრო | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | მალმიო — ნორჩიოპინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 10.06 | ტრელებორგი — ჰელსინგბორგი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| | **ესპანეთის თასის ნახევარფინალი. I მატჩები** | | | |
| 08.06 | ატლეტიკო — დეპორტივო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 09.06 | ვალენსია — რეალი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | **ჰოკეი. NHL. ფინალის I მატჩი** | | | |
| 08.06 | დალასი — ბუფალო | 1,7 | 4,4 | 2,4 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი და უკანასკნელი

### შტეფი გრაფი

29 წლის, 175 სმ, 59 კგ
დაიბადა ბრიულში, ცხოვრობს ჰაიდელბერგში (გერმანია)
მემარჯვენე
კარიერის საპრიზოები — 21 542 409 $
ტიტულები — 107



REUTERS პარი ზიდან

**ქალები: ფინალი: შტეფი გრაფი (6, გერმანია) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 4:6, 7:5, 6:2,**
**პირადი შეხვედრები აქამდე: 6:2 გრაფის სასარგებლოდ.**

ეს იყო მატჩი, რომელიც ათწლეულებში თითოჯერ ტარდება.

უფრო სწორად, ეს არ იყო უბრალოდ მატჩი, თორემ რატომ ყვიროდა და ტიროდა, იგინებოდა და გიჟივით ხარობდა 16 ათასი ადამიანი, რომლებიც ამასთან თვისტომს სულაც არ გულშემატკივრობდნენ.

ქალთა ფინალში, როლან გაროსის ცენტრალურ კორტზე დაღვრილ ემოციათა ზღვაზე ობიექტურად საუბარი თითქმის შეუძლებელია, ამიტომ შევეცდებით, ობიექტურად სუბიექტური მაინც ვიყოთ.

## პროლოგი

ალბათ, მართებული იქნება, ფინალის წინაისტორია 1997-ის მარტიდან დავიწყოთ, როდესაც 16 წლის ვუნდერკინდმა მარტინა ჰინგისმა დიდ გერმანელს მსოფლიოს პირველი ჩოგნობა ჩამოართვა და ყველას ამცნო ახალი ერის დადგომის შესახებ.

რამდენიმე თვეში გრაფმა მუხლის უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა (რომელიც, წესით, სეზონის დასაწყისშივე უნდა გაეკეთებინა) და დიდ სპორტს წელზე მეტით ჩამოშორდა. ჰინგისი ქალთა ჩოგბურთის სრულ და უცილობელ ბატონ-პატრონად დარჩა, თუმცა ბოროტი ენები ამტკიცებდნენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შტეფი კორტის ნაცვლად საავადმყოფოების პალატებში იბრძვისო.

თავმოყვარე შვეიცარიელს ზემოთქმული უიშვიათეს წაგებებზე მეტად უწიწკნიდა გულს და როდესაც შტეფიმ დაბრუნება გადაწყვიტა, ენის ქრონიკული დაგრძელების ერთ-ერთი შეტევისას მარტინამ შემდეგი რამ განაცხადა: „გრაფი ზედმეტად ბებერია, მას არაფერი გამოუვა. უნდა შეიგნოთ, რომ ერთი და იგივე ჩოგბურთელები მუდმივად ვერ ითამაშებენ, მისი დრო წასულია“.

შტეფიმ წყენა გადაყლაპა, სამიოდ თვეში საუკეთესოთა ათეულს დაუბრუნდა და ოქტომბერში ჰინგისს კიდევ ერთი გამარჯვებით უპასუხა, 6:0 მესამე ხელში.

თუმცა მწარე გაკვეთილებიდან ჭკუას ყველა როდი სწავლობს. „ფინალში სწორედ გრაფთან შეხვედრა მაძლევს ხელს. ამჟამად შესანიშნავ ფორმაში ვარ, მას კი მსგავსი მნიშვნელობის მატჩები დიდი ხანია, არ უთამაშია და ზედმეტად ინერვიულებს“ — ჰინგისმა რამდენიმე დღის წინ მორიგი ვაი-პროგნოზი წამოისროლა.

შტეფიმ წყენა გადაყლაპა.

## შურისძიება

მატჩი დაიწყო და ზედმეტად განერვიულებული გრაფი კი არა, ჰინგისი ჩანდა. მარტინას ჩვეული ღიმილის მორგებაც კი უჭირდა და საკუთარი თამაშით უკმაყოფილებას ხმამაღლაც გამოთქვამდა, არადა, ასაღელვებელი თითქოს არაფერი ჰქონდა — 2:0, მერე 5:2.

სწორედ პირველი სეტის შუაში გამოჩნდა, რომ 18 წლის შვეიცარიელს ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა: უწყინარ სიტუაციაში მან მთელი ძალით კორტზე დახეთქებით ჩოგანი გატეხა. მარტინა მთავარი მსაჯის მოტყუებას შეეცადა და თამაში ასევე განაგრძო, თუმცა მალე ჩოგნის გამოცვლაც მოუხდა და მისი გატეხვისთვის სავალდებულო შენიშვნის მიღებაც.

ისედაც გრაფის მოქომაგე ტრიბუნებიდან ამას პირველი მძაფრი სტვენა მოჰყვა.

მეორედ ჰინგისს ნერვებმა მაშინ უმტყუნა, როდესაც მეორე სეტის მესამე გეიმში ერთი შეხედვით ხაზზე დავარდნილი ბურთი მთავარმა მსაჯმა, ენ ლესერმა „აუტად“ ჩაუთვალა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ არაბუნებრივად მიღიმარი შვეიცარიელი მეტოქის მხარეს გადავიდა და ბურთის დავარდნის ადგილი მოხაზა.

„ძალიან გამიკვირდა, ასე რომ მოიქცა. პირველი სეტი მოგებული ჰქონდა, მეორეშიც წინ იყო 2:0 და გეიმის პირველივე გათამაშებაზე ასე განაწყენდა. მაშინ მივხვდი, რომ ძალიან დაძაბული იყო და მოგება მართლაც უსაშველოდ სურდა“ — აღნიშნა მოგვიანებით გრაფმა.

ბადესთან დაბრუნებულმა ჰინგისმა მსაჯს უფროსობის გამოძახება სთხოვა, თუმცა სწრაფად გამოცხადებულმა ზედამხედველმა გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, თანაც ლესერს შეახსენა, ულირსი საქციელისთვის შვეიცარიელს შენიშვნაც და ავტომატურად ქულის მოკლება მოუხდებოდაო.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ერთი შენიშვნაც და ჰინგისს მატჩიდან მოკვეთდნენ, მეორე დღეს წყვილების ფინალს არ ათამაშებდნენ, მთელ მოგებულ საპრიზოებს ჩამოართმევდნენ და ალბათ უიმბლდონზეც არ დაანებებდნენ ასპარეზობას.

შვეიცარიელის დასჯას უკვე გაგიჟების პირას მყოფი ტრიბუნები მოწონების ტაშით და სკანდირებით შეხვდა — „შტეფი!“ „შტეფი!“

აქედან მოყოლებული თამაში საბოლოოდ გათანაბრდა. შტეფიმ მკვლელი ფორჰენდი აამუშავა და ზედიზედ სამი გეიმიც მოიგო, თუმცა 4:3-ზე მანვე ბრეიკ-პოინტი გააცუდა, მერე ულამაზესი გათამაშება ბადეში გახვეული იოლი ასმეშით დაასრულა და საკუთარი მოწოდება დაკარგა.

4:5 — ნუთუ სამართალი პურს ვერ ჭამს და თინეიჯერი დაუსჯელი დარჩება?

„იმ მომენტში ვფიქრობდი, ეს ბოლო შესვენებაა, ახლა კორტზე დავბრუნდები და სწრაფად წავაგებ-მეთქი. მაგრამ როდესაც წამოვდექი, საკუთარ თავს შევუძახე, ნუ დანებდები, გარისკე და იქნებ გაგიმართლოს-მეთქი. მეც გავრისკე“.

პირველი გათამაშება ჰინგისმა მოიგო, მაგრამ მერე ზედიზედ სამი ქულა, მათ შორის ერთი სწორედ იმ „სუსტი“ ბექჰენდით გრაფმა მიითვალა, მარტინამ შემოკლებული ბადეში გააჩვია და ანგარიშიც გათანაბრდა — 5:5.

ჰინგისი კი უკვე წაგებული იყო — გაოცებული და იმედგაცრუებული სახე, თავზე წაშენილი ხელები, ბადეზე დარტყმული ჩოგანი და ისევ ის უაზრო ღიმილი.

მესამე სეტში 0:1-ზე შვეიცარიელმა შესვენება ითხოვა და კორტიდან გაუჩინარდა — მორიგი თაღლითობა. მას გრაფიც უკან მიჰყვა, თუმცა მალევე დაბრუნდა და ხალხმაც ისეთი დასჭექა, თითქოს დიდი ფიურერის თანამემამულეს კი არა, ერის მხსნელს ხვდებოდა.

სამოსელ და ვარცხნილობა გამოცვლილ ჰინგისს გამაყრუებელი სტვენა დაახვედრეს და მანაც საწადელი აუსრულა ხალხს — დიდი წინააღმდეგობის გარეშე სწრაფად ჩამორჩა — 2:5.

ტრიბუნათა მრისხანება მარტინამ ერთხელაც იწვნია, როდესაც მატჩ-პოინტზე ჩვეულებრივი მოწოდების ნაცვლად დახრილი ხელით ისროლა ბურთი. მორიგი ვერაგობით შვეიცარიელმა მხოლოდ დროებით გადაირჩინა თავი — ორი გათამაშებაც და შეხვედრა გერმანელის გამარჯვებით დასრულდა.

## ეპილოგი

მატჩის შემდეგ კი იყო ცრემლები. სიხარულს — შტეფი გრაფის სახეზე, მარცხის და ბრაზის — ჰინგისისაზე. შვეიცარიელი კორტიდან იმის სირბილით გავარდა და დაჯილდოების ცერემონიალზეც კი არ აპირებდა გამოცხადებას, აქვითინებული დედას, მელანის რომ არ დაებრუნებინა უკან.

„გთხოვ, ნუ ტირი, მარტინა. შენ შესანიშნავი ჩოგბურთელი ხარ და დარწმუნებული ვარ, ამ ტურნირის ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოიგებ — აშკარად დაუმსახურებელი ტკბილი სიტყვები მაინც გამონახა მეტოქისთვის გრაფმა, მერე კი მაყურებლებსაც მიემადლიერა — მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მითამაშია, მაგრამ ასეთი მხარდაჭერა არასოდეს მიგრძვნია. თქვენ დღეს ძალიან დამეხმარეთ“.



REUTERS პარი ზიდან

მარტინა ჰინგისი დედამ, მელანიმ დაამშვიდა

როგორც აღმოჩნდა, პარიზში მითვლილი როლან გაროსის მეექვსე ტიტული და 662 ათასი დოლარი უკანასკნელი იქნება გრაფის უსაშველოდ წარმატებულ კარიერაში: „ეს ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე გიჟური მატჩი იყო, მასში იმდენი რამ მოხდა. მწორედ ამიტომ აქ აღარასოდეს ვითამაშებ. ეს მოგონება, განსაკუთრებული მოგონება, ასევე უნდა დარჩეს, ხელუხლებლად“.

და რა ისწავლა ჰინგისმა ჩოგბურთის და ცხოვრების ამ დიდი გაკვეთილისგან? არაფერი. შტეფი თურმე, უბრალოდ, კარგი მორბენალი ყოფილა, რომელიც არასოდეს ნებდება და ბოლომდე იბრძვის, თურმე იგი გრაფზე უკეთესად თამაშობს, რადგან აქამდე ბოლო შეხვედრაში დაამარცხა (თუმცა ცხრიდან 7 პირადი შეხვედრა წააგო), თურმე ხალხი იმიტომ არ უჭერს მხარს, რომ ზედმეტად იოლად გამოსდის ყველაფერი და სელეშივით ჭყვიტინი და შტეფივით მოძრაობა არ სჭირდება...

სანამ მარტინა ჭკუას ისწავლიდეს, ყველა დროის უდიდეს ჩოგბურთელ შტეფი გრაფს მარგარეტ კორტის რეკორდამდე ორი დიდი სლემის ტურნირის მოგებაღა უკლია.

**კაცები. ნახევარფინალი: ანდრე აგასი (13, აშშ) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 7:6 (8:6), 3:6, 6:4.**
**ფინალი: აგასი — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 1:6, 2:6, 6:4, 6:3, 6:4.**

ასეთი გამორჩეული როლან გაროსი არ შეიძლებოდა, ცუდი მატჩით დასრულებულიყო და, საბედნიეროდ, იმედები არც კაცების ფინალმა გაუცრუა ვინმეს.

29 წლის შტეფი გრაფს კვირას მხარი ასევე 29 წლის, ბოლო ხანებში ასევე ჩამოწერილმა ანდრე აგასიმ დაუმშვენა, რომელიც გამარჯვებით ყველა დროის საუკეთესოთა სიაში ჩაეწერა. 30 წელია, კარიერაში დიდი სლემის ოთხივე ტურნირის მოგება არავის მოუხერხებია — ივან ლენდლს, ბიორნ ბორგს, ჯიმი კანორსს, ჯონ მაკინროის, ბორის ბეკერს, სტეფან ედბერგს, პეტ სამპრასს კოლექციის შევსებაში რომელიმე „მეიჯორი“ უშლიდა ხელს.

აგასიმ კი, რომელიც მხრის ტრავმის გამო ტურნირის დაწყებამდე ერთი დღით ადრე შინ გამგზავრებას აპირებდა, ჯერ კიდევ მეორე წრეში ყველასათვის უცნობ ფრანგ არნო კლემანთან ორი ქულა უკლდა მარცხს, მეოთხედფინალში შარშანდელ ჩემპიონ კარლოს მოიასთანაც უიმედოდ აგებდა, 1992 წლის უიმბლდონის, 1994 წლის აშშ-ის ღია პირველობის და 1995 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ტიტულებს ყველაზე რთული და ყველაზე სასურველი გამარჯვება მოუმატა.

არადა, მატჩის დაწყებიდან ერთი საათის თავზე ხოტორა ამერიკელი უიმედოდ აგებდა.

„სიმართლე გითხრათ, შოკში ვიყავი, ძალიან შეწუხებული ტურნირის, ქომაგების გამო, რომ ასე ცალკარა მატჩი გამოდგა. იმ მომენტისთვის უბრალოდ ვცდილობდი, ცოტა მეტ ხანს გამეძლო და ვიმედოვნებდი, ანდრეი განერვიულდებოდა და რაიმეს გამოვასწორებდი, თუმცა გამოსავალი არ ჩანდა“.

თუ მატჩის ბედი ერთმა გათამაშებამ შეიძლება გადაწყვიტოს, სწორედ ასეთი რამ მესამე სეტის ბოლოს მოხდა. 4:4-ზე მედვედევს ბრეიკ-პოინტი ჰქონდა: ერთი ქულაც და საოცნებო ტრიუმფამდე საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაღა დარჩება.

მაგრამ აგასიმ გარისკა, ბადესთან გავარდა და მიწაზე დაუშვებელ ბურთს ორჯერ ზუსტად მიუჩინა ადგილი.

ჩოგბურთის უდიდეს შოუმენს მეტი არც არაფერი სჭირდებოდა — აქედან მოყოლებული ბადისა და აუტის ნაცვლად ფორჰენდ-ბექჰენდები ზუსტად კორტის კიდეებში ეშვებოდა, მედვედევი კი არაადამიანურად სწრაფ ტემპს და მეტოქის არაჩვეულებრივ მიღებებს ეისების გარდა ვერაფერს უპირისპირებდა.



REUTERS პარი ზიდან

ანდრე აგასი კი დამარცხებულმა ანდრეი მედვედევმა

აგასის გამარჯვების დაჯერება გაუჭირდა — სახეზე ხელები აიფარა, კარგა ხნის მანძილზე ცრემლებს ვერ იკავებდა და დაჯილდოების ცერემონიალზეც კი, სადაც მთავარი ჯილდო თითქოს სიმბოლურად როდ ლეივერმა, ყველა დიდი სლემის ტურნირის უკანასკნელად მომგებმა, გადასცა, დალაგებულ აზრს ვერ მოუყარა თავი.

„თავადაც არ ვიცი, როგორ მოვახერხე ეს ყველაფერი. წარმოუდგენელი მიღწევაა, ყველაზე დიდი, რისი გაკეთებაც შემეძლო. ამ მომენტს არასოდეს დავივიწყებ. როდესაც 1997-ში საქმეები უკან წამოვიდა, ჩემი აღარავის სწამდა, თუმცა ვიცოდი, რომ თუ ცდას არ დავაკლებდი, და ნამდვილად მოვინდომებდი, წარმატებები კიდევ მელოდა.“

### ანდრე აგასი

29 წლის, 180 სმ, 79 კგ
დაიბადა და ცხოვრობს ლას ვეგასში (აშშ)
მემარჯვენე
კარიერის საპრიზოები — 16 829 438 $
ტიტულები — 41



REUTERS პარი ზიდან

აგასის დარად ოთხივე დიდი სლემის ტურნირი აქამდე მხოლოდ ოთხს — დონ ბაჯს, ფრედ პერის, როდ ლეივერსა და როი ემერსონს მოუგიათ, თუმცა ამერიკელი პირველია, რომელიმაც ოთხივე სხვადასხვა საფარზე მოიგო: ადრე საფრანგეთის ღია პირველობის გარდა ყველა სხვა ბალახზე ტარდებოდა.

და ერთი ფაქტიც: იმ ორი წლის მანძილზე, რაც ანდრეს ბრუკ შილდსი ჰყავდა შინ, მეოთხედფინალშიც კი არსად გასულა „მეიჯორებზე“. აპრილში ტკბილი წყვილი ერთმანეთს გაშორდა და შედეგს თავადაც ხედავთ.

გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევა? არა მგონია.

**ქალთა წყვილების ფინალი: ვინუს უილიამსი და სერენა უილიამსი (აშშ) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) და მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) 6:3, 6:7 (2:7), 8:6.**

**კაცთა წყვილების ფინალი: მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (ინდოეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) და ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:2, 7:5.**

*დაბოლოს, ყველაზე სასიამოვნო ცნობა — წლევანდელ როლან გაროსს ქართველი ჩემპიონიც ჰყავს.*

*იუნიორ ვაჟთა წყვილების ფინალში ჩვენებურმა ირაკლი ლაბაძემ ხორვატ ლოვრო ზოვკოსთან ერთად დანიელ კრისტიან პლესსა და ბელგიელ ოლივიე როშუს აჯობა 6:1, 7:6 (7:3)*

*გულითადად ვულოცავთ 17 წლის ქართველს ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ, მომავალში პროფესიულ სარბიელზეც არაერთხელ გავეხარებინოთ.*

*ერთეულებში გულდასაწყვეტ მარცხს რაც შეეხება, ირაკლის მჯობნი გილერმო კორია ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არ გამოდგა: არგენტინელმა ფინალში თანამემამულე დეივიდ ნალბანდიანს მოუგო 6:4, 6:3, თანაც ამჯერად გაცილებით ნაკლებად გაუჭირდა, ვიდრე ჩვენებურთან ორტაიბრეიკიან დაძაბულ ბრძოლაში.*

**ავთანდილ სვანიძე**

**6 ივნისი, თბილისი, ვერის ბაღი — 36 ტური**

**თსუ 110:78 შევარდენი**

I ტაიმი 59:36

თსუ: ვეფხვაძე (2), წოწელია (12), მარკოიშვილი (2), ქარაბაკი (18), ხელაშვილი (4); არსიაშვილი (9), მგალობლიშვილი (25), ქარჩავა (13), დიმიტრიადი (6), თაბუაშვილი (19), მშვილდაძე, დოლიძე

შევარდენი: კაზანჯიანი (12), გაგნიძე (13), მესხი (22), მჭავარიანი, ლვინეფაძე (5); ჩალი (3), ხობელია (11), ტაბატაძე (2), მოისწრაფიშვილი (10)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**6 ივნისი, თბილისი, ვერის ბაღი — 36 ტური**

**კოლხა 83:97 სდასუ**

I ტაიმი 47:45

კოლხა: ქლენტი, ბერიშვილი (14), კვაჭაძე (15), კეიდია (16), უგრეხელიძე (27); არველაძე (6), თოდუა (2), ვაშაკიძე (3)

სდასუ: ორჯონიკიძე (9), გიგაური (42), აბულაძე (28), ხარაძე (4), მაჭარაძე (10); ქურდიანი (4), არჩვაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**6 ივნისი, თბილისი, ვერის ბაღი — 36 ტური**

**ასკ 71:89 მაკაბი**

I ტაიმი 37:45

ასკ: ნოზაძე (4), აკოლაშვილი (21), ჭყონია (16), მუსერიძე (12), ნუცუბიძე (11); ალავიძე (7)

მაკაბი: დ. ბერიშვილი (18), ი. ბერიშვილი (13), ანდღულაძე (8), ლასარეიშვილი (15), ფერიაშვილი (25); ნაცვლიშვილი (8), რიჟინაშვილი (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: აკაკი მეგრელაძე

**6 ივნისი, თბილისი, ვერის ბაღი — 36 ტური**

**დინამო 86:91 სტუ**

I ტაიმი 41:35

დინამო: ნიკოლაძე (23), ხეცურიანი (12), შანიძე (11), აბულაძე (21), ნინიაშვილი (10); ახვლედიანი (7), სანიკიძე (2)

სტუ: გაგნიძე (8), მოისწრაფიშვილი, ნაცვლიშვილი (20), მინაშვილი (8), ცქიტიშვილი (11); სუხიშვილი (11), ტულუში (5), ოთიურიძე (4), ლოსაბერიძე (15), მიქაძე (9)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**6 ივნისი, თბილისი, ვერის ბაღი — 36 ტური**

**ვითა 75:72 აზოტი**

I ტაიმი 30:39

ვითა: უსტიაშვილი (22), აბრამიძე (7), კოკოლიშვილი (4), ორმოცაძე (16), კორძაძე (2); ბაქრაძე (2), დავითულიანი (10), ტურაშვილი (4), ჩუბინიძე (8)

აზოტი: ქლენტი (6), გაბისონია, გოგობერიშვილი (16), ბაბიაშვილი (15), ჯაფარიძე (24); ჩაჩუა (3), ბერუაშვილი (6), გოგოლაძე (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

# ... დამთავრდა! წინ პლეი ოფია!

ჩემპიონატის ბოლო, 36-ე ტურის მატჩებიდან ყველაზე დიდ ყურადღებას ლიდერების — ექვსგზის ჩემპიონ „ვითასა“ და რუსთავის „აზოტის“ პაექრობა იქცევდა. ინტერესი მას შემდეგ უფრო გაძლიერდა, როცა დილის შეხვედრაში თსუ-მ „შევარდენი“ დაამარცხა, პლეი ოფის საგზური გაინაღდა და ამით „დინამო“ — სტუ-ს დაპირისპირება ფორმალობად აქცია. თუმცა, ამაზე ქვემოთ...

პირველ წრეში „ვითას“ რამდენიმე შეხვედრაში წაგება ჩაეთვალა, მათ შორის „აზოტთანაც“, ამიტომ ეს გუნდები წლეულს მესამედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. სამი მატჩის ჯამში კი 2:1 რუსთაველები იგებდნენ.

ამ შეხვედრას ინტრიგას ისიც მატებდა, რომ „ვითას“ წინა წრეში 27 ქულიანი შერცხვენისთვის რევანშის აღება სურდა, ხოლო თუ „აზოტი“ მოიგებდა, ურთიერთშეხვედრებში 3:1 დაწინაურდებოდა და ხსენებული გუნდების ფინალში გასვლის შემთხვევაში „აზოტი“ იქ ფორით 1:0 შეაღწევდა, რითაც მეტოქეს მეტად რთული პრობლემის წინაშე დააყენებდა.

წინდაწინ გეტყვით, რომ ეს მეტად საინტერესო მატჩი ჩემპიონების გამარჯვებით დასრულდა. ამით „ვითამ“ ურთიერთშეხვედრებში ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ ფინალამდე ხომ ორივე გუნდს სტუდენტური ბარიერი აქვს დასაძლევი...

აღსანიშნავია ერთი ფაქტი. ბოლო ტურის ხუთი მატჩი მხოლოდ სამმა არბიტრმა იმსაჯა. ბერეკაშვილსა და აბაშიძეს სამ-სამი, ხოლო მაჩალაძეს ოთხი თამაშის განსჯამ მოუწიათ. დამეთანხმებით, ასეთი რამ არსად არ ხდება და ყოვლად დაუშვებელია, ანდო ასეთი დაბალი კვალიფიკაციის მსაჯებს ხუთივე მატჩი, თანაც ლიდერების უმნიშვნელოვანესი პაექრობა.

მავანი იტყვის, უკეთესი არავინ გვყავს და რა ვქნათო. ეს მართლაც დასაფიქრებელია, მაგრამ უეჭველია, უმოკლეს ხანში, უფრო ზუსტად კი საპლეიოფოდ, თუ რაიმე სასიკეთოდ არ შეიცვალა და ზომები არ მიიღეს, შარშანდელი „ვითა“ — „დინამო“-ს ნახევარფინალში მომხდარი ინციდენტი მონაგონი გაგვიხდება.

კვირას, ტურის ცენტრალურ მატჩში, მართალია, ინციდენტი არ მომხდარა, მაგრამ მეტოქეებმა მსაჯთან კამათისათვის 7 ტექნიკური ჯარიმა დაიმსახურეს. თუმცა დავა არც ამის მერე შეჩერებულა, მსაჯის ყოველი ჩასტვენა მოთამაშეთა აღშფოთებას იწვევდა და უმეტესად სამართლიანადაც. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ მატჩის ბედი არბიტრების მიკერძოებამ გადაწყვიტა. აი, სანახაობრივი მხარე კი მართლაც დააკნინა.

პირველ ნახევარში ძირითადად აზოტელები იყვნენ წინ, თუმცა „ვითა“ რამდენჯერმე დაეწია მეტოქეს და ტაიმის შუაგულში კარგა ხნის უთამაშებელი, ახლა კი ტრავმამოშუშებული ალეკო დავითულიანის წყალობით დაწინაურდა კიდეც. მერე კი ჯაფარიძე-გოგობერიშვილის დუეტი ათამაშდა კარგად და „აზოტმა“ მოწინააღმდეგე კვლავ ჩამოიცილა. რუსთაველებმა ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა და შესვენებაზე 9-ქულიანი მარაგით გავიდნენ.

მეორე ტაიმი გაცილებით დაძაბული გამოდგა. „ვითამ“ კოლექტიური თამაშის წყალობით მოახერხა მატჩში გარდატეხის შეტანა, 9-ქულიანი სხვაობა გააბათილა და წინაც გავიდა. შეხვედრის მიწურულს მოთამაშეები საგრძნობლად გაუხეშდნენ. ამიტომ იყო, რომ ხუთი ჯარიმით მოედანს რიგრიგობით ტოვებდნენ როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის კალათბურთელები. ვითელთაგან დავითულიანი, კოკოლიშვილი, ჩუბინიძე და აბრამიძე ნაადრევად გამოეთიშნენ თამაშს, მაგრამ როცა ამავე მიზეზით „აზოტს“ ბერუაშვილი და გოგობერიშვილი გამოაკლდნენ, სასწორი ჩემპიონებისკენ გადაიხარა.

მამუკა ტურაშვილმა გადამწყვეტ დროს მეტად საჭირო სამიანი მოათავსა და „ვითა“ დააწინაურა. „აზოტს“ მატჩის მიწურულს ორჯერ მიეცა ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა, მაგრამ ჯერ ზაზა გაბისონიას, ბოლოს კი არჩილ ქლენტის ნასროლი მიზანს აცდა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს პლეი ოფში გასასვლელად, აკი გითხარით, „შევარდენის“ დამარცხება სჭირდებოდა. სტუდენტებმა მიზანს ძალიან იოლად მიაღწიეს.

თსუ-ს მოგებით „დინამოს“ ოთხეულში მოხვედრის ყველანაირი იმედი გადაეწურა. მიუხედავად ამისა, ლიდერების — ხოშტარიას, მაისურაძისა და კილაძის გარეშე მოთამაშე დინამოელებმა სტუ-ს ტოლი არაფერში დაუდეს. მატჩი მართლაც რომ დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

**ზურაბ გონაშვილი**



ვითა — აზოტი. რუსთაველი მიხეილ ბერუაშვილის ხუთი პერსონალური მოედნიდან გასვლა თბილისელებმა კარგად გამოიყენეს



დინამო — სტუ. სტუდენტი ზვიად მიქაძე დინამოელთა ფარქვეშ შედის

## პლეი ოფი
## ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

**აზოტი — თსუ 1:0**

**ვითა — სტუ 1:0**

14 ივნისი. ვერის ბაღი

| | |
|---|---|
| აზოტი — თსუ | 16.00 |
| ვითა — სტუ | 18.00 |

15 ივნისი. ვერის ბაღი

| | |
|---|---|
| სტუ — ვითა | 16.00 |
| თსუ — აზოტი | 18.00 |

მერვე საკალათბურთო ჩემპიონატის ბოლო, 36-ე ტურმა ის მეოთხე გუნდიც გამოავლინა, რომელიც „აზოტთან“, „ვითასთან“ და სტუ-სთან ერთად გააგრძელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ეს კლუბი არის თსუ, რაც იმას ნიშნავს, რომ შარშანდელის მსგავსად, წლევანდელ გათამაშებაშიც სულ ცოტა ერთი სტუდენტური გუნდი მაინც დაიმშვენებს ხელს ამა თუ იმ სინჯის მედლით (შარშან თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის გუნდმა, იმავე სდასუ-მ, ბრინჯაოს მედლები მოიპოვა).

„სარბიელის“ წინა, შაბათის ნომერში უკვე გაუწყეთ, რომ პლეი ოფი 14 ივნისს დაიწყება. ახლა, რაკი ფინალურ ოთხეულში მონაწილე გუნდებიც საბოლოოდ გაირკვა, ისლა დაგვრჩენია, იქ დაწყვილებულთა ვინაობაც გამცნოთ.

ჩემპიონატის დებულების თანახმად, ნახევარფინალებში პირველი-მეოთხე და მეორე-მესამე ადგილოსნები შეეჭიდებიან ერთმანეთს.

როგორც იცით, „აზოტი“ და „ვითა“ პლეი ოფში 1:0 ფორით შევიდნენ, რადგან ჩემპიონატის მანძილზე მეტოქეებთან ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა აქვთ 3:1.

იმ შემთხვევაში, თუ ორი სათამაშო დღე ფინალისტებს ვერ გამოავლენს, მაშინ ნახევარფინალური სერია ყოველ მომდევნო დღეს გააგრძელდება.

**გიორგი ბიკაშვილი**

**საქართველოს ჩემპიონატი — 36 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 36 | 33 | 3 | 3252:2701 | 69 |
| ვითა(-1) | 36 | 29 | 7 | 2721:2372 | 64 |
| სტუ | 36 | 26 | 10 | 3031:2854 | 62 |
| თსუ | 36 | 23 | 13 | 3125:2855 | 59 |
| დინამო | 36 | 22 | 14 | 2866:2737 | 58 |
| სდასუ | 36 | 19 | 17 | 2773:2782 | 55 |
| მაკაბი | 36 | 12 | 24 | 2663:2844 | 48 |
| კოლხა | 36 | 7 | 29 | 2732:3169 | 43 |
| შევარდენი | 36 | 5 | 31 | 2588:3117 | 41 |
| ასკ | 36 | 4 | 32 | 2030:2350 | 40 |

*დებულების მიხედვით აზოტი, ვითა, სტუ და თსუ გავიდნენ პლეი ოფში.*

*შევარდენი და ასკ გაისად პირველ ლიგაში ითამაშებენ.*

*მაკაბი და კოლხა, პირველი ლიგის ორ უძლიერესთან, ბათუმთან და სამედიცინო აკადემიასთან ერთად, გაითამაშებენ უმაღლეს ლიგაში დასარჩენ ორ საგზურს.*

1999 NBA PLAYOFFS

კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# სან ანტონიოს პირველი ფინალი

### აღმოსავლეთი
### ინდიანა — ნიუ იორკი 1:2

5 ივნისი

**ნიუ იორკი 92:91 ინდიანა**

ნიუ იორკი: ვორდი, ჰიუსტონი (15), ჯონსონი (26 ქულა, 8 მოხსნა), ტომასი (2 ქულა, 8 მოხსნა), დადლი (5); კემბი (21 ქულა, 11 მოხსნა), სპრიუელი (14), ჩაილდსი (9 ქულა, 10 პასი), ვილიამსი

ინდიანა: ჯექსონი (13 ქულა, 6 მოხსნა, 9 პასი), მილერი (12), მულინი (7), დ. დევისი (2), სმიტი (25); მაკკი (9), ა. დევისი (7 ქულა, 8 მოხსნა), პერკინსი (7), ბესტი (7), როუზი (2)

მატჩის დამთავრებამდე სულ რაღაც 5,7 წამიღა რჩებოდა, როცა ინდიანა 91:88 იგებდა, ნიუ იორკის თავდამსხმელმა ლარი ჯონსონმა ალაღბედზე ესროლა სამქულიანი და ამ დროს მასზე დაჯარიმდნენ კიდეც. ის სამქულიანი ჩავარდა და ჯონსონმა საჯარიმოც გამოიყენა. ანგარიში უკვე 92:91-ია ნიუ იორკის სასარგებლოდ და ამჯერად უკვე ინდიანა ფიქრობს მატჩის გადარჩენაზე, მაგრამ დარჩენილი დრო არ ჰყოფნის და სერიის მეორე თამაშს აგებს. ლარი ჯონსონი, რაღა თქმა უნდა, მატჩის გმირად შერაცხეს და არამარტო იმიტომ, რომ ბოლო წამებზე იყოჩაღა. იგი იმ დღეს მასპინძელთაგან მართლაც საუკეთესო იყო. თან თავის საპლეიოფო კარიერაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. გასაოცარი გახლდათ მისი სამქულიანის სროლაც, რადგან ჯონსონი უფრო ფარქვეშ ჯაჯგურისასაა თავის სტიქიაში, ვიდრე უკანა ხაზზე და მის მიერ ჩაგდებული სამქულიანები სულ თითებზე ჩამოითვლება. სწორედ ამიტომაც მისგან სამქულიანი უდიდეს გმირობად მონათლეს. ასოციაციის მიმომხილველები ამ სროლას და მასთან ერთად საჯარიმოს, საერთოდ მთლიანად ამ მომენტს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიის თვალსაჩინო მოვლენად თვლიან. ლარი ჯონსონი ძალიან ემოციური კაცია, იქნებ ყველაზე ემოციურიც ლიგაში მოთამაშე ოთხასიოდე კალათბურთელს შორის. სამქულიანის ჩაგდება ჩვეული ღრიალით და მუშტების გაურკვეველი მიმართულებით ქნევით აღნიშნა, კინაღამ გადაირია და თანაგუნდელებს და მწვრთნელ ჯეფ ვან განდის გულში შიში შეეპარათ, ვაითუ, ამ შეშლილმა საჯარიმო ააცილოსო, მაგრამ ჯონსონი არ აღელდა: „სამქულიანი რომ ჩავაგდე, კინაღამ გავგიჟდი. ამ დროს მოირბინა კრისმა (კრის ჩაილდსი, ნიუ იორკის სათადარიგო გამთამაშებელი) და მითხრა — ეი, შენ, დაწყნარდი, მიდი და ჩააგდე (საჯარიმო) და მეც ჩავაგდე“ — ამბობდა ჯონსონი მატჩის შემდეგ და სიხარულს ვერ მალავდა.

თამაშამდე ყველა თვლიდა, რომ „ნიუ იორკ ნიქსს“ მოგების მცირე შანსები ჰქონდა და ფავორიტადაც ინდიანა ითვლებოდა. თამაშამდე გამოკითხული თვით მასპინძელი გუნდის გულშემატკივრებიც თავისი ჯილის გამარჯვებას ეჭვის თვალით უყურებდნენ და ყოველი ათიდან ექვსი ფიქრობდა, ინდიანა მოიგებსო. ამგვარი დასკვნის გაკეთებას ხელს ისიც უწყობდა, რომ სერიის მეორე თამაშში სერიოზულად დაშავდა „ნიქსის“ ბებერი ცენტრი და გუნდის ლიდერი პატრიკ იუინგი. ექიმებმა მას აქილევსის მყესის სერიოზული დაზიანება დაუდგინეს და სულ მცირე, ორი კვირით აუკრძალეს თამაში. ამგვარად, ბებერი პატრიკი ამ და სერიის დანარჩენ თამაშებში გუნდს მხოლოდ რაიმე რჩევით თუ დაეხმარება.

ინდიანაც თავის გამარჯვებაში დარწმუნებული ესტუმრა ქვეყნის უდიდეს ქალაქს, იუინგის არყოფნა მშვენივრადაც გამოიყენა თავის სასარგებლოდ. ინდიანას 224-სანტიმეტრიანმა ცენტრმა რიკ სმიტმა პირწმინდად დაჩაგრა ნიუ იორკის სათადარიგო, ამ თამაშში კი ძირითად ხუთეულში გამწესებული ცენტრი კრის დადლი და ცოტა ხანში ისეთ დღეში ჩააგდო, მთელი მეორე ნახევარი სათადარიგოთა სკამზე გაატარებინა. ნიუ იორკს კიდევ ჰყავს ერთი მაღალი კაცი — მარკუს კემბი, რომელიც, ჩვეულებრივ თავდამსხმელის პოზიციაზე ირჯება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ცენტრობაც ძალუძს. ჰოდა, კემბი სმიტსს დაუდგა და მშვენივრადაც ეთამაშა. ლარი ჯონსონის კარგ თამაშთან ერთად სწორედ ამ ორი კაცის პაექრობა მატებდა ელფერს შეხვედრას, რომელიც საკმაოდ თანაბარ და დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. გუნდებმა მატჩის უდიდესი დროის განმავლობაში გვარიანად აწვალეს ერთმანეთი და ბოლო მეოთხედში თანაბარი ანგარიშით — 69:69 შეაბიჯეს. ნათელი იყო, მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ ელოდათ და ასეც მოხდა. დასკვნით თორმეტწუთეულში აღმოსავლეთის ორი უძლიერესი გუნდი თავგანწირვით შეება ერთმანეთს. თავდაპირველად ინდიანა მძლავრობდა და სტუმრები სოლიდური სხვაობით დაწინაურდნენ, მაგრამ აქ, რაღა თქმა უნდა, ლარი ჯონსონმა იყოჩაღა. მან ბოლო მეოთხედში 11 ქულა დააგროვა და მატჩის ბოლო 3,21 წუთი 11:2 მოაგებინა თავის გუნდს. საფინალო სასტვენამდე ათიოდე წამით ადრე სტუმარმა მარკ ჯექსონმა ორი საჯარიმო ჩააგდო და ანგარიში 91:88 გახადა. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და ინდიანაც ზეიმისთვის გაემზადა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 5,7 წამით ადრე ლარი ჯონსონის დრომაც მოატანა.





REUTERS ფოტოქრონიკიდან

პორტლენდი — სან ანტონიო. მასპინძელთათვის შეუძლებელი აღმოჩნდა სან ანტონიოს ლიდერების ტიმ დანკანის (№21) და დევიდ რობინსონის (მარჯვენა ფოტოზე მარჯვნივ) შეჩერება

### დასავლეთი
### სან ანტონიო — პორტლენდი 4:0

4 ივნისი

**პორტლენდი 63:85 სან ანტონიო**

პორტლენდი: სტუდემაიერი (2), რაიდერი (10), ვოლესი (22), გრანტი (5 ქულა, 13 მოხსნა), საბონისი (6); ჯექსონი (5), ენტონი (5), ოგმონი (4), ვილიამსი (2), ონილი (2), კატო

სან ანტონიო: ჯონსონი (14 ქულა, 8 პასი), ელი (6), ელიოტი (10), დანკანი (5), რობინსონი (15 ქულა, 9 მოხსნა, 7 დაფარება, 5 პასი); ჯექსონი (19), კერი (5), კერსი (4), პერდიუ (3), როუზი (2), კინგი (2), დანიელსი

6 ივნისი

**პორტლენდი 80:94 სან ანტონიო**

პორტლენდი: სტუდემაიერი (21), რაიდერი (12), ვოლესი (17), გრანტი (10), საბონისი (10); ვილიამსი (5), ენტონი (4), კატო (1), ჯექსონი, ოგმონი, ონილი

სან ანტონიო: ჯონსონი (15), ელი (2), ელიოტი (16), დანკანი (18 ქულა, 8 მოხსნა), რობინსონი (20 ქულა, 10 მოხსნა); ჯექსონი (11), კერი (6), კერსი (2), როუზი (2), პერდიუ, კინგი, დანიელსი (2)

როგორც იქნა, აუხდა „სან ანტონიო სფურზს“ დიდი ხნის ოცნება, კლუბის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე პირველად იმარჯვა კონფერენციის ფინალში და ახლა ასოციაციის ფინალში გასვლით ხარობს. ის, რაც 1979, 82, და 83 წლებში ლეგენდარული ბომბარდირის, ჯორჯ გერვინის და 1995 წელს დევიდ რობინსონის გუნდებმა ვერ მოახერხეს, ადვილად შეძლო ყმაწვილკაცი ტიმ დანკანის „სფურზმა“, თუმცა ამაში დანკანის წილი სულაც არ აღემატება რობინსონისას.

სან ანტონიომ სავსებით დაიმსახურა ფინალში მოხვედრა და მასზე ჩემპიონობაც ალალია, მაგრამ ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა. რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა „სფურზმა“ პლეი ოფსაც გრიგალივით გადაუქროლა, იქ ჩატარებულ 12 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა პირველ წრეში მინესოტასთან, გუნდთან, რომელმაც დასავლეთის უძლიერესს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გაუწია ფინალისკენ მიმავალ გზაზე. მინესოტას ძლევის შემდეგ სან ანტონიომ ჯერ ლეიკერსი დაიფრინა სერიის 4:0 მოგებით და მას წინა ორი ფინალის მონაწილე იუტას გამგდები პორტლენდიც მიაყოლა, თანაც არც მის გაბითურებას დასჭირდა მეტი თამაში.

პორტლენდმა, ფაქტობრივად, სერიის მეორე შეხვედრის დასრულებისთანავე შეწყვიტა წინააღმდეგობა. სან ანტონიო, გაგულისებული იმით, რომ ბლეიზერსთან შინ ორ გამარჯვებას დიდი ჯან-ღონე შეალია და ბოლო წუთებზელა მოახერხა მეტოქის გატეხვა, ტორნადოსავით შეიჭრა პორტლენდში და იქაურ გუნდს საშინლად გადაუარ-გადმოუარა ორივე თამაშში, განსაკუთრებით პირველში (სერიის მესამე შეხვედრაში) გაასწორა მიწასთან.

პორტლენდი ისტორიულად შერცხვა. 4 მაისს გამართულ შეხვედრაში მასპინძლებმა მხოლოდ 63 ქულას მოუყარეს თავი. მესამე მეოთხედში მათ ანგარიშზე სულ რაღაც რვა ქულაა, ამაზე ნაკლები კი ლიგის პლეი ოფების ხანგრძლივ ისტორიას მხოლოდ ერთხელ ახსოვს.

არადა, ის მატჩი მასპინძელმა გუნდმა ურიგოდ არ დაიწყო. საწყის მეოთხედს ოთხი ქულითაც იგებდა, მაგრამ დასრულდა თუ არა ეს მეოთხედი, პორტლენდურ ცაზე შავი ღრუბელიც ჩამოწვა. ტაიმი უკვე სან ანტონიომ მოიგო ორი ქულით, მასპინძელთათვის კოშმარული მესამე თორმეტწუთეულის შემეგ სხვაობა 18 ქულამდე გაიზარდა და უკანასკნელ პერიოდის მიწურულს 22-ს უწია. პორტლენდის დამრიგებელმა მაიკლ დანლივიმ, რომელიც სეზონის მწვრთნელის ტიტულს დაეუფლა ამ ათიოდე დღის წინ, ესოდენ საშინელი მარცხის მიზეზად სროლათა ჩაგდების ძალიან დაბალი პროცენტი დაასახელა. ვაცილებდით ისეთ ბურთებს, ასიდან ასი რომ უნდა ჩაგვეგდოო. მართალიც იყო. მასპინძლებს, ალბათ, სიცოცხლეში არ უსვრიათ ასე ცუდად: 77 ნასროლიდან მხოლოდ 19 ჩავარდა სან ანტონიოს კარგად დაცულ კალთაში. ეს კი მხოლოდ 26 პროცენტია, ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი უარესი მაჩვენებელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტუმრებმა მესამე შეხვედრა, ფაქტობრივად, ლიდერის — ტიმ დანკანის გარეშე ჩაატარეს, რომელსაც თავი სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ წარმოედგინა, მაგრამ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად უძვირფასესის ტიტული იუტელ კარლ მელოუნს ერგო და სან ანტონიოელი მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა. ამან ყმაწვილი ტიმი ისე გაანერვიულა, პირველ ნახევარში ხუთი პერსონალური მიიღო და თითქმის მთელი მეორე ტაიმი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს, თუ როგორ არბევდა მისი გუნდი მეტოქეს. სან ანტონიოს იმ დღეს არც სჭირდებოდა დანკანის ახალგაზრული ჟინი და სულისკვეთება დაცვაში: რობინსონი საკუთარ ფარს როგორც კრუხი წიწილებს ისე გადაეფოფრა და მეტოქე გუნდის მოთამაშეებს ერთბაშად შვიდჯერ დაუფარა, ამასთან „ადმირალმა“ დაბალ თანაგუნდელებთან — ჯონსონთან და ჯექსონთან ერთად დიდი შრომა გასწია და დაბეჩავებულ პორტლენდს მცირე შანსიც წაართვა.

სან ანტონიოს გამარჯვებით სერიის მეოთხე მატჩი ფორმალობად იქცა, რადგან 0:3-ით ჩამორჩენის შემდეგ ჯერ არც ერთ გუნდს მოუგია სერია. მატჩი დამთავრდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. მესამე მეოთხედში სტუმრები 12 ქულით იყვნენ წინ. პორტლენდმა ბოლოსდა სცადა გაფართხალება და სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა — 64:63. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ სან ანტონიომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ძლევამოსილება და პლეი ოფის ბოლო დასავლური მატჩი 14 ქულით მოიგო. მატჩის შემდეგ „სფურზის“ თავკაცმა გრეგ პოპოვიჩმა მილოცვები მიიღო. მან პირველმა გაიყვანა სან ანტონიო ლიგის ფინალში და ახლა მისი გუნდი აღმოსავლელ მეტოქეს ელის.

**ირაკლი ფირაშვილი**

### ქალთა ევროპის ჩემპიონატი (პოლონეთი)

მეოთხედფინალი

4 ივნისი: საფრანგეთი — იუგოსლავია 64:58, სლოვაკეთი — ლიტვა 69:63, რუსეთი — ჩეხეთი 61:51, პოლონეთი — ხორვატია 72:51

ნახევარფინალი

5 ივნისი: საფრანგეთი — სლოვაკეთი 66:39, პოლონეთი — რუსეთი 66:61

ფინალი. 6 ივნისი

**პოლონეთი 59:56 საფრანგეთი**

პოლონეთი: ბინკოვსკა (3), ჩუპრისი, ჩეპიეცი (6), მ.დიდეკი (19), შვიხტენბერგი (2), შჩიმანსკა (12), ტრჟეშნიევსკა (11), ვლაცლაკი (6)

საფრანგეთი: ანტიბი (4), ბუტე, ფიალკოვსკი (14), გომი, ლოუსონი, ლე დრინი (2), ლესდემა, მელენი (12), მუსარი (2), სორე (20), სუვრი (2), ვივენო

*საბოლოო კლასიფიკაცია:*

*1 პოლონეთი, 2 საფრანგეთი, 3 რუსეთი, 4 სლოვაკეთი, 5 ჩეხეთი, 6 ლიტვა, 7 იუგოსლავია, 8 ხორვატია, 9 ლატვია, 10 ბოსნია, 11 იტალია, 12 გერმანია*



REUTERS ფოტოქრონიკიდან

ფიბა-ს ვიცე-პრეზიდენტი ივონ მენინი (მარჯვნივ) პოლონეთის ნაკრების კაპიტანს კრისტინა შჩიმანსკას ევროპის ჩემპიონის სარგო თასით აჯილდოებს

საქართველოს ჩემპიონატი. მეშვიდე ტური

# აიას ტყუილად გაუხარია

თბილისი. 5 ივნისი

**ასკ — დათვები**

**34:64 (20:26)**

ასკ: ლიქოკელი, ქავთარაძე (ჭელიძე), შენგელია, მათიაშვილი (კაკაბაძე), უჩავა (გ. მაისურაძე), სვანიძე (ზ. მაისურაძე), მინაშვილი, გაფრინდაშვილი, აბუსერიძე, აბრამიშვილი (ანთაძე), კაპანაძე, საკანდელიძე, კოდუა, პავლიაშვილი (იაშვილი), კიკნაძე
4ლ — აბუსერიძე, აბრამიშვილი, გაფრინდაშვილი, ტექ; 4 გ — აბუსერიძე (2), კიკნაძე (2)
დათვები: აშვეთია, გურეშიძე, ფირცხალავა (ნინიძე), აბაშიძე (ღლონტი), რეხვიაშვილი (თედორაძე), სვანიძე, ფხაკაძე, აბდალაძე, ჯანაშია, ნ. ძაგნიძე (გაბელაია), ხონელიძე (სვინტრაძე), ძოწენიძე, ე. ძაგნიძე, ჩუბინიძე (დავლაძე), მაჩიტიძე
10 ლ — რეხვიაშვილი, ჩუბინიძე (2), ფირცხალავა (2), ფხაკაძე, ე. ძაგნიძე, ხონელიძე, სვინტრაძე, ძოწენიძე; 7 გ — ნ. ძაგნიძე (5), მაჩიტიძე (2),
მსაჯი: დ. კილასონია
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

ტურის ცენტრალური შეხვედრა არ გამოდგა ისეთი დაძაბული, როგორსაც ველოდით. ბათუმელებმა ადვილად სძლიეს მეტოქეს. ეს განსაკუთრებით შეხვედრის მეორე ნახევარზე ითქმის, როცა სტუმრებმა ტაიმი 38:14 მოიგეს. მანამდე კი...

„დათვებმა“ ანგარიში უკვე მე-3 წუთზე გახსნეს. თანაგუნდელთა შეტევა რეხვიაშვილმა დააგვირგვინა ლელოთი. ამის შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ და ხუთ წუთში აბუსერიძემ ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა შეამცირა. არმიელები პირველ ნახევარში უკეთ გამოიყურებოდნენ. ტაიმის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე სტუმრებმა ანგარიშში ოცქულიან სხვაობას მიაღწიეს — 26:6. ალბათ, ბათუმელებმა იფიქრეს, თავი ქუდში გვაქვსო და ოდნავ მოეშვნენ, რითაც უმალ ისარგებლეს მასპინძლებმა და დარჩენილ დროში ორი ლელოც გაუტანეს მეტოქეს. აბუსერიძემაც არ დაალალატა თანაგუნდელები და ორივე ზუსტად გარდასახა.

მეორე ტაიმი თითქოს უფრო საინტერესო და დაძაბული უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირიქით კი მოხდა. სტუმრები მოედანზე იმას აკეთებდნენ, რაც მოესურვებოდათ, არმიელები წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ, თუმცა კი საწყის ოთხ წუთში ორჯერ შეუტიეს, მაგრამ უშედეგოდ. ამის მერე კი დაიწყო... 20 წუთში ანგარიში 57:20 გახდა. ჯერ იყო და ფირცხალავამ ისარგებლა გაფრინდაშვილის შეცდომით, მალევე ათ წუთში მეორედ აიღო მასპინძელთა ჩათვლის მოედანი. მას მხარი ძოწენიძემ და ფხაკაძემ აუბეს და 57:20. შეხვედრის დასრულებამდე მეტოქეებმა კიდევ სამი ლელო გაიტანეს, აქედან ორი არმიელებმა, ისევ და ისევ სტუმართა მოდუნების ხარჯზე და ერთიც „დათვებმა“.

მაშ ასე, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ცხრა გუნდიდან წაუგებელი მხოლოდ ორიღაა — „დათვები“ და „ლოკომოტივი 1“. მომავალ ტურში სწორედ მათ უწევთ ერთმანეთში დაპირისპირება და ქომაგებიც უშელავათო ბრძოლის მომსწრე შეიქნებიან, ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატები ხომ ბათუმელები და რკინიგზელები არიან.

**ბაატა თოთაძე**

თბილისი. 5 ივნისი

**რუსთავი — უნივერსიტეტი**

**17:55 (3:17)**

რუსთავი: მელაძე, კვიჟინაძე, სამხარაძე, გიგაური, ნარსია, მღებრიშვილი, ნადირაშვილი, ტიკარაძე, თეთრიკაშვილი, ლობჟანიძე, მჭედლიშვილი, ღირსიაშვილი, მეფარიშვილი, ნაირაშვილი, მინდორაშვილი
2ლ — ნარსია, ნაირაშვილი, 2გ — ღირსიაშვილი, 1ს — თეთრიკაშვილი
უნივერსიტეტი — კობიაშვილი, ჯანუკაშვილი, წიკლაური (მაჭავარიანი), რაცანაძე, ბიძინაშვილი (მჟავანაძე), მჭედლიშვილი, თავაძე (ჯაში), ჭუმბურიძე (ლაბაძე), კიზირია, სვანიძე (ბარამიძე), ელოშვილი, ჯავრიშვილი, ახობაძე, ქირიკაშვილი, ბოლაშვილი
9ლ — კიზირია, სვანიძე, ელოშვილი, ახობაძე, ჯავრიშვილი, ჯაში (2), ლაბაძე, ქირიკაშვილი, 5გ — ჯავრიშვილი (5)
მსაჯი — დ. კილასონია
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია. სტუდენტთა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ ძირითადის რამდენიმე მობურთალი დაასვენა და თავის გამოჩენის საშუალება სათადარიგოებს მისცა. მათ 3 ლელოს რუსთაველებმა მხოლოდ ერთი ჯარიმით უპასუხეს.

შესვენებაზე მოდებაძემ თავისიანები დამოძღვრა, თამაშში წამყვანი მოთამაშეებიც ჩართო და მეორე ტაიმში მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი ბატონობდა. ლაბაძე ჩვეულად, იოლად იგებდა აუტებს, მშვენივრად თამაშობდა შერკინება. გამოირჩეოდა გარემარბი ჯაშიც, რომელიც მატჩს ხელმოტეხილი, თაბაშირდადებული ატარებდა და ტრავმის მიუხედავად, ორი ლელოს გატანა შეძლო. რუსთაველთა გუნდი ხანდახან თუ გამოჩნდებოდა მეტოქის ნახევარზე, რაც, ცხადია, გამარჯვებისთვის საკმარისი არ გახლდათ. მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე უნივერსიტეტი კაცნაკლული დარჩა. ჯაშს ტრავმა გაუმიზეზდა და რადგან სტუდენტებს ყველა შეცვლის უფლება გამოყენებული ჰქონდათ, თანაც ანგარიში სოლიდური იყო, მათ თანაგუნდელს დასვენების საშუალება მისცეს. აქ კი იძალეს რუსთაველებმა და ორი ლელოსა და ღირსიაშვილის ზუსტი გარდასახვის საშუალებით სხვაობა შეამცირეს.

**ბაჩო სვანიძე**

ქუთაისი. 6 ივნისი

**აია — ლოკომოტივი-2**

**21:12 (16:5)**

ისე მოხდა, რომ „აიას“ მხოლოდ მეშვიდე ტურისთვის მოუწია საკუთარ მოედანზე თამაში, წესით, გუშინწინ ქუთაისში ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაც კი უნდა შემდგარიყო, მაგრამ...

გათამაშების მაჩანჩალათა შეხვედრა „დინამოზე“ 16 საათისთვის იყო დანიშნული. თამაშიც დათქმულ დროზე დაიწყო. სტუმარ-მასპინძლებმა უშელავათო, ამასთან პატიოსან ბრძოლაში გალიეს საათნახევარზე ოდნავ ნაკლები. „აია“ უკეთესად მომზადებულიყო და ალალადაც აჯობა მეტოქეს. აჯობა, მაგრამ რად გინდა? ქუთაისელთა ეს გამარჯვება სატურნირო ცხრილში ალბათ ვერ შევა, რადგან თამაშს არაოფიციალურის სტატუსი ჰქონდა. ეს როგორო იკითხავთ. ნუ გაგიკვირდებათ. გასამარჯვებლად შემართულ „მწვანე“ აიელთა გეგმები მსაჯის გამოუცხადებლობამ არია. რაგბის კავშირს ამ თამაშზე ნოდარ რობიტაშვილი ჰყავდა მივლინებული, მან კი უცნობი მიზეზით ქუთაისამდე ვერ ჩამოაღწია. აიელები მიდგნენ, მოდგნენ, რამდენიმე ადგილობრივ, მოქმედ თუ ყოფილ მსაჯს მიმართეს დასახმარებლად. ამაოდ... მერე გუნდების ხელმძღვანელებმა მოილაპარაკეს — თამაშის საცქერლად მოსულ სამასამდე ქომაგს მაინც ვცეთ პატივი და ამხანაგურად გავეჯიბროთო. შეხვედრას „აიას“ თავკაცი ბათლომე ხამაშურიძე სჯიდა. იმ სამასამდე ქომაგიდან თითო ოროლამ თუ იცოდა, რომ „აიას“ გამარჯვება არაფერში ჩაეთვლებოდა. ეგ კი არა, თავად მოთამაშეთა ნაწილმაც მხოლოდ საფინალო სასტვენის შემდეგ შეიტყო, რომ ტყუილად ულვრია ოფლი.

რასაცა დასთეს, იმას მოიმკიო. ჩვენ რომ ჩემპიონატი გვაქვს?! არაფერი უნდა გვიკვირდეს. გარწმუნებთ, გუშინწინდელი „ლაფსუსი“ რეაგირების გარეშე დარჩება. არც იმის იმედი ჰქონდეთ უმცროს რკინიგზელებს, რომ რაგბის კავშირი მათ ქუთაისში სტუმრობის ხარჯს აუნაზღაურებს.

**იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან**

**სადღეისო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 6 | 6 | 0 | 0 | 293:54 | 42:6 | 6 | 18 |
| ლოკომოტივი 1 | 6 | 6 | 0 | 0 | 259:76 | 42:6 | 5 | 17 |
| ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | 216:38 | 33:4 | 3 | 9 |
| ასკ | 4 | 2 | 1 | 1 | 126:58 | 14:13 | 3 | 8 |
| უნივერსიტეტი | 6 | 2 | 0 | 4 | 116:151 | 16:23 | 2 | 6 |
| ზორდა | 4 | 1 | 1 | 2 | 43:74 | 6:8 | 1 | 4 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 1 | 0 | 5 | 72:275 | 10:45 | 2 | 4 |
| რუსთავი | 6 | 1 | 0 | 5 | 62:299 | 6:45 | 0 | 2 |
| აია | 4 | 0 | 0 | 4 | 36:132 | 2:21 | 0 | 0 |

*ცხრილში არ არის შეტანილი აია — ლოკომოტივი 2-ის მატჩის შედეგი*



# უმარკოო პელოტონში ივანე გაუფროსდა



REUTERS

ივან გოტიმ მარკო პანტანის მოკვეთით ისარგებლა, 82-ე „ჯირო“ მოიგო და ჩემპიონის თასითაც დაიმშვენა ხელი

ოთხმოცდამეორე „ჯირო დიტალია“ იტალიელი ივან გოტის გამარჯვებით დასრულდა. თუმცა იტალიელთა და საერთოდ ველოსპორტის გულშემატკივართა უმრავლესობისთვის ტურნირის ნამდვილი ტრიუმფატორი მილანიდან შორს, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მზის აბაზანებს იღებდა და ჰემატოკრიტის ოდნავ აწეული დონის ნორმამდე ჩამოყვანას ცდილობდა. დიახ, წლევანდელი „ჯიროს“ მთავარი ფავორიტი და ფაქტობრივი გამარჯვებული, „მეკობრედ“ მონათლული მარკო პანტანი, იმის ნაცვლად, რომ მილანის ფინალური ეტაპის შემდეგ ზედიზედ მეორედ ტურნირის გამარჯვებულად გამოეცხადებინათ, პლაჟზე ნებივრობდა, უფრო სწორად, იძულებით ანებივრეს. თუმცა ჯობს, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

პარასკევს გამართულ მე-20 ეტაპზე პანტანიმ დაამტკიცა, რომ აღმართში მოწყობილ ფინიშებზე მას ბადალი არ ჰყავს. თავისი მეოთხე წარმატების მოსაპოვებლად მან მხოლოდ ბოლო, 5,5 კილომეტრზე ააჩქარა. ეს მცირედი მანძილი კი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა დიდი უპირატესობის მისაღწევად. „გუშინდელზე შედარებით გაცილებით უკეთ ვგრძნობდი თავს. ძალიან იოლად მოვიგე“ — თქვა „მეკობრემ“, ვისაც თავისი პირველი ჯიროული მოგებაც 5 წლის წინ სწორედ 4 ივნისს ეზეიმა.

ეჰ, ხანდახან ენაზე კბილების დაჭერაც საჭიროა. რას ქვია, ასეთი მძიმე ეტაპი იოლად მოიგოო და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა იგი მეორე დილითვე ცხრა სხვა კაცთან ერთად დოპინგზე შეამოწმა და... „ილ პირატს“ 15 დღით აუკრძალეს ველოსიპედზე ამხედრება. არა, მის სისხლში აკრძალული პრეპარატების კვალისთვის არ მიუგნიათ. უბრალოდ, წითელი ბურთულების შემცველობა დაშვებულზე 2 პროცენტით მაღალი იყო. ამას კი, თუ იტალიელი რბოლას განაგრძობდა, ექიმთა აზრით, შეიძლებოდა სავალალო შედეგები მოეტანა პანტანის ჯანმრთელობისთვის. ასე რომ, 21-ე ეტაპი მარკოს გარეშე დაიწყო, საერთო ჩათვლაში ლიდერი კი პაოლო სავოლდელი გახდა.

სავოლდელიმ ღვთით ბოძებული ვარდისფერი მაისურას ჩაცმაზე კაცურად განაცხადა უარი და პელოტონიც უუფროსოდ გაუდგა „ჯიროს“ უძნელესი ეტაპის გზას. ფინიშამდე 60 კმ-ით ადრე ივან გოტიმ შეტევა წამოიწყო, მისი გაყოლა მხოლოდ სიმონიმ და ერასმა შეძლეს. დანარჩენი ველომრბოლებისთვის კი ზღვის დონიდან 2621 მეტრ სიმაღლეზე მდებარე მწვერვალი „პასო დელ გაფია“ ძალიან ძნელი დასაძლევი გამოდგა და მათაც საკმაოდ ბევრი წააგეს მოწინავე სამეულთან. ეტაპი ერასმა მოიგო, საერთო ჩათვლაში კი გოტი დაწინაურდა, თანაც იმდენით, რომ ბოლო 22-ე ეტაპს ფაქტობრივად აზრი დაეკარგა. მილანში კვირას გამართული ფინალური სპრინტი ფაბრიციო გიდის გამარჯვებით დასრულდა, „ჯიროს“ მოგებული კი მისი თანაგუნდელი ივან გოტი გახდა, ვისაც იგივე წარმატებისთვის 1997 წელსაც მიუღწევია, თუმცა მაშინ ნაღდ ბრძოლაში და არა ვიღაცის დასჯის ხარჯზე.

„ორი წლის წინ მთელი ტურნირი ჩემი უპირატესობით წარიმართა. წლეულს უძლიერესი პანტანი იყო. ამას პირველივე მთიან ეტაპზე მივხვდი. მე მეორე ადგილისთვის ვიბრძოდი და ხელში პირველობა შემრჩა. დღეს რამდენიმე მაყურებელმა მისტვინა და ამან ნერვები ამიშალა, რადგან ასეთ მოპყრობას ნამდვილად არ ვიმსახურებ,. პანტანის საქმე მე არ ჩამიწყვია, მე არ გამიგზავნია იგი დასასვენებლად“ — თქვა პოდიუმზე მდგარმა „ჯიროს“ გამარჯვებულმა ივან გოტიმ.

**გაგი გურული**



REUTERS

მარკო პანტანი პოლიციელთა და ჟურნალისტთა ალყაში

**ოცდამეერთე ეტაპი**

მადონა დი კამპილიო — აპრიკა

(190 კმ)

1. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) 5 სთ, 57 წთ, 07 წმ
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ბალანი)
3. ივან გოტი (იტალია, პოლტი)
4. პაოლო სავოლდელი (იტალია, საეკო)
5. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე)

**ოცდამეორე ეტაპი**

ბოარიო ტერმე — მილანი

(170 კმ)

1. ფაბრიციო გიდი (იტალია, პოლტი) 4 სთ, 29 წთ, 43 წმ
2. დარიო პიერი (იტალია, ნავიგარე)
3. მასიმო სტრასერი (იტალია, მობილვეტა)
4. სერგეი სმეტანინი (რუსეთი, ვიტალიციო)
5. სამუელ ჩიავინა (იტალია, რიზო სკოტი)

**საერთო ჩათვლა**

1. ივან გოტი 99 სთ, 55 წთ, 56 წმ
2. პაოლო სავოლდელი +3 წთ, 35 წმ
3. ჯილბერტო სიმონი +3 წთ, 36 წმ
4. ლორან ჟალაბერი +5 წთ, 16 წმ
5. რობერტო ერასი +7 წთ, 47 წმ
6. ნიკლას აქსელსონი (შვედეთი, ნავიგარე) +9 წთ, 38 წმ
7. სერგეი გონჩარი (უკრაინა, ვინი კალდიროლა) +12 წთ, 07 წმ
8. დანიელე დე პაოლი (იტალია, ამიკა) +14 წთ, 20 წმ
9. დანიელ კლავერო (ესპანეთი, ვიტალიციო) +15 წთ, 53 წმ
10. რობერტო სგამბელური (იტალია, კანტინა ტოლო) +17 წთ, 31 წმ



# როსი, მხოლოდ ვალენტინო როსი

მოტოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატის მეხუთე რაუნდი, რომელიც ფლორენციასთან ახლოს, მუგელოს ავტოდრომზე გაიმართა, ორი იტალიელისა და ერთი ესპანელის გამარჯვებით დასრულდა.

საფრანგეთის დიდი პრიზის მერე ასოცდახუთიანებში, ორას ორმოცდაათსა და ხუთასიანებშიც ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ერთობ საეჭვო ჩანდა იტალიელ მოტომრბოლთა შანსები მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი იყო იტალიელთა კერპის 20 წლის ვალენტინო როსის მარცხი საფრანგეთში. რბოლა დასასრულს უახლოვდებოდა. ოპერატორი აღარც კი აჩვენებდნენ ლიდერს, იმდენად უეჭველი იყო მისი გამარჯვება, და აი, ფინიშამდე ერთი კილომეტრით ადრე როსის ძრავა ჩაჩუმდა. ჩაჩუმდნენ ტიფოზებიც და თავიანთი იმედები ორი კვირით გადადეს.

იტალიის დიდი პრიზის გათამაშებისას სასწაული აღარ გამეორდა. როსიმ იოლად მოიგო რბოლა, მისი მთავარი მეტოქე იაპონელი ტორუ უკავა მესამე იყო, თუმცა 101 ქულით ჯერჯერობით ლიდერობს ჩემპიონატს.

იტალიელმა რობერტო ლოკატელიმ გაიმარჯვა 125 კუბ/სმ მანქანებით ასპარეზობისას.

ყველაზე პრესტიჟულ ხუთასიანებში, მას შემდეგ, რაც ავარიის შემდეგ ჩემპიონატს გამოეთიშა (იმედია, დროებით) მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ავსტრალიელი მიკ დუენი, როგორც ჩანს, ესპანელ ალექს კრივილეს სერიოზული მეტოქე არ ეყოლება. მუგელოს წრეზე ოსტატურად მოგებული რბოლის შემდეგ იგი უახლოეს მეტოქეს უკვე 41 ქულით უსწრებს.

მორიგი მე-6 რაუნდი — კატალონიის დიდი პრიზი — გაიმართება 20 ივნისს ესპანეთში.

**ირაკლი ბერიაშვილი**

საერთო ჩათვლაში ლიდერობენ: 125 კუბ/სმ — მასაო აზუმა (იაპონია, ჰონდა) 97; 250 კუბ/სმ — ტორუ უკავა (იაპონია, ჰონდა) 10; 500 კუბ/სმ — ალექს კრივილე (ესპანეთი, ჰონდა) 105



ესპანეთი — ტუნისი. როცა ალბერტო ენტერერიოსი (ბურთით) ტუნისელთა კარს უტევდა, ამ დროს ესპანეთის მეფის სიძე ინაკი ურდანგარინი ტრიბუნიდან ამხნევებდა თანაგუნდელებს

# ბრაზილია: ხელბურთია თუ ფეხბურთი?!

ეგვიპტეში მიმდინარე ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი სიურპრიზების გარეშე კი მიმდინარეობს, მაგრამ აქა-იქ პატარა მოულოდნელობა მაინც გამოერევა ხოლმე. პარასკევს გამართული მესამე ტურის შეხვედრებიდან ასეთად კუბა-მაკედონიის მატჩი შეიძლება ჩაითვალოს. ყოფილი იუგოსლავიელები ევროპული ლეგიონის ყველაზე სუსტი გუნდი კია, მაგრამ ძველი კონტინენტის წარმომადგენლები დანარჩენებზე ერთი თავით მაღლა დგანან და ამიტომ ამ მატჩშიც ფავორიტად მაკედონია მიიჩნეოდა. რა თქმა უნდა, არც კუბელები ჩამოუწერია ვინმეს ნაადრევად, მაგრამ ფილედ კასტროს ქვეშევრდომების 32:18-ით გამარჯვებას კი ნაღდად არავინ ელოდა.

ამ ტურის სხვა მატჩში კი, ლამის ჩემპიონატის მთავარი სენსაციაც გამოცხვა. ნიგერიელები პირველი ტაიმის შემდეგ ნორვეგიას 9:8-ს უგებდნენ. თუმცა მეორე ნახევარში ვიკინგებმა საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი, თანაც აფრიკელებიც დაიღალნენ და ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა. საბოლოოდ 27:13 ნორვეგიის სასარგებლოდ.

ტურნირის მასპინძლებმა ჩემპიონობის პრეტენდენტისთვის (ყოველ შემთხვევაში ეგვიპტელებს ასე სწამთ) შეუფერებლად სუსტად ითამაშეს B ჯგუფის ყველაზე წყალწაღებულ გუნდთან. საუდის არაბეთის მხოლოდ სამბურთიანი უპირატესობით დამარცხება (19:16) ნამდვილად არაა საკვეხარი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ხორვატიამ, მსოფლიოს წინა პირველობის მეოთხეადგილოსან უნგრეთს მედგარი ბრძოლა გაუმართა და გამარჯვება მატჩის ბოლოსლა გამოჰგლიჯა ხელიდან — 20:19.

მეოთხე ტური ერთდღიანი შესვენების შემდეგ კვირას გაიმართა და ლათინოამერიკელებისთვის მეტად იღბლიანი გამოდგა. მათი სამი წარმომადგენლიდან არც ერთს არ განუცდია მარცხის სიმწარე. და თუ არგენტინას მაროკოსთან გახერხებული ფრე მერვედფინალში გასვლაში ვერაფრით მიეხმარა, სამაგიეროდ, კუბამ და ბრაზილიამ შემდეგ ეტაპზე თამაში ერთი ტურით ადრე დაიბევეს. კარიბელების საუდეთთან მოგება ნამდვილად არ ყოფილა მოულოდნელი, სამაგიეროდ, ისევ შერცხვა მაკედონია. ამჯერად მან ბრაზილიასთან წააგო 27:30 და ერთადერთი ევროპული გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც მერვედფინალს ვერ უწია. ბრაზილიისთვის, რომელსაც მანამ საუდეთთან პირველი გამარჯვება ეზეიმა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ სტადიაზე, ეს მოგებაც პირველი აღმოჩნდა... ევროპული ნაკრების წინააღმდეგ.

ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ბოლო, მეხუთე ტური გუშინ გვიან გაიმართა. 13 მერვედფინალისტი უკვე ცნობილი იყო. დარჩენილი სამი ვაკანტური საგზურის მფლობელის ვინაობა უნდა გარკვეულიყო. თან ჯგუფებში ადგილებიც განაწილებულიყო. რა თქმა უნდა, არც ერთი კითხვა უპასუხოდ არ დარჩენილა. გთავაზობთ ბოლო ორი ტურის შედეგებს, ჯგუფების საბოლოო ცხრილებს და მერვედფინალურ წყვილებს.

**გაიოზ თალაქვაძე**

### IV ტური

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| ტუნისი 23:20 ალჟირი | უნგრეთი 31:24 ნორვეგია |
| დანია 17:31 ესპანეთი | ხორვატია 23:29 რუსეთი |
| მაროკო 21:21 არგენტინა | ქუვეითი 30:26 ნიგერია |
| **B ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| საუდეთი 24:36 კუბა | იუგოსლავია 28:25 კორეა |
| ბრაზილია 30:27 მაკედონია | საფრანგეთი 24:30 შვედეთი |
| ეგვიპტე 18:23 გერმანია | ავსტრალია 29:33 ჩინეთი |

### V ტური

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| ესპანეთი 33:23 ტუნისი | რუსეთი 27:18 უნგრეთი |
| დანია 29:21 არგენტინა | ხორვატია 27:25 ნიგერია |
| ალჟირი 19:19 მაროკო | ნორვეგია 29:27 ქუვეითი |
| **B ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| კუბა 31:24 ბრაზილია | იუგოსლავია 22:22 შვედეთი |
| გერმანია 27:19 საუდეთი | საფრანგეთი 41:20 ჩინეთი |
| ეგვიპტე 30:24 მაკედონია | ავსტრალია 18:38 კორეა |

### სატურნირო ვითარება

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 163:101 | 10 |
| დანია | 5 | 4 | 0 | 1 | 117:108 | 8 |
| ტუნისი | 5 | 3 | 0 | 2 | 111:112 | 6 |
| ალჟირი | 5 | 1 | 1 | 3 | 106:120 | 3 |
| მაროკო | 5 | 0 | 2 | 3 | 94:117 | 2 |
| არგენტინა | 5 | 0 | 1 | 4 | 96:129 | 1 |

| C ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 162:106 | 10 |
| ხორვატია | 5 | 3 | 1 | 1 | 143:115 | 7 |
| უნგრეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 164:112 | 6 |
| ნორვეგია | 5 | 2 | 1 | 2 | 130:129 | 5 |
| ქუვეითი | 5 | 1 | 0 | 4 | 107:204 | 2 |
| ნიგერია | 5 | 0 | 0 | 5 | 112:154 | 0 |

| B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 5 | 0 | 0 | 146:100 | 10 |
| ეგვიპტე | 5 | 4 | 0 | 1 | 126:111 | 8 |
| კუბა | 5 | 3 | 0 | 2 | 153:131 | 6 |
| ბრაზილია | 5 | 2 | 0 | 3 | 108:133 | 4 |
| მაკედონია | 5 | 1 | 0 | 4 | 122:149 | 2 |
| საუდეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 101:132 | 0 |

| D ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 168:104 | 9 |
| საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 151:113 | 8 |
| იუგოსლავია | 5 | 3 | 1 | 1 | 156:120 | 7 |
| კორეა | 5 | 2 | 0 | 3 | 146:122 | 4 |
| ჩინეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 122:193 | 2 |
| ავსტრალია | 5 | 0 | 0 | 5 | 101:192 | 0 |

### მერვედფინალში ითამაშებენ

| | |
|---|---|
| დანია — კუბა | ესპანეთი — ბრაზილია |
| ნორვეგია — შვედეთი | საფრანგეთი — უნგრეთი |
| ხორვატია — იუგოსლავია | რუსეთი — კორეა |
| ალჟირი — გერმანია | ტუნისი — ეგვიპტე |

1999 წლის 10 ივნისს 16 საათზე კლუბ „ინტერსპორტში“ (დედა ენის ძეგლთან) გაიმართება XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეთა გამოსავლენი რეფერენდუმის ჟიურის პირველი სხდომა. ჟიურის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

*სარეფერენდუმო კომიტეტი,*
*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*



# დალასი: აქ, ახლა

სამი წელიწადია, დალასი ამისკენ მიისწრაფოდა. რეგულარულ ჩემპიონატში ზედიზედ სამჯერ პირველობის შემდეგ ტეხასელებს, ცხადია, ერთ-ერთ ფავორიტად ასახელებდნენ, მაგრამ პლეი ოფში უფრო გამოცდილი მეტოქეები ამარცხებდნენ და წლეულს მათი წარმატებისა აღარავის სჯეროდა. მაგრამ ამ სამი წლის განმავლობაში გუნდი დალვინდა, დაჭკვიანდა, შეცდომებისგან სწორი დასკვნები გამოიტანა და აი, თავისი არსებობის მანძილზე (ადრე მინესოტას სახელით ასპარეზობდა) მესამედ გავიდა პლეი ოფის ფინალში, სადაც, მას ასევე თასს დანატრებული ბუფალო ელის. როგორც უნდა დამთავრდეს ეს პაექრობა, ერთი რამ ნათელია — სტენლის თასს ახალი მფლობელი ეყოლება.

STANLEY CUP PLAYOFFS

4 ივნისი

**დასავლეთი**

სერიის ანგარიში

**დალასი — კოლორადო 4:3**

**დალასი — კოლორადო 4:1**

1:0 2:0 1:1

1:0 ლანგენბრუნერი 8'25 (9); 2:0 კინი 31'13 (4); 3:0 კინი 35'18 (5); 4:0 ლემტინენი 46'18 (7); 4:1 საკიკი 53'52 (6)

შეიძლება ბევრი ფიქრობს, რომ დალასი მეტად მომაბეზრებლად და მარტივად თამაშობს, მაგრამ იმით, თუ როგორ ასრულებენ კენ ჰიჩკოკის შეგირდები მის მითითებებს, ნამდვილად უნდა აღფრთოვანდე. საოცარია, როგორ შეინარჩუნა ძალა სერიის ბოლო მატჩამდე ლიგის ყველაზე ხნიერმა გუნდმა. ის კი არა, ბებერმა „ვარსკვლავებმა“, მათი თამაშის „ფორჩეკინგური“ სტილიდან გამომდინარე, სამოცი წუთის მანძილზე უდიდეს დატვირთვას გაუძლეს. ასეთმა ზეწოლამ თვით დეტროიტის მომგები კოლორადოც კი დააბნია.

დალასისა და კოლორადოს გადამწყვეტი, მეშვიდე შეხვედრა კოლორადომ ტრადიციულად უკეთ დაიწყო, თუმცა თავიდანვე ცხადი გახდა, რომ პეტერ ფორსბერგს და კომპანიას ძალიან გაუჭირდებოდა ედ ბელფორის კარისკენ გზის გაკვლევა. რეალურ საფრთხემდე საქმე არც მისულა, ხოლო მასპინძელთა პირველივე შეტევა შედეგიანად დასრულდა. ჯო ნუინდაიკისა და ჯემი ლანგენბრუნერის (5 გოლი 5 მატჩში) — სერიაში დალასის საუკეთესო მოთამაშეების ელვისებურმა კომბინაციამ სტუმრები გააოგნა. დალასი დაწინაურდა და აქედან მოყოლებული ბოლომდე ბატონპატრონობდა მოედანზე.

მეორე მესამედში სტუმრებს კიდევ უფრო გაუჭირდათ. დალასელები ფორსბერგს გასაქანს არ აძლევდნენ, ხოლო კოლორადოელთა კიდევ ორი ლიდერი — ჯო საკიკი და ტეო ფლერი სულაც არ ჩანდნენ. ისიც სათქმელია, რომ ხისტად მოთამაშე დალასელები წესებს არ არღვევდნენ და კოლორადოს სრულიად მოუსპეს რიცხვმრავლობაში თამაშის საშუალება. მატჩში გარდატეხა 32-ე წუთზე მოხდა. მასპინძლებმა მეტოქეს მათსავე ზონაში აართვეს შაიბა და სწრაფი სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ მაიკ კინმა ზუსტად დაარტყა. ასეთ მჭიდრო თამაშში ეს უკვე დიდი უპირატესობა გახლდათ. გულგატეხილმა კოლორადოელებმა საერთოდ დაივიწყეს დაცვაში სიფრთხილე და დალასის მკვირცხლ ფორვარდებს თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა მისცეს. მერე იყო ულამაზესი სანახაობა, რომელიც „ვარსკვლავებმა“ აჩუქეს მაყურებელს. ერთ-ერთი შეტევის დროს კინი კვლავ პირისპირ დარჩა რუასთან, მეკარე მოატყუა და შაიბა კარში შეასრიალა.

აღსანიშნავია, რომ 1996 წელს კინი, კოლორადოს ტრიუმფის სეზონში, გუნდის კაპიტანი იყო.

ამის შემდეგ თამაშმა აზრი დაკარგა. გუნდებმა კვლავ გაცვალეს გოლები და არაქათგამოცლილებმა რის ვაი-ვაგლახით ჩაამთავრეს მატჩი.

ერთი სიტყვით, დალასმა დაამტკიცა თავისი სათამაშო სტილის მართებულობა და დამსახურებულად გავიდა ფინალში.

ფინალური სერია დალასსა და ბუფალოს შორის სამშაბათს, დალასში დაიწყება.

*ბომბარდირები:* ფორსბერგი 24 (8+16); საკიკი (ორივე-კოლორადო) 19 (6+13); ნუინდაიკი (დალასი) 18 (9+9); ფლერი (კოლორადო) 17 (5+12); სუნდინი (ტორონტო) 16 (8+8); მოდანო (დალასი) 16 (5+11); სტრაკა (პიტსბურგი) 15 (6+9); ლანგენბრუნერი (დალასი) 14 (9+5); ლემიე (კოლორადო) 14 (3+11); აიზერმანი (დეტროიტი) 13 (9+4)




REUTERS

დალასელმა ჯემი ლანგენბრუნერმა კოლორადოელთა ლიდერი ჯო საკიკი არ დაინდო

# ხელმა ხელი დაბანა




ჯომოლუნგმაზე პირველი ქართული ექსპედიციის წევრები (მარცხნიდან): მერაბ ხაბაზი, დავით ჩანტლაძე, გია თორთლაძე, ირაკლი უგულავა, მერაბ ნემსიწვერიძე, მამუკა ციხისელი, გელა ოთარაშვილი

ქვა, მოგეხსენებათ, მრავალგვარია — უბრალო, რიყის ქვიდან დაწყებული და ძვირფასი ქვებით დამთავრებული, სამკაულებად რომ იყენებენ.

არის კიდევ ერთი ქვა, ჩვეულებრივი ქვა, მაგრამ მიუხედავად თავისი უბრალოებისა, უიშვიათესი რამაა. ჰოდა, გუშინ გვიან საღამოს, როცა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე პირველი ქართული ექსპედიციის წევრები თბილისში ჩამოფრინდნენ, მათ დასახვედრად მობრძანებულმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ გუნდის მეთაურ გია თორთლაძეს ჰკითხა, მე რომ ქვის ჩამოტანა გთხოვე, თუ მომიტანეო.

ბატონო ზურაბ, მე ქვას კი არა, კენჭს დაგპირდით და პირობაც შევასრულეო, იყო პასუხი.

დიდი მიხვედრილობა არ არის საჭირო — საუბარია დედამიწის უმაღლესი მწვერვალიდან ჩამოტანილ კენჭზე.

ერთი სიტყვით, ხელმა ხელი დაბანა — ბატონმა ზურაბ ჟვანიამ, როგორც საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა, იზრუნა ამ ექსპედიციის ფინანსურ მხარეზე, ალპინისტებმა კი ამაგი დაუფასეს უბრალო კენჭით.

უბრალოო, ვამბობთ, თორემ ის კენჭი აუქციონზე იქნებ ცეცხლის ფასადაც გაიყიდოს.

ასეა თუ ისე, თორთლაძემ იმ საღამოს პარლამენტის თავმჯდომარესა და ჩვენი საკანონმდებლო ორგანოს სხვა წარმომადგენლებს უთხრა, რამდენჯერაც დაგვეხმარებით ექსპედიციის დაფინანსებაში, იმდენჯერ ავალთ რვაათასიან მწვერვალებზეო, რაზეც აეროპორტის სასტუმროს რესტორანში ალა ფურშეტზე შეკრებილმა მთამსვლელთა დამხვდურებმა ტაში დასცხეს.

ტაშის დამკვრელნი კი, იცოცხლეთ, ბლომად იყვნენ. იყვნენ, ცხადია, მთამსვლელთა ახლობლებიც, მეგობრებიც და, რა თქმა უნდა, ექსპედიცია „მშვიდობიანი კავკასია 99“-ის წევრებიც, რომლებმაც სამხრეთიდან 14 დღით ადრე დალაშქრეს ჯომოლუნგმა და ასეთი ზარ-ზეიმით დახვედრის სიხარული 28 მაისს განიცადეს, როცა თავად ჩამოფრინდნენ.

მაგრამ გუშინ საღამოს 26 მაისს ჩრდილოეთიდან მწვერვალზე ასულთა დღე იყო. ეს იყო გია თორთლაძის, მერაბ ნემსიწვერიძის, ირაკლი უგულავას, ირაკლი ციხისელისა და მერაბ ხაბაზის დღე, ეს იყო გელა ოთარაშვილისა და დავით ჩანტლაძის დღეც, რომლებმაც, მართალია, თავად უშუალოდ ვერ იზეიმეს მწვერვალზე ასვლა, მაგრამ თანაგუნდელთა გამარჯვებით კი გაიხარეს, რადგან ეს საერთო ტრიუმფი იყო, რაშიც თავისი წვლილი ექსპედიციის ექიმმა ზურაბ ასტახიშვილმაც შეიტანა.

— მაინც, რა მოხდა, მწვერვალზე რატომ ვერ ახვედით, — ვეკითხებით გელა ოთარაშვილს.

— მწვერვალზე გადამწყვეტ იერიშზე 23 მაისს ყველანი ერთად გავედით, მაგრამ იძულებული გავხდი 7500 მეტრის სიმაღლიდან მოვბრუნებულიყავი. საქმე ის იყო, რომ მოვიწამლე და 4 დღე თავს ცუდად ვგრძნობდი. 7500 მეტრზე ასულმა ვიფიქრე, უარესი არ დამემართოს და ასვლაში სხვებს ხელია არ შევუშალო-მეთქი.

— თქვენ რაღამ შეგიშალათ ხელი? ახლა დავით ჩანტლაძეს ვეკითხებით.

— ვერც მე ვიყავი კარგად. ჩემმა ფიზიკურმა მდგომარეობამ არ მომცა გზის გაგრძელების საშუალება და იძულებული გავხდი გელასთან ერთად დავბრუნებულიყავი.

— ჰიმალაის რვაათასიანებზე მესამედ იყავი. პირველად, დჰაულაგირზე ასვლისას დაშავდი, სხვებმა კი მიზანს მიაღწიეს, შანშან მანასლუზე საერთოდ ვერავინ ახვედით. ახლა მიზანს თანაგუნდელებმა კი მიაღწიეს, მაგრამ...

— ეჰ, ეტყობა, უიღბლო ვარ.

— იმ დღესვე გავიგე, რომ დათო მწვერვალზე ვერ ავიდა, მაგრამ მისი მეგობრების გამარჯვება ძალზე გამიხარდა, — გვითხრა დათო ჩანტლაძის მეუღლემ, ქალბატონმა ნონამ.

— კი მაგრამ, თქვენი მეუღლე რომ ამ სახიფათო გზებზე დადის, რას განიცდით?

— მე იმას განვიცდი, როცა დათო რაიმე მიზეზით მთაში ვერ მიდის. უნდა ნახოთ, როგორ ნერვიულობს ხოლმე და ამის შემხედვარე იქ წასვლას როგორ დავუშლი?

არადა, მთამსვლელობა ძალზე ხიფათიანი სპორტი რომაა, ჩვენი ექსპედიციის მსვლელობის დღეებშიც დადასტურდა. როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, ქართველი მთამსვლელები არაერთ უცხოელ მთამსვლელს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაეხმარნენ, ზოგმა კი სამუდამო სასუფეველი იქ ჰპოვა. ცოცხლად გადარჩენილთ სამედიცინო დახმარებას ჩვენი ექსპედიციის ექიმი ზურაბ ასტახიშვილი უწევდა. ინტერნეტის მასალებში, როგორც ადრევე გაუწყეთ, ასეთ სტრიქონებსაც ვკითხულობდით: „ზურაბ ასტახიშვილი უსასყიდლოდ, კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას უჩენდა სხვა ექსპედიციის წევრებს“...

— ეს მათთვის იყო უჩვეულო ამგვარი დახმარება, თორემ ჩვენთან ეს ჩვეულებრივი ამბავია. აბა, მთაში დაშავებულ მთამსვლელთა სამედიცინო დახმარებისთვის ფული როგორ უნდა აიღო? — გვეკითხება ზურაბ ასტახიშვილი.

— როგორც ექიმს, მართლაც დიდი ჯაფა დაგადგათ?

— ჩვენი ექსპედიციის წევრთაგან არა, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო სამედიცინო დახმარებას, სხვა ექსპედიციის წევრებისთვის კი მომიწია მუშაობა, განსაკუთრებით ბოლო ორი კვირის განმავლობაში, როცა იქ ჩემს მეტი ექიმი საერთოდ აღარ დარჩა.

— მაინც, რა სახის დახმარებას უწევდით?

— ტრავმები არ ყოფილა, სამაგიეროდ იყო ხელ-ფეხის მოყინულობები და პატარ-პატარა ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო.

ასტახიშვილის მერე ვესაუბრებით ქუთაისელი მერაბ ნემსიწვერიძის შვილს 4 წლის საბას, რომელიც ლამის სამი თვის უნახავ მამის კისერზე ისე მაგრად შემოხვევია და ჩახუტებია, თითქოს ეშინია, ისევ მთაში არ გამექცესო.

— ძალიან მოგენატრა მამიკო?

— დიახ!

— გაგიხარდა მამიკოს ასვლა მწვერვალზე?

— დიახ.

— როცა გაიზრდები, შენც მთამსვლელი გახდები?

— დიახ.

— აი, ეგლა გაკლდათ, შვილმაც მთაში რომ იაროს — ვეუბნებით მერაბ ნემსიწვერიძის მეუღლეს ქალბატონ ქეთინოს, რომელიც იქვე ისმენს შვილის პირველ ინტერვიუს.

— თქვენ როდის, რა ვითარებაში შეიტყვეთ, რომ მერაბი ჯომოლუნგმაზე ავიდა?

— იმ დღეს, 26 მაისს მთელი ოჯახი ტელევიზორში ფეხბურთს ვუყურებდით „მანჩესტერისა“ და „ბაიერნის“ გუნდების შეხვედრას. და აი, მოულოდნელად გამოაცხადეს, დღეს ქართველი მთამსვლელები ესა და ესენიო დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ავიდნენო. სიხარულისაგან ყველანი წამოვხტით და ვიყვირეთ. ისე ვიყვირეთ, რომ საბა, მგონი, შევაშინეთ კიდეც.

— გჯეროდათ, რომ მერაბი მწვერვალზე ავიდოდა?

— რა თქმა უნდა, დარწმუნებულიც კი ვიყავი.

— მერაბ, თავად როდის დარწმუნდით, რომ მწვერვალზე ახვიდოდით?

— ამაში ეჭვი არც არასოდეს შემპარვია. თავად ისეთ კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი, როგორც არასოდეს. ეჭვი არც მაშინ შემპარვია, როცა ჯერ ერთი უკრაინელი დაიღუპა, მერე პოლონელი, ბელგიელი... ასეთ ფონზე კაცი შეიძლება ფსიქოლოგიურად გატყდე, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ვამხნევებდით და ღმერთის წყალობით, მიზანს მივაღწიეთ, თანაც 26 მაისს.

ახლა კი ფოტოობიექტივს დავუთმოთ სიტყვა, დანარჩენი კი მერე იყოს.

**ავთანდილ გურასაშვილი**
**ბადრი კეთილაძის ფოტოები**



მერაბ ნემსიწვერიძე (და მისი თანაგუნდელებიც) დამხვდურთა სიმრავლემ ცოტა არ იყოს დააბნია



დავით ჩანტლაძეს ყველაზე მეტად შვილის დანახვა გაუხარდა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაб ჟვანიამ და სახელმწიფო კანცელარიის მრჩეველმა სპორტის საკითხებში ეზეკი ინწკირველმა ექსპედიციის მეთაურს გია თორთლაძეს საქართველოს პრეზიდენტის მილოცვის ტექსტი გადასცეს

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაб ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29